PRIME Time

N32 (333) ორშაბათი, 17 აგვისტო, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

სააკაშვილის ქართული და ოდესური სკანდალები

სკანდალები, ხმაური და შანტაჟი

SCANDAL

exclusive

ექსკლუზიური ინტერვიუ კახი კახიშვილთან

„ყველაფერია შესაძლებელი, ან ძველი კადრი ახლად გაასაღოს. ძველ კადრს რომ გაუშვებენ ეთერში, მიდი და არკვიე, როდის არის გადაღებული“

exclusive

პროკურატურა ვანო მერაბიშვილს რუსთავი 2 ის საქმეზე დაკითხავს

რა ჩვენება მისცა გამოძიებას ეროსი კიწმარიშვილმა?

ხალვაში სააკაშვილთან დებატებს ითხოვს

ქიბარ ხალვაში: „არ მაქვს ნერვები უზრდელ გვარამიასთან „შპილკაობის“

exclusive

ყარამანიშვილები ამ კვირაში განცხადებას გააკეთებენ



ნიკა გვარამია: „არც ნერვები აქვს და არც ტვინი“...

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

ყურადღება! ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ანალოგური საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა. 18 აგვისტოს, დილის 10 საათიდან, ბორჯომში, ბაკურიანში, აბასთუმანში, ახალციხეში, ასპინძაში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. აგრეთვე გაითიშება ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებგვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.

Ⓐ

exclusive

ექსკლუზიური ინტერვიუ სოზარ სუბართან

„ქიბარ ხალვაშმა ამ შემთხვევაში მიმართა უფრო რბილ გზას – წავიდა სასამართლოში და არა პროკურატურაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დინამოს“ დინამო

DINAMO TBILISI

1925

მრავალმილიონიანი საფეხბურთო აფერა

მირიან ბოქოლიშვილი

თბილისში სუპერთასის ფინალურმა მატჩმა ფეხბურთის ქართველ ქომაგებს ძველი დრო გაახსენა, როდესაც არანაკლები ანშლაგებით სტადიონზე თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული ფეხბურთელები გამოდიოდნენ. საფეხბურთო გუნდი, რომელიც ყოველთვის ეროვნული ნაკრების ხერხემალი იყო, დღეს არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. „ბარსელონა“-„სევილიას“ მართლაც სანახაობრივი თამაშის შემდეგ, ისიც კი ითქვა, რომ „სირცხვილით ამ მინდორზე „დინამო“ როგორღა უნდა გამოვიდესო“.

სამწუხაროდ, გულშემატკივრის ეს ფრაზა პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის მთავარი საფეხბურთო კლუბის დღევანდელ იმიჯსა და მდგომარეობაზე, თუმცა მალე შესაძლოა, სიტუაცია მთლიანად შეიცვალოს. საუბარია ყოფილი დინამოელების მცდელობაზე, სამართლებრივი გზით დაიბრუნონ საფეხბურთო კლუბი, რომელიც ერთ დროს მართლაც ქვეყნის ღირსებას წარმოადგენდა.

„დავიბრუნოთ თბილისის დინამო“ – ამ სახელწოდებით ყოფილმა დინამოელებმა არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს და უახლოეს დღეებში პროკურატურაში განცხადების შეტანასაც გეგმავენ. მათი თქმით, თავის დროზე კახა თარგამაძემ „თბილისის დინამოს“ უკანონოდ ჩამოაცილა მესაკუთრეები, რომლებიც ძირითადად ფეხბურთის სფეროს წარმომადგენლები იყვნენ. საფეხბურთო კლუბი ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებსა და მათ ცოლებზე გადააფორმა, რის გამოც ერთხანს „დინამოს“ „ცოლების შპს“-დაც კი მოიხსენიებდნენ, შემდეგ კლუბი გასაყიდად გამოიტანა და 7 მილიონ დოლარად ბადრი პატარკაციშვილის კომპანიას მიჰყიდა. მართალია, ოფიციალურ დოკუმენტებში 6,5 მილიონი ლარი გაფორმდა, მაგრამ სპორტულ სამყაროში ყველამ იცის, რომ პატარკაციშვილმა კახა თარგამაძეს რეალურად 7 მილიონი დოლარი გადაუხადა. ვის ჯიბეში წავიდა ოფიციალური თანხის მიღმა გადახდილი მილიონები, ძნელი მისახვედრი არ არის.

კახა თარგამაძის მრავალმილიონიანი აფიორა არც იმდროინდელ პრესას გამოჰპარვია. გაზეთმა „რეზონანსმა“ ჟურნალისტური გამოძიებაც კი ჩაატარა, რამაც კახა თარგამაძის გაღიზიანება გამოიწვია. „რკინის კაცმა“ სტატიის ავტორს ელისო ჩაფიძეს სასამართლოში უჩივლა და ღირსების შელახვისთვის 1 მილიონის გადახდა მოითხოვა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ შევარდნაძის სასამართლოში შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტთან დავა წააგო. იმდროინდელი მოვლენების გახსენება ჩვენ **ელისო ჩაფიძეს** ვთხოვეთ:

– 2001 წელს ანონიმური წყაროს ცნობით, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობდა სპორტკლუბ „დინამოსთან“ დაკავშირებით, რომლის წილშიც იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. უწყების ხელმძღვანელობამ, კონკრეტულად შვიდმა მაღალჩინოსანმა ჩაატარა სამართლებრივი აფერა (როგორც ამას ბევრი ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავდა) და გადაწყვიტა, რომ აღნიშნული კლუბი უნდა დარეგისტრირებულიყო, როგორც შპს, რის შემდეგაც კლუბი დინამოელებისა და შსს-ს ნაცვლად, კერძო მესაკუთრეების ხელში გადავიდა. ეს მესაკუთრეები გახდნენ შსს-ს მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები. დამატებით, საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მათ, კონკრეტული ბრძანებულებით, „დინამოს“ აღორძინებისთვის 7 მილიონ ლარამდე გამოუყოთ, მათვე გადაეცათ კლუბის მთელი ქონება, სავარჯიშოები, მოედნები და ა.შ. ამ სტატიამ გამოიწვია შსს-ს მაღალჩინოსნების გაღიზიანება, რის გამოც სასამართლოში შეიტანეს სარჩელი და მოითხოვეს 1 მილიონი ლარის გადახდა ღირსებისა და პატივის შელახვისთვის, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები აბსოლუტურად შეესაბამებოდა სიმართლეს, გამოთქმული შეფასებები კი ჯდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სტანდარტში. ამის შემდეგ, როგორც ვიცი, მოხდა გარიგება და უკვე კერძო შპს გაიყიდა ერთ-ერთ კომპანიაზე. თუ არ ვცდები, ეს იყო ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია.

– დღეს რამდენად რეალისტურად გეჩვენებათ ყოფილი დინამოელების მცდელობა, დაიბრუნონ საფეხბურთო კლუბი?

– ვფიქრობ, სამართლებრივი საფუძველი ამ დავას ნამდვილად აქვს, თუმცა, ალბათ, სასამართლომ და შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაარკვიონ, ჰქონდა თუ არა ადგილი თავის დროზე ფიქციურ გარიგებას, რამდენად კეთილსინდისიერი მფლობელია დღევანდელი მეპატრონე და შესასწავლია, ასევე, ვადები, რადგან, როგორც წესი, ასეთ საქმეებს აქვს თავისი ხანდაზმულობის ვადა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან კახა თარგამაძისთვის და შსს-ს სხვა მაღალჩინოსნებისთვის გამოყოფილი მილიონები, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა, სწორედ ამიტომ „რკინის კაცმა“ კლუბის გასხვისება გადაწყვიტა, თუმცა მანამდე, როგორც ზევით აღინიშნა, „დინამოს“, სამართლებრივ სტატუსთან ერთად, შეუცვალეს სახელწოდებაც. „თბილისის დინამო“, ყველასთვის შეუმჩნევლად „დინამო თბილისი“ გახდა და პოლიციელების ცოლების მფლობელობიდან ბადრი პატარკაციშვილის მფლობელობაში გადავიდა.

ირკვევა, რომ თარგამაძემ პატარკაციშვილს „დინამო“ შეცვლილი სამართლებრივი სტატუსით მიჰყიდა, მას შემდეგ კი, რაც ბადრიმ ამის შესახებ შეიტყო, ის მზად იყო, კლუბი დინამოელებისთვის დაებრუნებინა. ამასვე ადასტურებს „დინამოს“ იმდროინდელი დირექტორი ამირან ღიბრაძეც:

– მე თბილისის „დინამოში“ მივედი 2004 წელს. მაშინ ჩემთვის უცნობი იყო, რომ თბილისის დინამო, რომელიც ბადრი პატარკაციშვილს გადასცეს, სულ სხვა შპს გახლდათ და არა ის „დინამო“, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობდა და უამრავი ტიტულის მფლობელი იყო. აღმოჩნდა, რომ ეს იყო სხვა შპს, რომელიც 2001 წელს შეუქმიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებსა და კახა თარგამაძეს. როდესაც სპორტული დირექტორი გავხდი, უფრო ინტენსიურად ჩავიხედეთ ამ საკითხში. პირადად მქონდა საუბარი ბატონ ბადრი პატარკაციშვილთან და ავუხსენი მდგომარეობა, რომ ეს არ არის ის „დინამო“, რომელიც აღიარებული იყო და ჰყავდა უამრავი გულშემატკივარი. სამართლებრივად ეს იყო სრულიად სხვა შპს და არანაირად არ წარმოადგენდა ძველი „დინამოს“ სამართალმემკვიდრეს. ეს არ იცოდა ბადრიმ, ძალიან გაუკვირდა. ავუხსენი, რომ, თუ პრეტენზიას გამოთქვამენ ყოფილი დინამოელები, ამაზე შესაძლოა სამართლებრივი პრობლემები შეგვექმნას-თქო. უკვე 2007 წელს ბადრი მზად იყო, ეს კლუბი დინამოელებისთვის გადაეცა. ამბობდა, რომ, თუ რეალურად ეს შპს არ არის ძველი „დინამოს“ სამართალმემკვიდრე და არსებობს სამართლებრივი პრობლემები, ტყუილად რატომ უნდა შევინახოთ გუნდიო. თქვენ წარმოიდგინეთ, გუნდი შვეიცარიაში დაფიქსირებული იყო, როგორც თასების თასის მფლობელი, რეალურად კი ეს ასე არ იყო და იურიდიულად, მოქმედი „დინამო“ თასის მფლობელი არ გახლდათ.

– რამ შეაფერხა კლუბის დინამოელებისთვის დაბრუნების პროცესი?

– ბადრი წინააღმდეგი არ იყო, რომ კლუბი დინამოელებისთვის გადაეცა, მაგრამ შემდეგ ბადრი გარდაიცვალა. ეს იყო 2008 წელი და, შესაბამისად, ამ საკითხს გაგრძელება ვერ მიეცა. გუნდი დარჩა დაფინანსების გარეშე. მაშინდელ ხელისუფლებას დაბლოკილი ჰქონდა კლუბის საბანკო ანგარიშები. ბოლოს კი შედგა შეთანხმება პატარკაციშვილის მეუღლესა და ხელისუფლებას შორის. ინა გუდავაძე იძულებული გახდა დათანხმებოდა ხელისუფლების შეთავაზებას. გამონახეს რომან ფიფია, რომელსაც „დინამო“ გადასცეს.

– ანუ თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილი მზად იყო, კლუბი დინამოელებისთვის გადაეცა?

– კი, პირად საუბარში ის ამბობდა, რომ გეგმავდა კლუბის დაბრუნებას. მახსოვს, ეს საუბარი მთაწმინდის ოფისში შედგა. ბადრის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლება ყველანაირად გვბლოკავდა, კლუბი პრაქტიკულად პარალიზებული იყო. როგორც გვეუბნებოდნენ, ამის ინიციატორები იყვნენ ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი. შემდეგ მოხდა შეთანხმება ინა გუდავაძესთან და მისი თანხმობით კლუბი გადასცეს რომან ფიფიას, რომელსაც შეხვდა პატარკაციშვილის ქვრივი და შეადგინეს კონტრაქტი. თუ იურიდიულად „დინამოს“ იგივე სტატუსი აქვს, გამოდის, რომ მას არც ამჟამად აქვს არანაირი სამართლებრივი კავშირი ძველ „დინამოსთან“. ეს საზოგადოებამ არ იცის. კლუბი, რომელიც დღეს „დინამოს“ სახელით ასპარეზობს, გულზე ახატია ვარსკვლავი, რომელიც ტიტულებს აღნიშნავს. ამათ ამ ვარსკვლავის ტარების უფლება არ აქვთ, ეს ეკუთვნით წინა მფლობელებს. თუ გამოძიება დაიწყება და საქმე სასამართლომდე მივა, ძალიან სერიოზული მსჯელობის საგანი იქნება.

მოქმედი „დინამოს“ არალეგიტიმურობაზე საუბრობენ ამ კლუბის ყოფილი წარმომადგენლები, რომლებიც, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „დინამოს“ დასაბრუნებლად სამართლებრივი პროცედურების დაწყებას გეგმავენ. ორგანიზაცია „დავიბრუნოთ თბილისის „დინამო“ მალე პროკურატურასაც მიმართავს, სადაც, სავარაუდოდ, დაკითხვაზე გამოიძახებენ როგორც კახა თარგამაძეს, ისე კლუბის ამჟამინდელ მფლობელს, რომან ფიფიას.

„ეს არის ჩვეულებრივი რეკეტი, რომელიც დაიწყო შევარდნაძის დროს და წარმატებით დაასრულა სააკაშვილის ხელისუფლებამ. დადგა დრო, აღდგეს ისტორიული სამართლიანობა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელეპი იბრუნებენ!

EXCLUSIVE

გიორგი ქინქლაძე, „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი:

„ბოლო 10 წლის განმავლობაში „დინამო“ საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ გახდა ჩემპიონი. დღეს ნებისმიერმა გულშემატკივარმა იცის, რა მდგომარეობაშია ქართული ფეხბურთი და ამ ფონზეც კი, თბილისის „დინამო“ მხოლოდ ერთხელ რომ გახდები ჩემპიონი, სირცხვილია. აგერ, პირველივე გასვლაზე გამოვარდა ევროშეჯიბრიდან. თამაშობდა გუნდთან, რომლის სახელი არათუ რიგით გულშემატკივარს, სერიოზულ ფეხბურთელებსაც კი არ გაუგიათ. „გაბალა“ – ასეთი გუნდი გაუგია ვინმეს? მე პირადად პირველად გავიგე. ეს იყო ყოველთვის „თბილისის დინამო“, ეს იყო ბრენდი, რომელსაც სახელი შეუცვალეს და დაარქვეს „დინამო თბილისი“. ნამდვილი დინამოელების ხელში გუნდი 10-ჯერ გახდა ჩემპიონი. ამიტომ გული გვტკივა, რომ დღეს ასეთ სიტუაციაში ვხედავთ ამ კლუბს. ახალი სისხლია საჭირო რომ იმ შედეგებს მივაღწიოთ, რასაც იმსახურებს ქართველი გულშემატკივარი.“

ნუკრი კაკილაშვილი, „თბილისის დინამოს“ წარმომადგენელი:

– „დინამო“, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ და რომელმაც 1981 წელს აიღო თასების თასი, 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, მაინც ახერხებდა ფეხზე დგომას. კლუბს პირველი პრობლემები შეექმნა კახა თარგამაძის შს მინისტრობის დროს. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში სამინისტრო გახლდათ კლუბში გარკვეული წილის მფლობელი, 10 პროცენტს ფლობდა შსს დანარჩენს ფლობდნენ ფეხბურთელები. თარგამაძემ მოითხოვა შსს-ს წილი გაზრდილიყო 33 პროცენტამდე, მაშინ დინამოელები ამ შეთავაზებას არ დავთანხმდით, რის გამოც 1996 წელს კლუბს ხელახალ რეგისტრაციაზე უარი უთხრეს. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში გამოცხადდა მოქმედი კომპანიების ხელახალი რეგისტრაცია და შესაბამისად, ეს პროცედურა უნდა გაევლო „დინამოსაც“, თუმცა ხელოვნურად მას პრობლემები შეუქმნეს. მიუხედავად ამისა, მას მიენიჭა სპეციალური კოდი, რომლის მეშვეობითაც აწარმოებდა საფინანსო ურთიერთობებს, მათ შორის უეფასთან. ამის შემდეგ კახა თარგამაძემ სხვადასხვა მაქინაციებით უკვე წამოიწყო „დინამოს“ გაყიდვის პროცედურები, ჯერ კიდევ 1997 თუ 1998 წელს მან დაიქირავა იურიდიული კომპანია, რომელიც აღმოჩნდა ბადრი პატარკაციშვილის და რომელსაც საბოლოოდ, 2001 წელს, მიყიდა კიდეც „დინამო“. ანუ შსს 3 წლის განმავლობაში, დინამოელების გვერდის ავლით, ამზადებდა კლუბს გასაყიდად. სამი წლის განმავლობაში ბადრი თავს იკავებდა, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ არჩევანი არ დაუტოვა. მან გადაიხადა 7 მილიონი დოლარი, თუმცა, როგორც ცნობილია, ოფიციალურად გაფორმდა 6,5 მილიონი ლარი.

ამის შემდეგ თარგამაძე მიდის მინისტრის პოსტიდან, მალევე მთლიანად შეიცვალა შევარდნაძის მთავრობაც და დაიწყო „დინამოს“ უკუსვლის შეუქცევადი პროცესი. გუნდი აგებს პრაქტიკულად ყველა თამაშს.

– რა ხდება მას შემდეგ, რაც „დინამო“ პატარკაციშვილს გადასცეს და როგორ აღმოჩნდა ის საბოლოოდ ბიზნესმენ რომან ფიფიას ხელში?

– მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილისთვის ცნობილი გახდა, რეალურად რასთან გვქონდა საქმე, ბადრი იწყებს საუბარს იმაზე, რომ საფეხბურთო კლუბი „დინამო“ უნდა ეკუთვნოდეს ფეხბურთელებს. ოფიციალურად იყო დაწყებული მოლაპარაკებები და პატარკაციშვილი მზად იყო კლუბის გადაფორმებაზეც, თუმცა აქ უკვე ჩაერია „ნაციონალური მოძრაობა“ რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კლუბი დინამოელებს არ დაბრუნებოდა. ამის შემდეგ გარდაიცვალა პატარკაციშვილი, ხოლო ნაციონალებმა გუნდს ახალი პატრონი მოუძებნეს. ეს იყო ბიზნესმენი რომან ფიფია, რომელიც უფრო მსხვილ ბიზნესებში შემოდიოდა და პრაქტიკულად „დინამო“ მოითხოვა ხურდაში.

– და ამჟამად თქვენი მოთხოვნაა, რომ „დინამო“ დათმოს ფიფიამ?

– პირველ რიგში, ჩვენ ვითხოვთ ინტელექტუალური საკუთრების აღდგენას. „დინამო“ – ეს არის არა ქონება, არამედ ისტორია, და ის, რაც ასე ძალიან უყვარს ქართველ საზოგადოებას. ეს კარგად გამოჩნდა სუპერთასის თამაშზე. მთელი წლების განმავლობაში ამაზე ნაკლები ამბავი კი არ ხდებოდა ხოლმე. თამაშიდან თამაშამდე ცხოვრობდა უამრავი ადამიანი. ის, რაც ჩვენს გარშემო განვითარდა, არის ჩვეულებრივი რეკეტი, რომელიც დაიწყო შევარდნაძის დროს და წარმატებით დაასრულა სააკაშვილის ხელისუფლებამ. თუმცა დიდი იმედი გვაქვს, რომ არაფერი არ დასრულებულა და სწორედ ახლა დადგა დრო, რომ აღდგეს ისტორიული სამართლიანობა.

ჩვენ ყველა კანონიერ გზას მივმართავთ „დინამოს“ დასაბრუნებლად. მივმართავთ სახელმწიფოს პოლიტიკურ თანამდებობის პირებსაც, მათ შორის პრემიერ-მინისტრს, რომ დააფიქსიროს თავისი პოზიცია და მხარი დაგვიდგეს ლეგენდარული გუნდისთვის ძველი დიდების დაბრუნების საქმეში.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია „დინამოს“ ამჟამინდელი მფლობელის, ბიზნესმენ რომან ფიფიას პოზიცია, თუმცა ის ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. როგორც კლუბის პიარ-მენეჯერმა, ირმა ცქიტიშვილმა განგვიმარტა, „ბატონი რომანი, როცა დაბრუნდება, ალბათ, დააფიქსირებს თავის პოზიციას“. თავად ცქიტიშვილმა ყოფილი დინამოელების პრეტენზიებზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა.

რას უპასუხებს ბიზნესმენი ფიფია დინამოელებს, ეს, ალბათ, უახლოეს დღეებში გაირკვევა. მანამდე კი უკვე ცნობილია, კახა თარგამაძის პოზიცია, რომელიც „დინამოს“ ჩამორთმევისა და მრავალმილიონიანი საფეხბურთო აფერის მთავარ შემოქმედად სახელდება. თარგამაძე ყოფილ დინამოელებს თაღლითებს უწოდებს და დაპატიმრებით ემუქრება.

„მეტი საქმე არ მაქვს, მაგათ სისულელეებს ავყვე. რაც უნდათ, ის თქვან და რა საჩივარიც არ უნდა შეიტანონ, საბოლოოდ ისე იზამენ, რომ კიდევ ერთხელ დაიჭერენ. ორჯერ დაჭერილები იყვნენ და ახლა მესამედაც გამოჰკრავენ ხელს. რაღა დროს ეგ სისულელეებია. არ მცალია ამ ადამიანების აბსურდული ბრალდებებისთვის. აბდაუბდას ლაპარაკობენ“, – **ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას კახა თარგამაძე.**

მან სხვა განმარტების გაკეთება არ ისურვა, თუმცა, სავარაუდოდ, მას ამ განმარტებას პროკურატურაში მოსთხოვენ. და ეს იმ შემთხვევაში თუ დინამოელების საჩივარს გამოძიება მსვლელობას მისცემს.

„დინამოს“ დაბრუნების აუცილებლობაში დარწმუნებულია საფეხბურთო სამყაროს დიდი ნაწილი. პირად საუბრებში ამ სფეროს ნარმომადგენლები ერთხმად უჭერენ მხარს კლუბის დინამოელებისთვის დაბრუნების საკითხს. მეტიც, მათი თქმით, ეს იქნება მთავარი ტესტი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზეც, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტი გახდება ის, ვინც ამ საკითხში გვერდში დაუდგება ფეხბურთელებს.

როგორ გახდა „დინამო“ ჯერ პოლიციელების ცოლების შპს, შემდეგ – პატარკაციშვილის და შემდეგ ფიფიას საკუთრება?

„მოქმედ „დინამოს“ არც ამჟამად აქვს არანაირი სამართლებრივი კავშირი ძველ „დინამოსთან“. ეს საზოგადოებამ არ იცის“

„კლუბს პირველი პრობლემები შეექმნა კახა თარგამაძის შს მინისტროების დროს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეფორმები და ევროპულ

„ყველაფერია შესაძლებელი, ან ძველი კადრი ახლად გაასაღოს. ძველ კადრს რომ გაუშვებენ ეთერში, მიდი და არკვიე, როდის არის გადაღებული“

ქეთი ხატიაშვილი

რა გეგმები აქვს ახალ მინისტრს, რა რეფორმების გატარება იგეგმება სისტემაში, როგორი იყო ვითარება ადრე და ვინ აპირებს ციხის პოლიტიკაში ჩართვას? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმი“ კახი კახიშვილს ესაუბრა.

– ეს ყველაზე რთული სისტემაა. ჩემი აზრით, ქვეყანაში სტაბილურობა ამ სისტემაზე ყველაზე მეტადაა დამოკიდებული: ერთი მხრივ, ციხეებში განთავსებულები არიან უმეტესად ის ადამიანები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოებისგან დროებით იზოლირებულები არიან. ვფიქრობ, ყველაზე მთავარია, ერთი მხრივ, სტაბილურობა შენარჩუნდეს და, მეორე მხრივ, ადამიანი მხოლოდ იზოლირებული კი არ უნდა იყოს, მისი უფლებებიც უნდა იყოს დაცული და რესოციალიზაციის პროექტებშიც ჩართული. მან ისიც უნდა იცოდეს, რომ უნდა დაემორჩილოს რეჟიმის პირობებს, მოთხოვნებს და, ამასთანავე, მისი უფლებები უნდა იყოს დაცული, ისევე როგორც ჩემი თანამშრომლების უფლებები. ჩემს თანამშრომლებსაც აქვთ ის ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც აქვს ნებისმიერ ჩვენგანს.

რა არის ამ მიზნის მისაღწევად საჭირო? ჩემი აზრით, აქ ორი კომპონენტია საჭირო. პირველი – ეს არის სწორი სამართლებრივი რეგულაციები, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობას პატიმარსა და თანამშრომელს შორის, განსაზღვრავს თანამშრომლის სამართლებრივ სტატუსსა და პატიმრის უფლებრივ მდგომარეობას.

მეორე, ინფრასტრუქტურული პროექტები. ეს არის ციხეები ევროპული სტანდარტებით. სხვათა შორის, ეს ძალიან ძვირი ღირს, იმიტომ რომ ევროპული სტანდარტებით ერთი ციხის მშენებლობა ჯდება 70 მილიონი ევრო. ლატვიამაც კი, რომელიც რამდენიმე წელია ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, ჯერ მხოლოდ ერთი ასეთი ციხის აშენება მოახერხა.

ევროპულ სტანდარტებში იგულისხმება: უსაფრთხოების სტანდარტები, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები, მსჯავრდადებულისთვის და ბრალდებულისთვის შესაბამისი კვადრატულობა. ასევე, ბევრი ადამიანი ერთ საკანში არ უნდა იყოს. ევროპაში ძირითადად ორ ადამიანზე მეტი, როგორც წესი, საკანში არ არის და, რა თქმა უნდა, ასე უფრო ადვილია სარეჟიმო პირობების შენარჩუნება და უფრო მეტად არის დაცული ადამიანის უფლებები. იმიტომ რომ, როდესაც ადამიანის უფლებებზე ვსაუბრობთ და ვსაუბრობთ იმაზე, რომ თითოეული მსჯავრდადებულის უფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი თანამშრომლის მხრიდან, ეს ნიშნავს, რომ თავად მსჯავრდადებულის უფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ სხვა მსჯავრდადებულის მხრიდან არ მოხდეს მისი უფლებების შელახვა. ამიტომაც ინფრასტრუქტურულ პროექტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რატომ არის, რომ, როდესაც გლდანის ციხეში რამდენიმე ადამიანი შეიყვანეს, მათი მისამართით გინება და შეურაცხყოფილი შეძახილები ისმოდა... თავის დროზე, როდესაც ეს ციხე აშენდა, არ იყო გათვალისწინებული სპეციალური უსაფრთხო დერეფნები. ევროპაში ციხეში შეყვანა ხდება საგვირაბო სისტემით, პატიმარი ისე შედის თავის საკანში, რომ მას ვერავინ ხედავს. დანარჩენმა პატიმრებმა არც იციან, ვინ შემოვიდა. ჩვენთან, გლდანის ციხეში, ყველაფერი ჩანს და გარკვეულ ექსცესებსაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი გადაძახილებისა და შეურაცხყოფების მხრივ.

– ოპოზიცია ამბობს, რომ სპეციალურად შეჰყავთ იქ პატიმრები, მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით... ამაში არის სიმართლის მარცვალი?

– ამაში სიმართლის მარცვალი არ არის. სხვათა შორის, ეს ის ოპოზიციაა, რომელიც ხელისუფლებაში იყო წლების განმავლობაში. მათი აშენებულია, სხვათა შორის, ეს გლდანის ციხე და კარგად იციან, რომ გლდანის ციხეში პატიმრის შესახლების დროს ჩანს, ვინ შემოჰყავთ – თავის დროზე არ იყო დაცული უსაფრთხოების სტანდარტები, შიდა გვირაბებს ვგულისხმობ, უსაფრთხო დერეფნებსა და გვირაბებს, რომლითაც უნდა მოხდეს პატიმრების შესახლება ისე, რომ სხვა მსჯავრდადებულებთან და ბრალდებულებთან კონტაქტი არ ჰქონდეს.

რაც შეეხება მერვე დაწესებულებას, მინისტრის ბრძანებებით მერვე დაწესებულებაში ხდება პირველადი შესახლება, სმარტ განყოფილებაში... გახსოვთ თქვენ ავადსახსენებელი კარანტინები, დღეს ის გაუქმებულია და არ ფუნქციონირებს. ამის სანაცვლოდ შექმნილია გონივრული განთავსების იზოლიატორი (სმარტი) განყოფილება, სადაც ხდება პატიმრის სასამართლოდან გადმოყვანა, ანაბეჭდების აღება, ექიმის შემოწმება... რა თქმა უნდა, ჩვენ ვფიქრობთ გლდანის დაწესებულებაში უსაფრთხო დერეფნის აშენებაზე, რათა ისე მოხდეს პატიმრის შესახლება, რომ დანარჩენმა მსჯავრდადებულებმა ვერ დაინახონ...

– რაც შეეხება გაშიშვლებას, არასამთავრობოების ნაწილმა ეს პროცედურა გააპროტესტა...

– ეს ჯდება მსოფლიო სტანდარტში. ვერ მაჩვენებთ ვერც ერთ ევროპულ ქვეყანას, სადაც ეს პროცედურა არ არის. რამდენიმე ინტერვიუ წავიკითხე ამ თემაზე. მათ შორის ერთი ძველი ციხის დირექტორის, რომელიც 2003 წლამდე მუშაობდა, ის ამბობს: ჩვენს დროს ეგეთი რამე არ ყოფილაო. რა თქმა უნდა, არ ყოფილა. იმ დროს სისტემას მთლიანად ქურდები მართავდნენ და ვერც ვერავინ გაბედავდა მათ შემოწმებას. მეტსაც გეტყვით, დილაობით პატიმრების გადათვლასაც კი ვერ ახერხებდნენ, ვერც უბედავდნენ პატიმრებს დილით გაღვიძებას ყოველდღიური სპეციალური შემოწმების გასავლელად. იმ წლებში ქურდული სამყარო მართავდი ციხეს თავიდან ბოლომდე, თავის დირექტორანად.

რაც შეეხება დღევანდელ სტანდარტებს, ციხის საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს ამ პროცედურას.

ევროპის ნამების საწინააღმდეგო კომიტეტმა და ევროპულმა სასამართლომ დადეს დასკვნები, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ეს პროცედურა ადამიანის უფლებებისა და ღირსების შემლახავად. ეს არის, როდესაც რამდენიმე მსჯავრდადებულისა და ბრალდებულის შემოწმება ხდება მნკრივში ერთად, სრული გაშიშვლებით, როდესაც ასეთ პროცედურას ესწრება საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, როცა ხდება ხელით შეხება სხეულზე და სასქესო ორგანოებზე, როცა ხდება შემოწმება, მაშინ როცა ადამიანს არც დაუტოვებია ციხის ტერიტორია, ანუ ციხეში იმყოფებოდა და მაინც ეუბნებიან, რომ შემოწმება უნდა გაიაროს.

უფლებისა და ღირსების შემლახავად ითვლება, როდესაც, უარის თქმის შემთხვევაში, ხდება იძულება თუნდაც ერთი ჩახრის გაკეთების.

ჩვენთან ეს წესები დარეგულირებულია. სრული შემოწმება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი მიღებაა ბრალდებულის გარედან შიგნით, ან როდესაც ბრალდებული გადის სასამართლო სხდომაზე, ტოვებს ციხის კედლებს და კვლავ უკან ბრუნდება. აქ არის ორი საშიშროება. ერთი: შესაძლებელია, აკრძალული საგანი და ნივთი იყოს შემოტანილი სხეულის რომელიმე ნაწილით; მეორე, შეიძლება დაზიანება ჰქონდეს რომელიც აუცილებლად უნდა აღირიცხოს. დაზიანების აღრიცხვის გარეშე შეუძლებელი იქნება შემდგომში სასამართლო-სამეცნიერო ექსპერტიზის მხრიდან დაზიანების ხარისხის განსაზღვრა. ეს ორი კომპონენტია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებში ზის.

ჩვენთან პატიმრების შემოწმება ხდება მხოლოდ გარედან შემოვლისას, განცალკევებულ ოთახში, რომელსაც არც ფანჯარა აქვს და არც ვიდეომონიტორინგის სისტემა. მას ესწრება იმავე სქესის ადამიანი და ერთი ექიმი, რომელიც აღრიცხავს დაზიანებებს.

იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი უარს აცხადებს ერთი ბუქნის გაკეთებაზე, არავინ აიძულებს მას ამის გაკეთებას, დგება შესაბამისი ოქმი და ის გარკვეული პერიოდით ცალკე საკანში თავსდება – თუ რამე აქვს, ბუნებრივი გზით გამოვიდეს ისე, რომ სხვა მსჯავრდადებულები ან ბრალდებულები არ დაზარალდნენ.

აქ ორი კომპონენტია. ერთი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. შესაძლებელია, მსჯავრდადებულმა ისეთი რამ შემოიტანოს, რომელიც დანარჩენებისთვის სახიფათო იქნება.

– ეს რა არის, ნარკოტიკები?

– ნარკოტიკი, ძირითადად კი მობილური ტელეფონები.

გასათვალისწინებელია, რომ ჩვენთან სრული გაშიშვლებაც არ ხდება. ჯერ ზედატანი მოწმდება, შემდეგ – ქვედატანი. ისე, რომ სრულიად შიშველი არავის წინაშე ადამიანი არ დგას. ამ კუთხით საერთაშორისო სტანდარტებში ვზივართ.

არასამთავრობოების ნაწილმა განაცხადა, რომ ეს ღირსების შემლახველია. მე მათ შევთავაზე, შეისწავლონ ევროპული და ამერიკული გამოცდილება. თუ ნახავენ სადმე ალტერნატივას, შემომთავაზონ. თუმცა, შემოთავაზება ჯერ არ არის, მხოლოდ საუბრობენ, რომ ასე არ შეიძლება. საუბრობენ სკანირებაზე. სკანერი ვერ მოხსნის და ვერანაირად ვერ ჩაანაცვლებს შემოწმებას, რადგანაც სკანერმა შეიძლება აჩვენოს, აქვს თუ არა აკრძალული ნივთი ტანში ადამიანს, თუმცა დაზიანებები არ დააფიქსიროს.

„გახსოვთ თქვენ ავადსახსენებელი კარანტინები, დღეს ის დანგრეულია და არ ფუნქციონირებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან

„ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი გეგმა სისტემის განვითარების“

– რაც შეეხებ ვიდეოჩანაწერს... სკანდალი იყო ვანო მერაბიშვილის გაყვანაზე და შემდეგ ჩანაწერი არ მოიძებნა...

– წლების განმავლობაში ვიდეომონიტორინგის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები საერთოდ არ არსებობდა: რატომ უნდა იყოს, სად უნდა იყოს დამონტაჟებული, რამდენი ხანი უნდა იყოს შენახული... ამ და სხვა სახის სამართლებრივი აქტი არ არსებობდა. როდესაც მე ვიყავი მინისტრის მოადგილე და მინისტრი იყო გოგა მღებრიშვილი, მაშინ იქნა მიღებული მინისტრის ბრძანება ვიდეომონიტორინგთან დაკავშირებით, რითაც დარეგულირდა შესაბამისი საკითხები.

– თავში ახსენეთ სამართლებრივი რეგულაციები, გამოდის, რომ წინა ხელისუფლების დროს არანაირი სამართლებრივი რეგულაცია არ არსებობდა?

– ერთ რამეს გეტყვით, რომ თვითონ ციხის დებულებები განსაზღვრული იყო ერთ ბრძანებაში და იმდენად ბუნდოვანი და ზოგადი გახლდათ, რომ ვერც ვერაფერს გარკვევდი. შიდა დოკუმენტებიც კი არ არსებობდა თავად თანამშრომლების უფლებამოსილებისა და კომპეტენციის შესახებ, ვიდეომონიტორინგის სისტემა არ არსებობდა, არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, დასაბუთებული, როგორ უნდა მოხდეს მსჯავრდადებულის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა, ანუ რის საფუძველზე. იყო ნათქვამი, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარე თვითონ განსაზღვრავს, სად უნდა იყოს მსჯავრდადებული გადაყვანილი, სამართლებრივი დასაბუთება არ იყო საჭირო.

ჩვენ გადავედით რისკების შეფასებაზე. თუ მანამდე დეპარტამენტის თავმჯდომარის დისკრეციაში იყო, ვის სად განათავსებდა, ახლა უკვე ნელ-ნელა დაიწყება სრული იმპლემენტაცია რისკების შეფასების – თითოეული ბრალდებულისა და მსჯავრდადებულის რისკი იქნება შეფასებული და ამას შეაფასებს არა დეპარტამენტის თავმჯდომარე, არამედ მულტიდისციპლინარული ჯგუფი, სადაც შევა ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, უსაფრთხოების რეჟიმის ინსპექტორი. შესაძლებელია, ადამიანმა ჩაიდინოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ არ იყოს მაღალი რისკის პატიმარი, იმიტომ რომ ყველაფერი ხდება ცხოვრებაში და არ იყოს კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი ადამიანი, არ იყოს აგრესიული. ანუ ციხის რეჟიმი მაინცდამაინც დანაშაულის სიმძიმესთან მიბმული არ უნდა იყოს. შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს მკვლელობა, მაგრამ იყოს დაბალი რისკის მსჯავრდადებული, სწორედ ამას აფასებს მულტიდისციპლინარული ჯგუფი. ან შეიძლება ჩაიდინოს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ თავისი არსით იყოს კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი, გამოირჩეოდეს ისეთი აგრესიულობით, რომელიც საფრთხეს შეუქმნის როგორც თანამშრომლებს, ისე დანარჩენ პატიმრებს. იმის გამო, რომ მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, ის არ უნდა იყოს გადაყვანილი დაბალი რისკის დაწესებულებაში...

...მოგეხსენებათ, ციხე რა არის, ზოგჯერ სპეციალურად ხდება რაღაც თემების წამოწევა. მაგალითად, არიან ჩვენთან ზოგიერთი ყოფილი ე.წ. მაყურებლები, რომელსაც სურდათ სისტემის მართვა, ისინი დღეს არიან საკნის რეჟიმზე. მაგრამ სურვილი აქვთ, რომ გადავიდნენ ღია ტიპის დაწესებულებაში, ამისთვის კი რას აღარ აკეთებენ: იზიანებენ თავს, ამას ახმაურებენ ძალიან მძიმედ, რომ თითქოს ეს ვიღაცამ გაუკეთათ და იწყება შიდა ვაჭრობა: თუ გადამიყვან ისევ ღია სივრცეში და მომცემ საშუალებას, რომ ჩემი კრიმინალური გავლენები გავიფართოო, თავს აღარ დავიზიანე, ხმას არ ამოვიღებ და ასე შემდეგ...

– რით იზიანებენ თავს?

– ეს არის ჩვეულებრივი საგნები, რომლებიც ბრალდებულსა და მსჯავრდადებულს შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, საპარსი, რომელიც არის ჰიგიენური საშუალება. მას აცლიან ერთჯერად „ბრიტვას“ და ინახავენ. შემდგომში ხდება დაზიანება და ოდნავი გაკაწვრაც დაზიანებად ითვლება. გვყავს რამდენიმე მსჯავრდადებული, რომელსაც სპეციალურად აქვს გაზრდილი ფრჩხილები და ამ ფრჩხილებით იღებს დაზიანებას, ეს ერთეული შემთხვევებია. ასეთ შემთხვევაში ჩვენც უძლურები ვართ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, იძულებით დავაჭრათ ვინმეს ფრჩხილები. მეორე მხრივ, პირადად მე კონტროლზე მყავს აყვანილი თითოეული შემთხვევა, რომ, უბრალოდ, ამან არ მიიღოს სისტემური ხასიათი... თითოეულ შემთხვევას ვსწავლობთ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დადგმულ სპექტაკლს, ვსწავლობთ თითოეულ შემთხვევას, რომ რამე სერიოზული არ გამოგვეპაროს. რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. ერთხელ მოქმედი ციხის დირექტორი მიეცა პასუხისგებაში, მოიხადა სასჯელი. მეორე ციხის დირექტორის მოადგილე, რომელიც არ დაემორჩილა კანონს, პასუხისგებაში იქნა მიცემული. რთულად თუ გამახსენებთ, როდესაც მოქმედი მაღალი თანამდებობის მქონე პირების მიმართ მომხდარა სამართლებრივი რეაგირება, ასეთი სახის რეაგირება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გაგრძელდება მომავალშიც, პოლიტიკური გზავნილი და სამსახურებრივი გზავნილი ჩემგან იქნება საკმაოდ ადეკვატური.

– პოლიტიკა ახსენეთ, საარჩევნო ციკლში შევდივართ, ციხე მაინც ყოველთვის გამოიყენებოდა პოლიტიკურ ბატალიებში, რას იტყვით ამაზე?

– ჩვენ გვაქვს რაღაც ტიპის ჯერ ჯერობით გადაუმოწმებელი ინფორმაციები, თითქმის ჭორის დონეზე, რომელსაც ვსწავლობთ და ვაკვირდებით პროცესებს, თქვენ იცით, ახლა არ ხდება ის თვალთვალი, კონტროლი, მოსმენები, წლების განმავლობაში რომ მიმდინარეობდა, ყველა თანამშრომელს უსმენდნენ, მათ კავშირებს სწავლობდნენ და ა.შ. დღეს ამის გაკეთება შეუძლებელია, არც კანონის საფუძვლები არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ამდენ თანამშრომელსა და პატიმრებში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც შეიძლება მატერიალური ან სხვა სახის დაინტერესების ნაცვლად რაღაც პოლიტიკურ საკითხებში ჩაერთვებიან – კარგად იციან, რომ ეს მოსმენები, ყველა რომ იყო ჩართული და უსმენდნენ, აღარ ხდება – შეიძლება შეეცადონ, რაღაც სცენა დადგან ან პატიმრებმა, ან თანამშრომლებმა...

– რა სცენაზეა საუბარი?

– იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ინციდენტი უფრო დადგმულ სცენარს ჰგავდა, ვიდრე სპონტანურად ჩადენილ დანაშაულს. მსგავსი სცენების დადგმის მცდელობის მოლოდინები არის, პოლიტიკურად შეიძლება ვინმემ ჩათვალოს რომ მომგებიანია და ეფექტური, მაგრამ პირველი მე ვიქნები, ვინც მოითხოვს იმის დასჯას, ვინც მსგავს სცენას გეგმავს, მონაწილეობს მიუხედავად რანგისა და პოლიტიკური გემოვნების. ადამიანი, რომელიც შელახავს სხვის უფლებას და ღირსებას, დაუსჯელი არ დარჩება, გინდ თანმშრომელი იყოს და გინდ პატიმარი, ამიტომ ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენ ახალი კანონის შესაბამისად მოვახდინეთ სისტემის დეპოლიტიზება, ჩვენს თანამშრომლებს ეკრძალებათ პოლიტიკური პარტიის წევრობაც კი, სწორედ იმიტომ რომ სისტემა იყოს შორს პოლიტიკისგან. ამ სისტემაში პოლიტიკა არ არის საჭირო, საჭიროა ადამიანის უფლებები. მეორე მხრივ, სარეჟიმო მოთხოვნების დაცვა, ეს იმიტომ, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, სტაბილურობა ქვეყანაში დაკავშირებულია პოლიტიკურ პროცესებთან, სისტემა რომ იყოს სტაბილური, ის უნდა იყოს მაქსიმალურად შორს პოლიტიკიდან და თქვენც ხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვარ პოლიტიკური თანამდებობის პირი, მაქსიმალურად თავს ვიკავებ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან.

– შეიძლება დაგეგმილ პროვოკაციის მოწყობის მცდელობას ჰქონდეს ადგილი ?

- შეიძლება ეს იდეა ვინმეს მოუვიდეს თავში, ყველაფერია შესაძლებელი, ან ძველი კადრი ახლად გაასაღოს. ძველ კადრს რომ გაუშვებენ ეთერში, მიდი და არკვიე, როდის არის გადაღებული. მით უმეტეს არიან პროფესიონალები, რომლებიც მონტაჟესაც მოახერხებენ... სიმართლე გითხრათ, ნაკლებად ვშიშობ ამ თემებზე, იმიტომ რომ პირველი, ვიცი, რომ არ დავუშვებ სხვის უფლების შელახვას, არასდროს არ დავაფარებ ხელს ვინმეს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და ნებისმიერი ფაქტის მიმართ იქნება კანონით დადგენილი ადეკვატური სამმართლებრივი რეაგირება, პირველი მე ვიქნები ვინც სამართლიან გამოძიებას მოითხოვს.

...ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი გეგმა სისტემის განვითარების, მოქნილობის, ადამიანის უფლებების მეტად დაცვის, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ნურავინ იფიქრებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა გადაყლაპავს სარეჟიმო პირობების მოთხოვნას, ორივე უნდა იყოს სტაბილურად დაცული, ეს არის კანონით დადგენილი პროცედურა, როდესაც გექნება სწორი რეგულაცია ერთსაც და მეორეს ეცოდინება ის ხაზები, რასაც არ უნდა გადააბიჯოს. ეცოდინება, სად არის უფლება და სად არის მოვალეობა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ შეწყვიტეს საერთაშორისო

სოზარ სუბარი:

„ისინი ამ მიმართულებით მთელი 22 წლის განმავლობაში გვეხმარებოდნენ, თუმცა ამჟამად ჩათვალეს, რომ ეს საკმარისია“

EXCLUSIVE

„მინდა მათ ვუთხრა, რომ ვინც გავა საკუთარი ნებით, გავა, ვინც – არა და აუცილებლად მოუწვეთ გასვლა პოლიციის ძალით“

„ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ის ფართი, სადაც უკანონოდ არის შეჭრილი არ დაუკანონდება“

მირიან ბოქოლიშვილი

თბილისში ე.წ. ოლიმპიურ სოფელში ათასობით დევნილი ბინის მიღებას ელოდება, თუმცა იქ სულ 600-მდე ბინის გაცემა იგეგმება. როგორ და რა კრიტერიუმებით აპირებს სოზარ სუბარი ახალი ბინების გადანაწილებას იძულებით გადაადგილებული პირებისთვის? რა დაპირება ვერ შეასრულა დევნილთა სამინისტრომ? რატომ შეწყდა საერთაშორისო დონორების დახმარება? ექნება თუ არა მომავალ არჩევნებში ხელისუფლებას დევნილთა მხარდაჭერა? ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ დევნილთა და განსახლების მინისტრს, სოზარ სუბარს ესაუბრა. ჩვენ, ასევე, დავინტერესდით, რას ფიქრობს სუბარი „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე და პრეზიდენტის პოლიტიკურ ამბიციებზე? საუბარი, რაღა თქმა უნდა, დევნილებთან დაკავშირებული თემით დავიწყეთ.

– ბატონო სოზარ, როდის დაიწყება ოლიმპიურ სოფელში ბინების გაცემა და რა კრიტერიუმებით ხდება განაწილება?

– ოლიმპიურ სოფელში ამ წუთისთვის 598 ბინაზე გვაქვს დადებული ხელშეკრულება, საიდანაც 298 უნდა ჩაგვბარდეს წელს. ეს უნდა მომხდარიყო 31 აგვისტომდე, თუმცა, როგორც ჩანს, ვერ ასწრებენ და, სავარაუდოდ, ეს ვადა ერთი თვით გადაიწევს.

რაც შეეხება კრიტერიუმებს. სამი სხვადასხვა კრიტერიუმია, რომლითაც ხდება შერჩევა: ნგრევადი ობიექტები, რომელზეც არსებობს ექსპერტიზის დასკვნა. სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები, მაგალითად, სასამართლოს დასკვნა, რომელმაც დაგვავალა, რომ ესა და ეს დევნილი სასწრაფოდ უნდა დაკმაყოფილდეს და მესამე – სოციალური მოწყვლადობა, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე.წ. ქულებს, სადაც გათვალისწინებულია ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, ბავშვების რაოდენობა, ომში მონაწილეობა, შეზღუდული შესაძლებლობა და ა.შ.

ჩვენ ამ სამიდან მხოლოდ ერთერთ კრიტერიუმზე ვერ გავაკეთებდით აქცენტს, ამიტომ გადავწყვიტეთ, მეტ-ნაკლებად სამართლიანი პრინციპი შეგვერჩია. არასამთავრობო ორგანიზაციებს, დევნილთა წარმომადგენლებსა და თქვენ, ჟურნალისტებსაც, გაქვთ შესაძლებლობა, სპეციალური კომისიის მუშაობაში მიიღოთ მონაწილეობა და დარწმუნდეთ, რომ პროცესი სრულიად გამჭვირვალეა.

– ამ ეტაპზე რამდენი განაცხადია შემოსული ოლიმპიურ სოფელში ბინის მიღებასთან დაკავშირებით?

– სულ 13 ათასი განაცხადია შემოსული. აქედან გადამოწმების შედეგად ეს ციფრი 10 ათასზე ჩამოვიდა, რადგან ზოგი ოჯახიდან 2 ადამიანს ჰქონდა შევსებული განაცხადი. არის შემთხვევა, როდესაც მოდიან და გვსაყვედურებენ, – იცით, მე ქულები მქონდა და უცებ გამინულდა. მაგალითად, გუშინაც გვქონდა ასეთი ფაქტი, სინამდვილეში მოხდა ის, რომ ოჯახში ირიცხებოდა 4 სული დევნილი და მეხუთე ჩაწერილი ჰყავდათ არადევნილი პირი, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ მსუყე პირადი საკუთრება. შესაბამისად, ამ ოჯახს ავტომატურად გაუნულდებოდა ქულები. ყველას უნდა ესმოდეს, რომ არადევნილი არ უნდა ჩაწეროს თავის საცხოვრებელში. ჩვენ მივეცით ყველა განმცხადებელს სამი კვირის ვადა, რომ გადაემოწმებინათ სიები, თუ რამე საბუთი აკლია, მოგვაწოდონ. დღეიდან უკვე ვიწყებთ შემოსული განცხადებების მონიტორინგს, ადგილზე ვამოწმებთ მათ მდგომარეობას.

– მიუხედავად ამ ყველაფრისა, ფაქტია, რომ თქვენი უწყების მიმართ მაინც ხშირია დევნილთა უკმაყოფილება... რა იწვევს ძირითადად გაღიზიანებას? სად ხედავთ პრობლემას?

– როდესაც განაცხადი დაწერა 10 ათასმა დევნილმა და იცი, რომ გასანაწილებელი გაქვს სულ 600-მდე ბინა, ცხადია, უკმაყოფილებას ვერ გავექცევით. ამ უკმაყოფილო ხალხიდან ზოგი გაგებით ეკიდება ამ პროცესს, ანუ ვისაც ესმის, რომ დღეს რაღაც კრიტერიუმების გამო თუ არ შეხვდა ბინა, ის მიიღებს ცოტა მოგვიანებით. თუმცა, რა თქმა უნდა, არიან ისინი, ვისაც ეს არ ესმის და დაუყოვნებლივ ითხოვს ბინის გადაცემას. ზოგი გვეუბნება, მე სოციალურად გაჭირვებული ვარ და უპირატესობას რატომ ანიჭეთ იმას, ვინც, დავუშვათ, ომში იბრძოდა. ომის მონაწილე პირიქით გამოთქვამს პრეტენზიას, რატომ სოციალურად დაუცველს და არა მე, რომელიც სიცოცხლის რისკის ფასად ვიცავდი ჩემს ქვეყანასო. ორივე მხარეს არსებობს სიმართლე, ამიტომაც ვცდილობთ მაქსიმალური ბალანსის შენარჩუნებას და ზემოხსენებული კრიტერიუმების დაცვას. არის ისეთი კატეგორიაც, რომელიც პოლიტიკურად ანგაჟირებულია და სადაც საყვირალი არ არის, იქ ყვირის. მაგალითად, გახსოვთ, „რუსთავი 2“-მა რომ მოაწყო რეგიონებიდან ჩართვები და აჩვენა უკმაყოფილო ხალხი. გაიიფრა, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც პრეტენზიებს გამოთქვამდა, იქნება ეს დევნილი თუ არადევნილი, იყო „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი.

– „რუსთავი 2“-ზე ოდნავ მოგვიანებით გკითხავთ, მანამდე დევნილების თემა რომ ამოვწუროთ... გარდა ოლიმპიური სოფლისა, თბილისში კიდევ სად იგეგმება დევნილებისთვის ბინების გადაცემა?

– ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს დადებული მეწარმეებისგან ბინების გამოსყიდვაზე. ეს არის სულ 308 ბინა. დასრულდა ახალი ტენდერიც, რომლის ფარგლებშიც კიდევ 300 ბინის გამოსყიდვაზე მოვაწერთ ხელს. აქ იგულისხმება როგორც შეჩერებული, ისე ახლად დაწყებული მშენებლობები თბილისის სხვადასხვა უბნებში. ეს ბინები მომავალი წლის პირველ ნახევარში ჩაგვბარდება.

– ცოტა ხნის წინ სამინისტროსთან აქცია გაიმართა, რასაც მოჰყვა თქვენი საკმაოდ ხისტი განცხადება, რომ ამ ხალხს ბინებს არავითარ შემთხვევაში არ დაუკანონებთ... ამ განცხადებამ გამოიწვია პროტესტი და აქციის რამდენიმე მონაწილემ საქართველოს პასპორტიც კი დახია... ასეთი ხისტი დამოკიდებულებით წინამორბედის შეცდომებს ხომ არ იმეორებთ?

– ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ის ფართი, სადაც უკანონოდ არის შეჭრილი არ დაუკანონდება. ამ შემთხვევაში საუბარი იყო ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობაზე, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა. გამოვაცხადეთ ტენდერი პროექტზე. გაკეთდა ეს პროექტი, გავიყვანეთ დევნილები, მაგრამ ობიექტის დატოვებაზე უარი თქვეს სოციალურად დაუცველებმა. სარემონტო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი მოიგო კონკრეტულმა კომპანიამ, რომელიც ელოდება ობიექტზე შესვლას, მაგრამ ვერ შედის და ვერ იწყებს სამუშაოებს. იქიდან გაყვანილ დევნილებს ვუხდით ქირას და იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველები არ გვაძლევენ სარემონტო სამუშაოების დაწყების

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დონორებმა დევნილების დახმარება?

„ეს იყო ძალიან არარეალისტური დაპირება, რადგან მას უკან არ ედგა შესაბამისი ფინანსური გაანგარიშება“

„ქიბარ ხალვაშმა ამ შემთხვევაში მიმართა უფრო რბილ გზას – წავიდა სასამართლოში და არა პროკურატურაში“

საშუალებას, ეს თანხებიც წყალში იყრება. მაშინ, როდესაც თავად ამ სოციალურად დაუცველებს მერია საკმაოდ კარგ წინადადებას სთავაზობს, თუმცა ისინი პრინციპულად არ ტოვებენ ობიექტს. მერია მათ სთავაზობთ ქირით გაყვანას მანამ, სანამ მათთვის არ აშენდება სოციალურად დაუცველთა სახლები. იმათ კი, ვისაც რეგიონში, ვთქვათ, ხაშურში, ან ბორჯომში აქვთ სახლები, და იმის გამო, რომ, თბილისში სურთ ცხოვრება, თქვენი აზრით, მერიამ მაინც უნდა გადაუხადოთ ქირა?! მაშინ გაყიდონ ის სახლი და იყიდონ თბილისში. რეალურად ვინც მართლა სოციალურად დაუცველია, იმას ბინის გარეშე არავინ ტოვებს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ საცხოვრებელი სახლი, თუმცა იმის გამო, რომ არ სურთ ბორჯომში ცხოვრება, შეჭრილი არიან ობიექტზე, რომელიც რეალურად დევნილებს ეკუთვნით. ისინი უკანონოდ არიან შესულები იქ და რომ ნახეს, რომ ძალას არ ვხმარობთ, მოვიდნენ და აქეთ მოგვიწყვეს მიტინგი, წამოაყენეს რაღაც ულტიმატუმები. მინდა მათ ვუთხრა, რომ ვინც გავა საკუთარი ნებით, გავა, ვინც არა და აუცილებლად მოუწვეთ გასვლა პოლიციის ძალით.

– ერთ წელში იქნება მორიგი არჩევნები... დაპირებების შესრულებით თუ ვიმსჯელებთ, როგორ ფიქრობთ, მოქმედ ხელისუფლებას ექნება თუ არა კვლავაც დევნილთა მხარდაჭერა?

– დევნილებთან მიმართებაში ჩვენ აბსოლუტურად შევცვალეთ მიდგომები და ამას ხედავს ყველა, ერთეულების გარდა. არსად დევნილების ძალად განსახლება არ ხდება, ფოცხოეწერები და ა.შ. დავიწყებას მიეცა, არ ხდება კანონიერად დაკავებული ფართებიდან მათი გამოსახლება, უკანონოდ შეჭრის შემთხვევაშიც კი მაქსიმალურად ვცდილობთ, მოლაპარაკებების გზით მივაღწიოთ შედეგს. წინა ხელისუფლებამ 2009 წელს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლითაც აიკრძალა თბილისში დევნილებისთვის ბინების გადაცემა. ეს მიდგომაც შევცვალეთ და თბილისში დაიწყო ფართომასშტაბიანი მშენებლობები დევნილებისთვის. წარმატებით გრძელდება დაკანონების პროცესი. ამ ყველაფერს ხედავენ დევნილები და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ექნება მათი მხარდაჭერა 2016 წლის არჩევნებზე. რაც შეეხება დაპირებების შესრულებას, ჩვენ გეგმაზომიერად ვასრულებთ ამ დაპირებებს, თუმცა არის ერთი დაპირება, რომელიც მე თვითონაც მიკვირს, საიდან მოვიდა. ამ დაპირების ავტორია ჩემი წინამორბედი, ბატონი დავით დარახველიძე. მან არაერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ 2016 წლის ბოლოს ყველა დევნილს ექნება საკუთარი ბინა. ეს იყო ძალიან არარეალისტური დაპირება, რადგან მას უკან არ ედგა შესაბამისი ფინანსური გაანგარიშება. დარახველიძეს იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა საერთაშორისო დახმარების მობილიზებას, თუმცა ეს არ იყო რეალური. მეტიც, საერთაშორისო დონორებმა პრაქტიკულად შეწყვიტეს საქართველოში დევნილთა პროგრამების განხორციელება და თანხების დახარჯვა.

– ანუ დევნილებისთვის საერთაშორისო დახმარებები აღარ გაიცემა?

– ისინი ამ მიმართულებით მთელი 22 წლის განმავლობაში გვეხმარებოდნენ, თუმცა ამჟამად ჩათვალეს, რომ ეს საკმარისია, პრაქტიკულად მათი პროგრამების ბოლო ეტაპები მთავრდება უკვე და ჩვენ მოგვიწევს მხოლოდ საკუთარი რესურსებით მუშაობა. მათ უკვე შეწყვიტეს დახმარება და ეს გასაგებიც არის. მაშინ, როდესაც არის უკრაინა, ერაყი, სირია და სხვა უამრავი კონფლიქტი, საქართველოს მრავალწლიანმა პრობლემამ ამ მიმართულებით უკანა პლანზე გადაიწია.

– წელან ახსენეთ „რუსთავი 2“... საინტერესოა ის, რაც დღეს ამ ტელეკომპანიის ირგვლივ ხდება. როგორ შეაფასებთ? არის მოსაზრება, რომ ქიბარ ხალვაშის უკან რეალურად ხელისუფლება დგას, რომელსაც წინასაარჩევნოდ არ სურს მისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის არსებობა... თქვენში, როგორც ყოფილ უფლებადამცველში, ეს პროცესი არანაირ ეჭვს არ აღძრავს?

– უკვე დიდი ხანია „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით სამართლებრივ დავას აწარმოებენ ტელეკომპანიის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე. რატომ მაშინ არ ყვიროდა „რუსთავი 2“ და მაშინვე რატომ არ ატეხეს განგაში, როცა დვალმა და აქიმიძემ შეიტანეს საჩივარი პროკურატურაში?! ქიბარ ხალვაშმა ამ შემთხვევაში მიმართა უფრო რბილ გზას – წავიდა სასამართლოში და არა პროკურატურაში. რაც შეეხება წილების დაყადაღებას, ეს „რუსთავი 2“-ს არანაირად არ უშლის ხელს სრულფასოვან მუშაობაში. ის, რომ ყარამანიშვილმა საკუთარი წილები არ გაასხვისოს, რა კავშირშია ჟურნალისტურ თავისუფლებასთან?! სირცხვილია, რომ დღეს ამ ტელევიზიის დირექტორი, ნიკა გვარამია ლაპარაკობდეს სიტყვის თავისუფლებასა და მედიაზე ზეწოლის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც თავგამოდებით ამართლებდა „იმედში“ ვანდალურ შეჭრას და ტელევიზიის, ჟურნალისტების დარბევას.

– თუმცა, თუკი სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, ალბათ, ისიც უნდა გაირკვეს, როგორ იგებდა ქიბარ ხალვაში მისი მეგობრის, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გამოცხადებულ მრავალმილიონიან ტენდერებს...

– თუ ვიღაც უტენდეროდ და უკანონოდ იგებდა რამეს, ეს გამოძიების საქმეა და პროკურატურამ უნდა გაარკვიოს. ყველაფერი შესწავლის საგანია. ქიბარ ხალვაში მხოლოდ „რუსთავი 2“-ს კი არა, სახელმწიფოსაც ედავება და ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. როგორ წაართვეს ბიზნესი, როგორ დაიწვა მისი კომპანიების საწყობი და ა.შ. ამიტომ ვინც რა დააშავა, ყველამ პასუხი უნდა აგოს, იქნება ეს ხალვაში თუ სუბარი.

– როგორ ფიქრობთ, 2016 წლის არჩევნებზე ვინ იქნება თქვენი გუნდის მთავარი ოპონენტი?

– მე რომ ახლა რომელიმე პარტია დავასახელო, ატეხენ ამბავს, რომ მთავრობას ჰყავს დანიშნული ოპოზიციაო. ამიტომ არ ვიტყვი. ქართველი ხალხი თვითონ გადაწყვეტს, ვინ იქნება მთავარი ოპოზიციური ძალა. „ნაციონალური მოძრაობა“ დღემდე რჩება გავლენიან პოლიტიკურ ძალად პარლამენტში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამის მესამედსაც ვერ შეიყვანს მომავალ პარლამენტში ეს პოლიტიკური მოძრაობა. სამაგიეროდ შეიძლება გამოჩნდნენ სხვა პოლიტიკური ძალები.

– პრეზიდენტზეც მინდა გკითხოთ... კვლავაც მიიჩნევთ გიორგი მარგველაშვილს თქვენი გუნდის წევრად?

– პრეზიდენტი საკუთარ თავს ჩვენი გუნდის წევრად თავად აღარ მიიჩნევს. ზოგადად, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი, მაგრამ გადაწყვეტილებებს ვიღაცის ჯინაზე არ უნდა იღებდეს. ვფიქრობ, ის, რასაც ბოლო პერიოდში მარგველაშვილი აკეთებს, პატარა ბავშვის ჟინიანობას უფრო ჰგავს, ვიდრე პრეზიდენტის ქცევას. მაგალითისთვის მოგიყვანთ მთავრობის დამტკიცებას – ერთი კვირა არ დავამტკიცებო.

– ამით ხომ არ ცდილობს პრეზიდენტი საკუთარი პოლიტიკური გავლენების დემონსტრირებას?

– მას პოლიტიკური წონის მოპოვება შეუძლია თუ სწორად გამოიყენებს მანდატით მინიჭებულ უფლებებს, რაც გააკეთა კიდეც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის დროს. მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე გახადა ეს პროცესი და არც არავის უფიქრია, რომ რამეში ჩარეულიყო. ჩვენ მივიღეთ მის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა და პარლამენტმა დაამტკიცა კიდეც. ეს იყო სწორი მიდგომა, მაგრამ რასაც აკეთებს ეროვნული ბანკის კანონთან მიმართებაში, არა მგონია, ეს ხელისშეშლის პოლიტიკა კარგად გააზრებული იყოს.

– მთავრობა რამდენად კონსტრუქციულია პრეზიდენტთან მიმართებაში?

– ინსტიტუტებისადმი პატივისცემა გამოიხატება იქ, სადაც ამ ინსტიტუტს სწორად იყენებ, სხვა შემთხვევაში პატივისცემაზე საუბარი ზედმეტია. თქვენ წარმოიდგინეთ, უცებ სახალხო დამცველმა რომ მოითხოვოს – ჩამრთეთ მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებებშიო, რა მოხდება? სასაცილო იქნება ხომ? ასეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს ინსტიტუტი არც პრეზიდენტმა და არც სხვა პირმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოსო ცისკარიშვილი: „დესტაბილიზაცია არის ძირითადად „ნაცმოძრაობისა“ და მისი სატელიტების ინტერესში“

„როცა „რუსთავი 2“ ეთერიდან გვახსენებს, რამდენი გაღარიბებული და სასოწარკვეთილია, რამდენი ცრემლია ჩვენი მოქალაქეების სახეზე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გაუბედურებულ ხალხს ნამდვილად არ ეტყობათ, რომ სამი წლის წინათ ბედნიერები იყვნენ“

ქეთი ხატიაშვილი

ახლა სწორედ ნაციონალების მიმართ ისმის ის დასკვნები, რასაც ადრე იგივე „გრეჩიხების“ მიმართ აკეთებდნენ ხოლმე – მათ ქუჩის პროცესები და არეულობა აწყობთ, რადგანაც კარგად იციან, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერ მოვლენ.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ქუჩის აქციები უშედეგო იქნება, რადგანაც ნაციონალებისადმი ნდობა ხალხში დაკარგულია, სხვა მხრივ კი, სოსო ცისკარიშვილი, მაგალითად, ახალი კოალიციების მოლოდინშია. არ გამორიცხავენ, რომ ნინო ბურჯანაძე და ირმა ინაშვილი გაერთიანდნენ. ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარები არ კეთდება, თუმცა სოსო ცისკარიშვილი ყველაზე შეუძლებელი კოალიციების შექმნის აუცილებლობას მაინც აანონსებს:

– დღევანდელი ოპოზიციური ლიდერებისთვის ფორმულა მარტივია: რაც უფრო უარესდება ვითარება, მით უფრო უკეთესია ის. ნაციონალების თავკაცები საკუთარ ნიჭს ამ პრიმიტიული ფორმულის ამოქმედებისთვის ფლანგავენ. არადა, საზოგადოების მეხსიერებასა და ხედვაში ძალაუნებურად ტივტივდება ხოლმე ქართული სხარტული – ისეთმა ფურმა ჩამწიხლოს, ჩემზე მეტს ინველიდესო... მუდმივი მცდელობა ჭკუის დარიგებისა ნაციონალისგან ისეთ თემებზე, რომელზეც, წესით, სირცხვილისგან არც კი უნდა იღებდეს ხმას ეს წარუმატებელი პოლიტიკური ძალა, აკნინებს მათ პერსპექტივას არა მხოლოდ წელს და გაისად, არამედ შორეულ პერსპექტივაშიც. სახელისუფლებო ინსტიტუტებზე მხოლოდ თავდასხმის ტაქტიკა იმდენად უშედეგო აღმოჩნდა, რომ უკვე ისტერიულ ტონზე გადავიდნენ, არადა ამ პოლიტიკური ძალის მიმართ უამრავი ნეგატივი არსებობს.

მეტი სიბრძნე და თავშეკავება უნდა გამოეჩინათ, დაეცადათ, სანამ დავინყებას მიეცემოდა მათი სიავენი, ისინი კი საკუთარ თავს მუდმივად აქტუალურს ხდიან და ამით ზრდიან მათ მიმართ ნეგატივსაც. რომ არა ასეთი ბეცი პოლიტიკური სტრატეგია ამ პარტიისა, ხელისუფლება უფრო შესუსტებული იქნებოდა. სხვათა შორის, რომ არა ნაციონალები, „ქართული ოცნება“ შეიძლება მხოლოდ მასში შემავალი სახელისუფლებო ჯგუფის ოცნებად დარჩენილიყო. ისინი ერთმანეთს აძლიერებენ და საზოგადოებაში ორივენი ავტორიტეტს კარგავენ. ამის ციფრობრივი შედეგიც არსებობს.

ვერც ერთი დღევანდელი პოლიტიკური ძალა შემდგომ არჩევნებზე უმრავლესობას ვერ მოიპოვებს...

– ვინ იქნება მთავარი ოპოზიცია, ანუ ვინ დაიკავებს ნაციონალების სივრცეს, თქვენი აზრით?

– ნებისმიერ შემთხვევაში დანარჩენი სხვადასხვა ზომის პარტიების ხელმძღვანელებს მოუწევთ თვითკრიტიკის საფუძველზე პარტნიორის ძიება ოპოზიციურ სპექტრში. ცალკე აღებული ვერც ერთი პარტია ვერ იქნება გარანტირებული, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოვა, ამის ილუზია არავის არ უნდა ჰქონდეს. პოლიტიკურად ჯანსაღმა სუბიექტებმა რაიმე ტიპის კოალიცია უნდა შექმნან, ეს აუცილებლობა არსებობს, უნდა ძლიონ საკუთარ სიჯიუტეს, იმ ნეგატივს, რაც ერთმანეთის მიმართ აქვთ და არჩევნებზე ერთად გავიდნენ.

23-მდე პოლიტიკური სუბიექტია დარეგისტრირებული საქართველოში, არც ერთ სხვა ქვეყანაში ამდენი პოლიტიკური პარტია არ არსებობს.

– რამდენად შესაძლებელია, პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს და დესტაბილიზაცია მოხდეს?

– დესტაბილიზაცია არის ძირითადად „ნაცმოძრაობისა“ და მისი სატელიტების ინტერესში. ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სახელისუფლებო სტრუქტურებიდან პასუხი არ გაეცემა ნაციონალების მხრიდან წარმოებულ მუდმივ პიარკამპანიას. როცა „რუსთავი 2“ეთერიდან გვახსენებს, რამდენი გაღარიბებული და სასოწარკვეთილია, რამდენი ცრემლია ჩვენი მოქალაქეების სახეზე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ გაუბედურებულ ხალხს ნამდვილად არ ეტყობათ, რომ სამი წლის წინათ ბედნიერები იყვნენ. ამიტომ სანამ სხვის კრიტიკას დაიწყებდე, თვითკრიტიკა თუ არ შეგიძლია, უნაყოფო იქნება ნებისმიერი ტრაბახი. პოლიტიკური ძალა, რომელსაც თვითკრიტიკის უნარი არ აქვს, წარსულში გადაბარგებისთვის არის განწირული.

– და რომელია თვითკრიტიკული?

– რომ არ ვიცნობთ ეგეთს, იმიტომაც არის კარგად ჩვენი საქმე. ჩვენი პოლიტიკური სპექტრი არის პრიმიტიული და მხოლოდ საკუთარი თავის ქების რეჟიმში მუშაობს. ეს წარმატების მიმანიშნებელი არ არის. მივედით ისეთ დონემდე, რომ პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის, ასევე, წამყვანი პოლიტიკური ძალის არჩევის ნიჭი დავკარგეთ და ვმიშობ, მალე თამადის არჩევასაც ვეღარ შევძლებთ და დავიტანჯებით ყველა სუფრაზე, სადაც თამადა გვეყოლება. იმიტომ რომ პიროვნების ფეტიშიზაცია ამა თუ პოლიტიკური ძალის პრობლემა ხდება. ლიდერები საკუთარ პარტიებს თავადვე უქმნიან პრობლემებს. გუნდურობა აუცილებელია. თითოეულ პარტიაში უნდა იყოს ბირთვი და მისი უნარები უნდა შევავფასოთ, პირველი პირის ქარიზმის ძიების პროცესში არ უნდა დავრჩეთ.

– ამ საარჩევნო მარათონს მაინც ეყოლება გამორჩეული ლიდერი?

– დაველოდებოდი რაიმე ტიპის კოალიციების შექმნას წინასაარჩევნოდ. ვურჩევდი პოლიტიკოსებს, მხოლოდ საკუთარი პარტიის წევრებით ნუ ამოწურავენ საკუთარ ხედვას ქართველი საზოგადოების მიმართ, ამდენი ციფრებში გამოხატული პოლიტიკოსი არაადეკვატურია, ცალ-ცალკე ისინი ვერ მიაღწევენ რაიმე სერიოზულ პროგრესს.

– ბურჯანაძე-ინაშვილის კოალიციაზე რას იტყვით?

– ყველაზე შეუძლებლები უნდა გაერთიანდნენ. რასაკვირველია, ეს მიუღებელია თითოეული დღევანდელი ლიდერისთვის...

საკუთარ პარტიაში არ უნდა ჩაიკეტონ, კოალიციები უნდა შეიქმნას...

„ვურჩევდი პოლიტიკოსებს, მხოლოდ საკუთარი პარტიის წევრებით ნუ ამოწურავენ საკუთარ ხედვას“

„მალე თამადის არჩევასაც ვეღარ შევძლებთ და დავიტანჯებით ყველა სუფრაზე, სადაც თამადა გვეყოლება“

ქიბარ ხალვაში: „არ მაქვს ნერვები უზრდელ გვარამიასთან „შპილკაობის“

ქეთი ხატიაშვილი

ქიბარ ხალვაშმა სასამართლოში იჩივლა, „რუსთავი 2“-ის წილებისთვის ბრძოლა, როგორც ჩანს, მალე კულმინაციას მიაღწევს. ჯერჯერობით პროცესში ჩართულია ხალვაშის ადვოკატი, ერთი მხრივ, და „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, მეორე მხრივ. მთავარი ფიგურები, ყარამანიშვილი და ქიბარ ხალვაში, დუმილს ჯერ არ არღვევენ, შესაბამისად, როგორი იქნება კულმინაცია, ძნელი სათქმელია...

რამდენადაც ცნობილი ხდება, ხალვაშის დიდი ინტერვიუ უკვე მზად არის დ მასზე ექსპერტების მთელი ჯგუფი მუშაობს. ასეთი დასკვნის საფუძველი ისევ და ისევ ქიბარ ხალვაშის ჩვენთვის მონეერილი ფრაზაა:

– ვრცელი ინტერვიუ ჩაწერილია. ამ საქმეს პიარჯგუფი აკეთებს. ჩემი საზოგადო დამცველი განცხადებას გააკეთებს...

ქიბარ ხალვაში ამბობს, რომ ის პროცესში ყარამანიშვილების ან სააკაშვილის გამოჩენას ელოდება. დებატების გამართვას სწორედ მათთან გეგმავს.

– პასუხსა და კომენტარს მხოლოდ მიშას ან „რ2“-ის სხვა მეპატრონეებს გავუკეთებ. არ მაქვს ნერვები უზრდელ გვარამიასთან „შპილკაობის“... დებატებისთვის კი სააკაშვილთანაც კი მზად ვარ...

ნიკა გვარამიას განმარტებით, არხის დამფუძნებელი ყარამანიშვილი საგანგებო განცხადებას უკვე ამ კვირაში გაავრცელებს, რაც შეეხება ქიბარ ხალვაშს, „მას არც ნერვები და არც ტვინი აქვს ჩემთან პაექრობის“, – განმარტავს ის.

ნიკა გვარამია: „არც ნერვები აქვს და არც ტვინი“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უეფა სიჭინავას რომ ენდობა, ეს დიდი ხანია ცნობილია

ზვიად სიჭინავას უეფამ 10-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა, მალე პოსტს დატოვებს. არჩევნების თარიღი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ახალ არჩევნებამდე სიჭინავა პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს, მანამდე კი სფფ-ში აუდიტი შევა და დასკვნას დადებს. ზვიად სიჭინავას განცხადებით, ის ფეხბურთიდან მიდის და მომავალ არჩევნებში კენჭისყრას აღარ აპირებს.

ექსკლუზიურად, „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ზვიად სიჭინავას სამსახური უეფაში შესთავაზა, თანაც საკმაოდ ხანგრძლივად.

თუკი ზვიად სიჭინავა უეფას შეთავაზებას დასთანხმდება, ის აღნიშნულ უწყებასთან 10-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, სწორედ ასეთი პირობა შესთავაზეს სიჭინავას ნიონიდან.

უეფა სიჭინავას რომ ენდობა, ეს დიდი ხანია ცნობილია. სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ საქართველოს დედაქალაქმა, თბილისმა, რამდენიმე დღის წინ უეფას სუპერთასს უმასპინძლა. მასპინძლობაცაა და მასპინძლობაც. თავად უეფას წარმომადგენლები, მოწვეული მაღალი რანგის სტუმრები, კლუბები და უბრალო გულშემატკივრები, ერთხმად აღიარებენ იმას, რომ ამ ივენთმა საკმაოდ მაღალი ქულები მოუტანა საქართველოს უცხოელების თვალში.

გახსნის ცერემონიალიდან დაწყებული, უმნიშვნელო დეტალით დასრულებული, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო შესრულებული. სფფ-სთან ერთად, სუპერთასის ორგანიზებაში სახელმწიფოც გახლდათ ჩართული.

ვინ წავა გაეროს ასამბლეაზე - პრემიერმა ვიზიტი უკვე დააანონსა

ლევან ალაფიშვილი: „რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებების ფონზე და იმის სადემონსტრაციოდ, რომ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, პრინციპულ საკითხებზე მაინც ერთიანი, უმჯობესი იქნება, ამ საერთაშორისო ფორუმზე პრეზიდენტიც გაემგზავროს და პრემიერიც“

მირიან ბოქოლიშვილი

გაეროს ასამბლეის რიგით 70-ე სესია სექტემბრის ბოლოს ნიუ-იორკშია დაგეგმილი, თუმცა, შარშანდელის მსგავსად, შესაძლოა, შეერთებულ შტატებში ერთმანეთის დამოუკიდებლად კვლავაც ორი დელეგაცია ჩავიდეს – ერთი მარგველაშვილის, მეორე კი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით.

როგორც „პრაიმტაიმს“ მთავრობის ადმინისტრაციაში განუმარტეს, სწორედ პრემიერ-მინისტრი გაემგზავრება გაეროში, ისევე, როგორც 8-13 სექტემბერს ჩინეთში დაგეგმილ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე.

„ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთში, ქალაქ დალიანში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში. ვიზიტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია არაერთი მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრა. ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდება ჩინეთის პრემიერ-მინისტრს, ასევე, გაიმართება მსხვილი ბიზნესკომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრა ქალაქ დალიანსა და პეკინში.

სექტემბრის ბოლოს კი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. ირაკლი ღარიბაშვილი ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე სიტყვით გამოვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია როგორც ორმხრივი, ისე გაფართოებული შეხვედრები“, – განგვიმარტეს მთავრობის ადმინისტრაციაში.

ამის პარალელურად კი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გვითხრეს, რომ გაეროში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით „მუშაობა მიმდინარეობს და გადაწყვეტილების შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაცია სპეციალურ განცხადებას გაავრცელებს“.

ექსპერტების შეფასებით, ქვეყნის უკეთ წარმოსაჩენად უმჯობესია, გაეროში გაემგზავროს როგორც პრეზიდენტი, ისე პრემიერი.

ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:

– რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებების ფონზე და იმის სადემონსტრაციოდ, რომ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, პრინციპულ საკითხებზე მაინც ერთიანი, უმჯობესი იქნება, ამ საერთაშორისო ფორუმზე პრეზიდენტიც გაემგზავროს და პრემიერიც, უფრო მეტიც, სასურველი იქნება, იქ ჩავიდეს პარლამენტის თავმჯდომარეც, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების მეთაური.

– თუმცა ამ შემთხვევაშიც, ალბათ, დღის წესრიგში დადგება, ვინ იქნება დელეგაციის ხელმძღვანელი – ღარიბაშვილი თუ მარგველაშვილი?

– ვფიქრობ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ უხელმძღვანელებს დელეგაციას.

მოკლედ, როგორც ჩანს, ეს თემა ხმაურის გარეშე ნამდვილად არ ჩაივლის. სავარაუდოდ, მარგველაშვილი კიდევ ერთხელ შეეცდება საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დემონსტრირებას, მმართველი ძალა კი მას კიდევ ერთხელ გაემიჯნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რუსთავი 2“

რა ჩვენება მისცა გამოძიებას ეროსი კინმარიშვილმა?

პროკურატურა „რუსთავი 2“-ის საქმეზე ვანო მერაბიშვილს დაკითხავს

მირიან ბოქოლიშვილი

ქიბარ ხალვაშის სარჩელის საფუძველზე „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღება მედიაში, პოლიტიკურ წრეებსა და სამოქალაქო სექტორში აქტიური განხილვის საგანია. ნაწილი მიიჩნევს, რომ კერძო სამართლებრივ დავაში უჩვეულო არაფერია, ნაწილი კი ხალვაშის უკან ხელისუფლების კვალს ხედავს, რომელსაც სურს, წინასაარჩევნოდ მაქსიმალურად შეავიწროოს ოპოზიციური არხი.

მთელი ამ პროცესის მიმართ კითხვები და ეჭვები ნამდვილად ბევრია... რატომ გაახსენდა ქიბარ ხალვაშს ჩამორთმეული საკუთრება მაინცდამაინც არჩევნებამდე ერთი წლით ადრე? რატომ არ მიმართა მან ამ დრომდე სასამართლოს? თუნდაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც ტელეკომპანიის აქციები კიდევ ერთხელ გადასხვისდა? რატომ დაიწყო მან საკუთრების უფლებების აღდგენისთვის ბრძოლა მაინცდამაინც „რუსთავი 2“-ით მაშინ, როცა გაცილებით მსხვილი და მომგებიანი ბიზნესების წართმევაში სდებს ბრალს წინა ხელისუფლებას? ამ ეჭვებს თუ ხელისუფლების წარმომადგენლების საკმაოდ მკვახე შეფასებებსაც დავუმატებთ „რუსთავი 2“-ის მიმართ, ცხადია, პოლიტიკურ კონტექსტს საკმაოდ მსუყე საფუძველიც შეექმნება.

ამკარაა, რომ ეს საფუძველი თავად ქიბარ ხალვაშის პერსონამ შექმნა, რომელიც, შეიძლება ითქვას, არც არასდროს ყოფილა პოლიტიკური კონტექსტისგან თავისუფალი, თუმცა ეს სხვა თემაა, რომელზეც ცალკე სტატიაში გიამბობთ. ახლა კი ვნახოთ თავად „რუსთავი 2“-ის წილების გადაფორმების მრავალწლოვანი ეპოპეა, რაც, თავის მხრივ, კონკრეტულ პასუხებს ნამდვილად მოითხოვს, თუმცა რა იქნება შედეგი, ეს უკვე მეორე საკითხია.

იურისტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ერთადერთი, რასაც შეიძლება ყოფილმა მფლობელებმა მიაღწიონ, საკუთრების უფლების დარღვევის გამო სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღებაა, ვინაიდან იურიდიულად მათ ძალიან გაუჭირდებათ არხის ამჟამინდელი მფლობელების არაკეთილსინდისიერ მფლობელებად გამოცხადება და, შესაბამისად, ტელეკომპანიის დაბრუნება. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სამართლებრივად ტელეკომპანიის აქციების დაბრუნება არცთუ ისე რთული გზაა. ასეა თუ ისე, პროცესი სერიოზულ ფაზაში გადადის და არა მარტო სასამართლოში. ჩვენი ინფორმაციით, ბოლო ხანს „რუსთავი 2“-ს საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები პროკურატურამაც განაახლა, სადაც გამოძიება 2012 წლის არჩევნების შემდეგ, არხის დამფუძნებლების – ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის საჩივრის საფუძველზე დაიწყო. როგორც ჩვენი წყარო გვეუბნება, გამოძიების ფარგლებში უკვე დაკითხულია არაერთი პირი, მათ შორის ყოფილი თანამდებობის პირები. ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩვენ მთავარ პროკურატურას დავუკავშირდით, სადაც მხოლოდ ის განგვიმარტეს, რომ „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს“. სხვა დეტალებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ახმაურებენ, თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ მალე ამ საქმეზე ვანო მერაბიშვილის დაკითხვა იგეგმება. მერაბიშვილი და ადეიშვილი არიან სწორედ ის პირები, რომელთაც ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი უშუალოდ ადებენ ხელს და ამბობენ, რომ ზენოლა სწორედ ამ პირებისგან მოდიოდა.

ამ საქმეზე გამოძიებამ მოასწრო არხის კიდევ ერთი დამფუძნებლის ეროსი კინმარიშვილის დაკითხვა, რომელიც მოგვიანებით საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი იპოვეს. კინმარიშვილი თავის ბოლო ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „პრიმტაიმს“ მისცა, ადასტურებდა, რომ პროკურატურაში „რუსთავი 2“-ის საქმეზე ჩვენება ნამდვილად მისცა, თუმცა იქვე განმარტავდა, რომ ხელისუფლება თავის ყოფილ პარტნიორებთან (ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი) გარკვეული ალიანსის გზით ცდილობს „რუსთავი 2“-ზე გავლენის მოპოვებას.

„მე ველოდები პროკურატურაში ჩემი ორი პარტნიორის მიერ შეტანილი საჩივრის სამართლებრივი მოქმედებების შედეგებს. ორი წელია, მესმის, რომ ჩემმა პარტნიორებმა შეიტანეს სისხლის სამართლის საჩივარი, რომლის ფარგლებშიც მე დამკითხეს დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ და მას შემდეგ პროკურატურა რაღაცას იძიებს, რას იძიებს, არავინ იცის. ვიცით, რომ ასევე უნდა მომხდარიყო სააკაშვილისა და ქიბარ ხალვაშის დაკითხვა. მე არ ვიცი, ვინ ვის და სად კითხავს, როგორც თავად პროკურატურას უყვარს ხოლმე თქმა, გამოძიება გრძელდება. იცვლებიან გამომძიებლები, გენერალური პროკურორები, მაგრამ პროცესი ადგილიდან არ იძვრის. იმ აბსურდში, რასაც ისინი გამოძიებას უწოდებენ, მოწმეს არ აქვს უფლება, პროცესში იყოს ჩართული, წარმოდგენა არ მაქვს, რას იძიებენ, რაზეა საქმე აღძრული საერთოდ. ერთადერთი ვიცი, რომ ორმა ჩემმა ყოფილმა პარტნიორმა იჩივლა ფაქტზე – ტელევიზიის წართმევასთან დაკავშირებით. მე თავად მქონდა ქიბარ ხალვაშთან სასამართლო პროცესი სააკაშვილის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ქიბარ ხალვაში დევნილობაში იყო, მაშინდელმა სასამართლომ სწორედ მას გაამარჯვებინა ჩემს წინააღმდეგ, თუმცა მე იმ პერიოდში დევნილი არ ვიყავი, საქართველოში ვიმყოფებოდი. მე მას ჩემი კუთვნილი წილის დაბრუნებას ვედავებოდი, ჩემს წინაშე შეუსრულებელი ვალდებულებების გამო“, – აცხადებდა **ეროსი კინმარიშვილი.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, 2004-2012 წლებში „რუსთავი 2“-ის მფლობელობა თითქმის 20-ჯერ შეიცვალა. ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ ხშირად ეს საეჭვო გარიგებების შედეგად ხდებოდა, რომლებშიც მიხეილ სააკაშვილთან და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობასთან დაკავშირებული პირები მონაწილეობდნენ. როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში ქვეყნის უმსხვილესი ტელეკომპანია? ამის გარკვევას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სპეციალურ კვლევაზე დაყრდნობით შევეცდებით.

აქიმიძე-დვალი-კინმარიშვილი

1994 წლიდან 2004 წლამდე „რუსთავი 2“-ის თითოეული დამფუძნებელი – ეროსი კინმარიშვილი, დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე – არხის 33,3%-ს ფლობდა. 2000-იანი წლებისთვის რუსთავში დაარსებული ტელევიზია ქვეყნის უმსხვილეს კერძო ტელეარხად იქცა, რომელიც შევარდნაძის მთავრობას ხშირად აკრიტიკებდა. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „რუსთავი 2“-მა ეგზიტპოლის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, არჩევნებში გამარჯვებული მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო, ოფიციალური შედეგების მიხედვით კი, სახელისუფლებო ბლოკი ლიდერობდა. „რუსთავი 2“-ის მიერ არჩევნების გაშუქებამ საპროტესტო აქციებს მისცა ბიძგი, რასაც ვარდების რევოლუცია და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა.

2004 წლის თებერვალში ეროსი კინმარიშვილი სავაჭრო პალატის პრეზიდენტად აირჩიეს. რამდენიმე თვეში კი „რუსთავი 2“-ის დირექტორი და 10%-ის მფლობელი ნიკა ტაბატაძე (ტაბატაძემ თითოეული დამფუძნებლისგან 3.33% მიიღო) საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ „რუსთავი 2“-ს „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ მოიხსენიებდნენ. დვალი და აქიმიძე კი იხსენებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მათ არხის დათმობას სთხოვდნენ. ყოფილი მფლობელების თქმით, ფსიქოლოგიური ზენოლის მიუხედავად, პირველ ეტაპზე მათ „რუსთავი 2“ არ დათმეს, თუმცა სა-

„ამ საქმეში ნებისმიერი პოლიტიკური ჩარევა სერიოზულ პრობლემას წარმოშობს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ის ეპოჯეა

როგორ გადადიოდა ტელეკომპანია ხელიდან ხელში და რატომ გაახსენდა ქიბარ ხალვაშს ჩამორთმეული საკუთრება არჩევნებამდე ერთი წლით ადრე?

ბოლოოდ ამ გადაწყვეტილების მიღება მაინც მოუწიათ. საქმე ის გახლავთ, რომ „რუსთავი 2“-მა MDLF-დან სესხი აიღო, რისთვისაც მფლობელებმა გარანტიად პირადი საკუთრება, მათ შორის ინტერნეტპროვაიდერ Georgia Online-ის წილები ჩადეს. როგორც დვალი და აქიმიძე ამბობენ, ამ პერიოდში დაიძაბა მათი ურთიერთობა კიწმარიშვილთან, რომელმაც 2004 წლის 11 ივნისს ტელეკომპანიის გაკოტრების პროცედურები წამოიწყო, რასაც წინ უსწრებდა „რუსთავი 2“-ის განცხადება 9,2 მილიონი ლარის ოდენობის ვალის არსებობის შესახებ. აქედან 4,6 მილიონი მას სახელმწიფო ბიუჯეტისა მართებდა. იმ პერიოდში ტელეკომპანიას მართლაც ჰქონდა ვალი ზემოხსენებული MDLF-ს (1,2 მილიონი დოლარი) და „თიბისი ბანკის“ (0,5 მილიონი ლარი), რასაც, დვალის თქმით, კომპანია განრიგის მიხედვით ისტუმრებდა, თუმცა გაკოტრების შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ, დვალისა და აქიმიძის თქმით, მდგომარეობა დაიძაბა – მსესხებლებმა ვალების დაბრუნება მოითხოვეს. იმისთვის რათა პირადი საკუთრება არ დაეკარგათ, რაც მათ სესხის აღებისას გარანტიად ჩადეს, ისინი იძულებულნი გახდნენ, „რუსთავი 2“ გაეყიდათ.

ქიბარ ხალვაში

„რუსთავი 2“-ის მფლობელობის მრავალჯერადი ცვლილება სწორედ ამ მომენტიდან იწყება. 2004 წლის 16 ივნისს, პაატა კარსანიძემ, რომლის ბიზნესსაქმიანობაზეც ცნობები არ მოიპოვება, ვალებში მყოფ „რუსთავი 2“-ის 60 პროცენტი შეიძინა (30-30% ჯარჯი აქიმიძისგან და დავით დვალისგან), იმავე დღეს კი წილები სრულად ქიბარ ხალვაშს მიჰყიდა. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, კარსანიძემ თითოეულ მფლობელს 100,000 აშშ დოლარი გადაუხადა, ხალვაშს კი წილები 200,000 აშშ დოლარად მიჰყიდა. ხალვაშის კომპანია შპს „პანორამამ“ ნიკა ტაბატაძის 10% და ეროსი კიწმარიშვილის 30%-იც შეისყიდა. საჯარო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ტაბატაძემ წილი ნებაყოფლობით დათმო და სანაცვლოდ 200 ლარის ანაზღაურება მიიღო, რაც მის მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანილი თანხა იყო. ეროსი კიწმარიშვილმა კი თავისი წილების სანაცვლოდ 50,000 აშშ დოლარი მიიღო. ოქტომბერში კიწმარიშვილმა სავაჭრო პალატის პრეზიდენტის პოსტი დატოვა და აღარც „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობაში ფიგურირებდა. მედიაში გავრცელებული ცნობების მიხედვით, მისი მეგობრული ურთიერთობა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან დასრულდა. ამ გარიგებით ტელეკომპანია მთლიანად შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ახლო მეგობრის. ქიბარ ხალვაშის ხელში აღმოჩნდა.

ბეჟუაშვილები

2005 წლის დეკემბერში „საქცემენტმა“ ქიბარ ხალვაშის კომპანია „პანორამასგან“ „რუსთავი 2“-ის 22% 131,994 ლარად შეიძინა. „საქცემენტის“ 100 პროცენტის მფლობელი პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილისა და საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, გელა ბეჟუაშვილის მამა, რობერტ ბეჟუაშვილი იყო. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ „საქცემენტისგან“ ეს წილები ისევ რობერტ ბეჟუაშვილის კომპანიამ „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ შეიძინა. 2006 წელს ქიბარ ხალვაშმა ტელეკომპანია „მზის“– 78 პროცენტი, ბეჟუაშვილმა კი მისი 22 პროცენტი შეიძინა. ბეჟუაშვილების „ინდუსტრიულ ჯგუფში“ მოექცა „პირველი სტერეოს“ 65 პროცენტიც.

ოფშორული კომპანიები

მას შემდეგ, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა მთავრობა დატოვა, ქიბარ ხალვაშმა და მისმა კომპანია „პანორამამ“ „რუსთავი 2“-ის 78 პროცენტი „ჯეო ტრანსზე“ გაასხვისა. ამ კომპანიას ვინმე ბიძინა ნიჟარაძე ფლობდა, რომლის ბიზნესსაქმიანობის შესახებაც საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით, თავის დროზე სატელევიზიო პროგრამა „დროებამ“ სკანდალური სიუჟეტიც მოამზადა, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი წილის „მყიდველი და მფლობელი“ ბიძინა ნიჟარაძე პატარკაციშვილის ფონდის რიგითი თანამშრომელი აღმოჩნდა. „დროებამ“ კადრებიც აჩვენა, როგორ ეზიდებოდა ბიძინა ნიჟარაძე დიდი ზომის ყუთებს.

ათ დღეში ნიჟარაძის „ჯეო-ტრანსმა“ წილების 55 პროცენტი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია Delgado Resources-ს მიჰყიდა. ამ ოფშორული კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი ლევან ყარამანიშვილი იყო. ყარამანიშვილი საქართველოში რამდენიმე სხვა ოფშორულ კომპანიასაც წარმოადგენდა, მათ შორის იმ კომპანიებს, რომლებიც ფლობდნენ „კავკასუს ონლაინსა“ და „მობიტელს“ („ბილაინს“), რესტორნების ქსელ GMC-ს და თბილისის რკინიგზის სადგურზე მდებარე სავაჭრო ცენტრს.

„ჯეო-ტრანსის“ მფლობელობაში მყოფი დანარჩენი 23% კი ბეჟუაშვილების „ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ შეიძინა, რომელიც 22%-ს უკვე ფლობდა.

2007 წლის დასაწყისში მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა კომპანია „ჯეომედია გრუპმა“, რომლის ოფიციალური წარმომადგენელიც ისევ ბიძინა ნიჟარაძე იყო, Delgado Resources-ის 55% შეიძინა. ამ ორი კომპანიის ბენეფიციარი მფლობელების ვინაობა დღემდე უცნობი რჩება.

2007-2009 წლებში „რუსთავი 2“-ის დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი იყო, რომელიც, შემდგომ, 2009-2013 წლებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გახლდათ. 2008 წელს ჩიქოვანმა „რუსთავი 2“-ის 30 პროცენტი შეიძინა (15% „ჯეომედია გრუპისგან“, 15% კი – „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისგან“). საჯარო რეესტრის ვებგვერდზე არსებულ არქივის დოკუმენტებში ეს გარიგება ასახული არ არის.

როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ჩიქოვანი მარეგულირებელი კომისიის წევრი გახდა, თავისი წილები ისევ „ჯეომედია გრუპსა“ და „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ მიჰყიდა, თუმცა ელექტრონულად ხელმისაწვდომ ოფიციალურ დოკუმენტებში არც ამ გარიგების შესახებ არის ცნობები.

ამ პერიოდში „რუსთავი 2“-ის დირექტორი ჩიქოვანის ბიზნესპარტნიორი გოგი გეგეშიძე გახდა. გეგეშიძე Degson Limited-ის (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა ამ კომპანიამ „რუსთავი 2“-ის 70% შეიძინა) ოფიციალური წარმომადგენელი იყო. „რუსთავი 2“-ის დარჩენილი 30% ბეჟუაშვილების ოჯახის მფლობელობაში დარჩა. („საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ 30% თავის მფლობელ კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალს“ მიჰყიდა).

2012 წლის დასაწყისში ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც ოფშორულ კომპანიებს ტელევიზიების ფლობა აეკრძალათ. ცოტა ხნით ადრე კი, ლევან ყარამანიშვილმა „რუსთავი 2“-ში Degson Limited-ის 60% და „ჩემექსიმ ინტერნეიშენალის“ 30% შეიძინა. გოგი გეგეშიძე კი, რომელიც Degson Limited-ს წარმოადგენდა, დარჩენილი 10%-ის მფლობელი გახდა.

კეზერაშვილი-ყარამანიშვილები

2012 წლის 4 ოქტომბერს, ანუ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ „რუსთავი 2“-ის 40% დავით კეზერაშვილის კომპანია „მედია ჯორჯიაზე“ 500,000 აშშ დოლარად გასხვისდა. „მედია ჯორჯიამ“, რომელიც ამ გარიგებამდე ერთი დღით ადრე დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, წილები ხუთ დღეში გიორგი ყარამანიშვილს იგივე ფასად მიჰყიდა.

2012 წლის ნოემბრიდან მოყოლებული ეს ტელეკომპანია ძმებ ყარამანიშვილების მფლობელობაშია. ლევან ყარამანიშვილი წილის 22%-ს ფლობს, გიორგი ყარამანიშვილი კი – 18%-ს. „რუსთავი 2“-ის 51%-ს ტელეკომპანია „საქართველო“ ფლობს, რომლის 60% – ლევან ყარამანიშვილის, 40% კი გიორგი ყარამანიშვილის მფლობელობაშია. დარჩენილი 9% კი აწ გარდაცვლილ გოგი გეგეშიძის მეუღლეს ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ტელეკომპანია „საქართველო“, რომელიც „რუსთავი 2“-ის 51 პროცენტს ფლობს, თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული ტელევიზია იყო და მას მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელი ფლობდა. არჩევნების შემდეგ სიხშირე „ტაბულა TV“-მ შეიძინა.

როგორც ხედავთ, ტელეკომპანიის წილების ყიდვა-გაყიდვის პროცესი საკმაოდ ჩახლართულია და რთულია იმის დადგენა, ვინ არის დღეს ამ ტელევიზიის კანონიერი მესაკუთრე. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მყარია სამართლებრივად ყოფილი მფლობელების არგუმენტები და, შესაბამისად, იმსჯელოს მათთვის ზარალის ანაზღაურებასა და პასუხისმგებელი პირების დასჯაზე. ცხადია, სასამართლოს მოუწევს ბეწვის ხიდზე გავლა, რომ, ერთი მხრივ, დადგინდეს სიმართლე, და მეორე მხრივ, ხელი არ შეეშალოს დამოუკიდებელი მედიის ფუნქციონირებას. ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია, რომ მაყურებლები ტელევიზორთან გატარებული ყოველი 100 წუთიდან 32 წუთს სწორედ ამ ტელეარხს უთმობენ. ზემოხსენებული კვლევის ავტორებიც მიიჩნევენ, რომ ამჟამად, „რუსთავი 2“ უფრო კრიტიკულია მთავრობის მიმართ, ვიდრე – სხვა ტელეარხები. „შესაბამისად, ამ საქმეში ნებისმიერი პოლიტიკური ჩარევა სერიოზულ პრობლემას წარმოშობს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საფეხბურთო კლუბ „ცხუმის“ საჩუქარი ომის გმირებს და მათ ოჯახებს

მაგდა კლდიაშვილი

საფეხბურთო კლუბმა „ცხუმი“ აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და აფხაზეთის ომის ვეტერანს, უეფას სუპერთასზე დასასწრები ორი ბილეთი გადასცა.

კლუბის პრეზიდენტმა, ალექსანდრე წულაიამ, საკუთარი გუნდის ფეხბურთელებთან ერთად, მცირედი საჩუქრით გაახარა ერთ-ერთი გარდაცვლილის ოჯახი. კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ილია შეყლაშვილის ოჯახმა, საჩუქრად „ბარსელონა“-„სევილიას“ მატჩზე დასასწრები ორი ბილეთი მიიღო, აფხაზეთის ომის ვეტერანმა, ბესარიონ გუგუჩიამ კი სოხუმის კლუბისგან – ერთი ბილეთი.

„არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ, უცებ შევიტყვეთ. დიდი მადლობელი ვარ კლუბის ხელმძღვანელობის და მათი, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში“

როგორც ალექსანდრე წულაია ამბობს, ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის და მათი გუნდის სურვილია, რომ მორალურად გვერდში დაუდგნენ ასეთი ადამიანების ოჯახებს.

ალექსანდრე წულაია:

„დღეს დიდი ზეიმია საქართველოში. ბედნიერები ვართ, რომ ასეთი ზეიმი საქართველოშია. „ცხუმის“ ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს, რომ იმ ბილეთების ნაწილს, რომელიც ფედერაციამ მოგვაწოდა, მისცემენ აგვისტოს ომში დაღუპულთა და ომის ვეტერანების ოჯახებს. დაემთხვა, რომ დღეს ილია შეყლაშვილის გარდაცვალების დღეა და სწორედ დღეს, ამ პატარა საჩუქარს ვუკეთებთ მათ ოჯახს, ვაკეთებთ იმას, რაც ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებშია. შეყლაშვილის ოჯახს ორ ბილეთს ვჩუქნით, ასევე, ბილეთს ვჩუქნით, აფხაზეთის ომის ვეტერანს, ბესარიონ გუგუჩიას. ის აფხაზეთში იბრძოდა და დაჭრილი იყო. ეს დიდი გულისტკივილია, რომელიც არასდროს განქარდება ჩვენს გულებში. ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის. დღეს ჩვენ მოგვეცა საშუალება, გვეთქვა, რომ არ გვავიწყდება ჩვენი გმირები. დღეს, ერთ-ერთი ბედნიერი დღეა ჩემი და „ცხუმის“ ფეხბურთელების ცხოვრებაში, რომ შევძელით, მცირე ყურადღება მიგვექცია გმირების ოჯახებისთვის“.

„ეს დიდი გულისტკივილია, რომელიც არასდროს განქარდება ჩვენს გულებში. ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის. დღეს ჩვენ მოგვეცა საშუალება, გვეთქვა, რომ არ გვავიწყდება ჩვენი გმირები“

მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა შეყლაშვილების ოჯახისთვის „ცხუმის“ ფეხბურთელების საჩუქარი. როგორც აგვისტოს ომის გმირის, ილია შეყლაშვილის ძმა, აკაკი შეყლაშვილი ამბობს, ეს მათთვის დიდი ყურადღება და სიხარულია.

აკაკი შეყლაშვილი:

„არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ, უცებ შევიტყვეთ. დიდი მადლობელი ვარ კლუბის ხელმძღვანელობის და მათი, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. ბილეთი არ მქონდა და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ შეხვედრაზე დასწრების საშუალება მექნება“.

ბესარიონ გუგუჩია აფხაზეთის ომის ვეტერანია, ისიც, შეყლაშვილების ოჯახთან ერთად უეფას სუპერთასის ბილეთით დაჯილდოვდა.

ბესარიონ გუგუჩია:

„პირველ რიგში, „ცხუმს“ ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმ ყურადღებისა და პატივისცემისთვის, რაც ჩვენი მისამართით გამოავლინა. ასეთ საჩუქარს ნამდვილად არ ველოდებოდით, ძალიან გვიხარია. იმედია, საშა წულაიას ხელძღვანელობით, ჩვენი კლუბი ძველ დიდებას დაიბრუნებს და მათ თამაშებზეც ვივლით“.

„იმედია, საშა წულაიას ხელძღვანელობით, ჩვენი კლუბი ძველ დიდებას დაიბრუნებს და მათ თამაშებზეც ვივლით“

„ცხუმის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა საკუთარ ბილეთებზე უარი თქვეს, მათ შორის იყო კაპიტანი ავთანდილ კიკვიძე, რომელმაც სუპერთასზე წასვლა კეთილი სურვილის გამო გადაიფიქრა.

ავთანდილ კიკვიძე, „ცხუმის“ კაპიტანი:

„ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ვეხმარებით ომში დაღუპული გმირების ოჯახებს. აქედან გამომდინარე ვთქვით ჩვენს ბილეთებზე უარი და ვფიქრობ, რომ კეთილსინდისიერად მოვიქეცით“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრეზიდენტის ფავორიტი

ბულვარულმა პრესამ ის ორალური სექსის დედოფლად შერაცხა, სკანდალის დასრულების შემდეგ კი მონიკა ლევინსკი წერდა, რომ მის წინ ყველა კარი დაიხურა და სამსახურის შოვნაც კი გაუჭირდა

ქეთი ხატიაშვილი

ძალაუფლებაში პოლიტიკურ ფიგურებს არა მხოლოდ საკუთარი გავლენები მოსწონთ, არა მხოლოდ ის ხიბლავთ, რომ მათთვის ყველა კარი ღიაა, არამედ გლამურული ქალბატონების ყურადღებაც აღაფრთოვანებთ. როგორც ამბობენ, როცა კენედი ამერიკის პრეზიდენტი გახდა, პირველი ფრაზა, რომელიც წარმოთქვა, სწორედ სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ: ახლა ხომ ყველა ლამაზი ქალია ჩემიაო.

პრეზიდენტები და მათი საყვარლები ყოველთვის იყვნენ საზოგადოებისა და მედიის ყურადღების ცენტრში. იმავე კენედის მიაწერენ ბრიტანეთის პრემიერისთვის ნათქვამ ფრაზას: საკმარისია, სამი დღის განმავლობაში ქალი არ მყავდეს, რომ საშინელი თავის ტკივილები მეწყებაო.

ვერ დაასახელებთ პრეზიდენტს ან მმართველს, რომლის სასიყვარულო თავგადასავლები სკანდალისა და ხმაურის საფუძველი არ გამხდარიყოს. აქაც კენედი ლიდერობს მერილინ მონროსთან ურთიერთობით. პრეზიდენტისა და ჰოლივუდის მსახიობის რომანს კიდევ უფრო მისტიკურს ხდის მათ ურთიერთობის დასასრული. ბევრი მიიჩნევს, რომ მერილინ მონრო სპეცსამსახურებმა მოკლეს, რადგანაც ის კენედის აშანტაჟებდა და მის ცოლად მოყვანას აიძულებდა.

შანტაჟისა და შპიონაჟის ელემენტები ამოიკითხეს მონიკა ლევინსკის სკანდალურ განცხადებებშიც. თეთრი სახლის სტაჟიორი დეტალურად აღწერდა ბილ კლინტონთან სექსუალურ ურთიერთობას. მართალია, ამ ხმაურს პრეზიდენტი კინაღამ გადაჰყვა, მაგრამ საბოლოოდ წაგებული მაინც მონიკა ლევინსკი დარჩა. რამდენადაც ის ცდილობდა, კლინტონთან სასიყვარულო რომანზე ესაუბრა, იმდენად საზოგადოება მისგან ორალური სექსის დეტალების მოყოლას დაჟინებით ითხოვდა. საბოლოოდ, ბულვარულმა პრესამ ის ორალური სექსის დედოფლად შერაცხა, სკანდალის დასრულების შემდეგ კი მონიკა ლევინსკი წერდა, რომ მის წინ ყველა კარი დაიხურა და სამსახურის შოვნაც კი გაუჭირდა. დამსაქმებლები პირად საუბრებში მიანიშნებდნენ, რომ ჰილარი კლინტონის გამო, რომელიც შესაძლოა, პრეზიდენტი გამხდარიყო, მონიკას სამსახურში აყვანა არ სურდათ.

სასიყვარულო სკანდალებით საფრანგეთის პრეზიდენტებიც გამოირჩევიან. ამბობენ, თითქოს როცა მიტერანის ცოლს მეუღლის საყვარლებზე ჰკითხეს, მან ირონიულად უპასუხა: გიხაროდეთ, რომ თქვენი პრეზიდენტი ქალებს უყვართ, ის ხომ კაცებში არ დადის...

სხვათა შორის, ფრანსუა მიტერანის გამორჩეული ფავორიტი სასიყვარულო ურთიერთობებში ანა პენჟო იყო, რომელმაც პრეზიდენტ მიტერანს გოგოც კი გაუჩინა. საყვარელი ქალბატონი, შვილთან ერთად, მიტერანის განკარგულებით, ელისეის სასახლეში სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრობდა, მაგრამ შირაკმა მათი გეგმები რადიკალურად შეცვალა. მიტერანს არჩევნებში მოუგო და საყვარელი ქალი, თავის ქალიშვილთან ერთად, ელისეის სასახლიდან „გამოასახლა“.

სერიოზული სკანდალი მოჰყვა ფრანსუა ოლანდის სასიყვარულო ურთიერთობასაც. მედიამ მას არაოფიციალური ცოლი აღმოუჩინა და ისიც გაარკვია, რომ ქალბატონი დაცვითაც სარგებლობდა და სხვა საბიუჯეტო სიკეთეებითაც. ოლანდმა საყვედურების პასუხად მხოლოდ ის თქვა, რომ ცოლთან ურთიერთობები დაძაბული აქვს. ასეთმა გულწრფელობამ საფრანგეთის პრეზიდენტს რეიტინგიც კი მოუმატა.

კარლა ბრუნი, როგორც წერენ, თითქმის ერთადერთია, ვინც საყვარლობიდან ოფიციალური ცოლის სტატუსის მოპოვება შეძლო. ბრუნისა და სარკოზის ურთიერთობამ ამ უკანასკნელსაც საკმაოდ დიდი დივიდენდები მოუტანა პოლიტიკაში.

საფრანგეთისა და ამერიკის პრეზიდენტები სასიყვარულო ურთიერთობებში სკანდალებში საკმაოდ ხშირად ეხვეოდნენ ხოლმე.

ერთ-ერთმა რუსულმა საიტმა პრეზიდენტების საყვარლების ათეულიც კი შეადგინა. იქ პირველ ადგილს პუტინი იკავებს, კაბაევასთან ერთად. ათეულში შევიდნენ მონიკა ლევინსკი, მერილინ მონრო, ანა პენჟო, ლუკაშენკო თავისი პირადი ექიმით და მიხეილ სააკაშვილი ალინა გაგლოევას ისტორიით.

ალინა გაგლოევა, რუსული წყაროების მიხედვით, სანდრა რულოვსთან ერთად დაფეხმძიმებულა, მაგრამ პრეზიდენტს ბავშვი არ მიუღია და ფეხმძიმე გაგლოევა ქვემო ქართლის გუბერნატორისთვის სურდა მიეთხოვებინა. თუმცა ამაზე პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსს უარი უთქვამს და 20 წლის საყვარელი ქალბატონი დიდხანს ცხოვრობდა პრეზიდენტისა და ბიუჯეტის ხარჯზე. მართალია, ბავშვის ბედზე წყაროები არაფერს წერენ...

გაგლოევასთან პრეზიდენტის დამოკიდებულებას მიაწერენ ვაზისუბანში გზების დაგებასაც. როცა პრეზიდენტმა ახალგაზრდა გოგონა გაიცნო, ის სწორედ ვაზისუბანში ცხოვრობდა.

რუსული წყაროები, სხვათა შორის, პრეზიდენტ სააკაშვილის სასიყვარულო ურთიერთობებზე ყოველთვის უარყოფით კონტექსტში წერდნენ. შავი პიარის ასაგორებლად ის ხან ვის ეცემოდა გასაუპატიურებლად, ხან ვის – საჩქმეტად და ხან ვის – საკბენად.

ერთ-ერთ ასეთ ლეგენდაში მონაწილეობა თინა კანდელაკმაც მიიღო. ის პუტინის დიდი მოტრფიალეა და ირწმუნებოდა, რომ სააკაშვილს მისი გაუპატიურება სურდა, მაგრამ თინამ საკუთარი ღირსება დაიცვა და არ დანებდა პრეზიდენტ სააკაშვილს. და სად აქვს თიკას ღირსება? – გაუკვირდათ რუსეთის გლამურულ დივებს. ერთ-ერთმა მათგანმა საქართველოშიც იმოგზაურა და პრეზიდენტ სააკაშვილსაც შეხვდა, მოგვიანებით კი ნერდა, ჩემთან არაფერი „უკისრია“ სააკაშვილს და თინა კანდელაკმა ნეტა რა მოიგონაო. მოკლედ, საქართველოს პრეზიდენტთან დაკავშირებით რუსმა გლამურულმა ქალბატონებმა ერთმანეთს დააყარეს კიდეც.

სააკაშვილის ფავორიტობისთვის საქართველოშიც იყო შიდა პატარ-პატარა ომები. პრეზიდენტის ერთ-ერთ მთავარ და პირველ სიყვარულად ია ფარულავას ასახელებენ. გავრცელებული ხმების მიხედვით, მიხეილ სააკაშვილს ეს შავთმიანი ლამაზი გოგონა ჯერ კიდევ ბავშვობიდან უყვარდა. ისინი ერთად რამდენიმე ოფიციალურ წვეულებაზეც გამოჩნდნენ. ამბობენ, რომ ედუარდ შევარდნაძემ ერთ-ერთ მიღებაზე ისინი ერთად შენიშნა და ია ფარულავას წვეულების დატოვება მოსთხოვა. ქორები ამ წყვილის გარშემო ყოველთვის არსებობდა და არსებობდა მანამ, სანამ იას ცხოვრებაში ფადი ასლი არ გამოჩნდა.

ბოლო სექსსკანდალი, რომელიც სააკაშვილთან დაკავშირებით ატყდა, მის ოდესელ თანაშემწეს უკავშირდება

პრეზიდენტ სააკაშვილს მიაწერენ რომანს მაშინდელ რამდენიმე გავლენიანი პოლიტიკოსის ცოლებთანაც. ამ თემაზე რუსული წყაროები ყოველთვის დიდი და განსაკუთრებული მადით წერდნენ.

გლამურული „ნაშებიდან“ გამოარჩევდნენ სოფო ნიჟარაძეს. ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც სიმღერაში დიდი მონაცემები არ ჰქონდა, მოულოდნელად ქართული ესტრადის ვარსკვლავი ხდება. ის მღერის ყველა უცხოელ ვარსკვლავთან ერთად დუეტში, ხსნის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას.

„ვრცელდებოდა ხმები, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი სოფოზე დაქორწინებას გეგმავდა. ამ ხმების გავრცელებას კი ძალიან უწყობდა ხელს მომღერლის ოჯახის დამოკიდებულება. სოფოს დედა და თავად მომღერალი, ქორების თანახმად, პრეზიდენტის სასახლეში ცხოვრობენ, ხოლო ქართული მიუზიკლების ვარსკვლავის დედა ახლობლებთან საუბრისას ხშირად უსვამდა ხაზს იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი, ფაქტობრივად, მისი სიძე გახლდათ. რომ არა პრეზიდენტის პირადი დაინტერესება, რომელიც მიუზიკლების დადგმაში სერიოზულ როლს თამაშობდა და ყველა დეტალში აქტიურად ერეოდა, გამორიცხულია, ნორმალურ ქვეყანაში ყველა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების მთავარ მოთამაშედ მხოლოდ ერთი შემსრულებელი შეერჩიათ, მაშინ, როცა ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში უამრავი სხვა კარგი მომღერალი არსებობს.

ნიჟარაძისთვის სპეციალურად ჩამოიყვანეს სტივ უანდერის ბექ-ვოკალისტი დეჟა გომესი, რომელთან ერთადაც დუეტი ჩაწერა და კლიპიც გადაიღო. ყველა საახალწლო ღონისძიების დაგეგმვისას მთავარი ის გახლდათ, ვისთან ესიამოვნებოდა დუეტის შესრულება სოფო ნიჟარაძეს და რამდენად დასთანხმდებოდა უცხოელი შემსრულებელი ქართველ მომღერალთან დუეტს. ბოლოს საქართველოს ხოაკინ კორტესი სტუმრობდა, რომელსაც, ამბობენ, მილიონი გადაუხადეს იმისთვის, რომ სოფოს რაბათისადმი მიძღვნილ კლიპში ხელი ერთი-ორჯერ აექნია“. – წერდა სოფოზე ჟურნალი „რეიტინგი“.

თუმცა, როგორც ყველა სხვა ურთიერთობა, სოფოსთან სააკაშვილის დამოკიდებულებაც შავი პიარის ნაწილად იქცა. ნერდნენ, თითქოს სააკაშვილმა სოფოს მკერდი მოაჭამა. ამ ჭორს თავად ნიჟარაძე უკვე წლების შემდეგ გამოეხმაურა, როცა ერთ-ერთ გადაცემაში ყვებოდა, როგორ გაძვრა საცურაო კოსტიუმის ზედა ნაწილი და ხალხმა მისმა შიშველი მკერდი დაინახა. ამ დროს გაბუნია ჩაერთო საუბარში: არაუშავს, სამაგიეროდ ნახავდნენ, რომ მოჭმული არაფერი გაქვსო.

ცალკე ისტორია იყო ვერა ქობალია, რომელიც, ლამაზი თვალებისა და გარეგნობის გამო, კანადიდან ჩამოიყვანეს. პურის საცხობიდან ის პირდაპირ ეკონომიკის მინისტრის კაბინეტში შევიდა. ლამაზი იყო, თუმცა ჟურნალისტები მის ეკონომიკურ განათლებას ყოველთვის დასცინოდნენ. როცა მინისტრ ქობალიას პარლამენტში უსმენდნენ, დეპუტატების მინისტრისთვის კითხვებზე პასუხი დაწერილი მიჰქონდათ. ამისთვის კი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალები, ხმაური და შანტაჟი

EXCLUSIVE

დარბაზში ერთ-ერთი მოადგილე იჯდა, რომელიც შეკითხვებს ინიშნავდა და წერილობით სცემდა პასუხს, რომელსაც მოგვიანებით ქობალია ტრიბუნიდან კითხულობდა.

ბოლო სექსსკანდალი, რომელიც სააკაშვილთან დაკავშირებით ატყდა, მის ოდესელ თანაშემწეს უკავშირდება. დაინერა, თითქოს ოდესის გუბერნატორმა მარია გაიდარი გააუპატიურა. წყაროდ „ბი-ბი-სი“ იყო დასახელებული. რა თქმა უნდა, არც „ბიბისის“ დაუწერია მსგავსი არაფერი და არც გაიდარი გაუუპატიურებია ვინმეს, მაგრამ სააკაშვილისგან სექსუალური მონსტრის შექმნას ისე გამალებით ცდილობენ, რომ რუსებმა ლამის სექსში ახალი მიმდინარეობა მოიგონონ.

გლამურულ ქალბატონებთან ურთიერთობების გარდა, სააკაშვილს, ჯერ კიდევ საქართველოში პრეზიდენტად ყოფნის დროს, საკმაოდ ძვირადღირებული მასაჟისტების მომსახურება „გაუბაზრდა“. დიდმკერდიანმა მასაჟისტმა ქალმა ფოტოებიც გამოაქვეყნა და პატარა ინტერვიუც.

მოკლედ, პოლიტიკის მიღმა სააკაშვილის პირადი ცხოვრება არანაკლებ სკანდალური და ხმაურიანია.

ბევრწილად, ამ ხმებსა და სკანდალებს თავად საყვარლები ავრცელებდნენ ხოლმე. ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიტიკოსი ლამაზმანი, მაგალითად, იმდენად დარწმუნებული იყო სააკაშვილის გრძნობებში, რომ პირად საუბრებში ამბობდა, მალე ცოლად მომიყვანს მიშაო. მის მესიჯებს რუდუნებით ინახავდა და ილუზიებმა იმდენად გაიტაცა, რომ, ასევე, პირად საუბრებში ირწმუნებოდა, მედიაში სანდრას კრიტიკა მიშას დაკვეთილიაო.

მოკლედ, სიყვარული თუ ბრმაა, ამბიციები ნამდვილი სიგიჟეა.

ამ ამბიციების გამო არა მხოლოდ კანდელაკი და სობჩაკი წაეკიდნენ ერთმანეთს რუსეთში, არამედ ნიჟარაძე და ქობალიაც – საქართველოში. მაშინ „რეიტინგი“ წერდა:

„სოფოს საკმაოდ მძიმე ხელი, როგორც ამბობენ, ვერა ქობალიამაც იგემა. თვითმხილველი, რომელმაც ინ-

გლამურულ ქალბატონებთან ურთიერთობების გარდა, სააკაშვილს, ჯერ კიდევ საქართველოში პრეზიდენტად ყოფნის დროს, საკმაოდ ძვირადღირებული მასაჟისტების მომსახურება „გაუბაზრდა“

კოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ყვება, რომ ყვარლის რეზიდენციაში ეკონომიკის აწ უკვე ყოფილ მინისტრსა და დივას შორის სერიოზული შეხლა-შემოხლა მომხდარა. ორივე ქალბატონი იქ ყოფილა, ვერა გარეთ იჯდა, როდესაც ნიჟარაძე გამოუვარდა, ჯერ სიტყვიერად შეურაცხყო, შემდეგ კი ერთმანეთს ხელითაც შეეხნენ. როგორც ამბობენ, სოფომ ვერა ქობალია დაჯაბნა და ფიზიკურად გაუსწორდა, თმით ითრია. რასთან დაკავშირებით ჰქონდა პრეტენზია სოფოს, უცნობი დარჩა, თუმცა კი, შესაძლოა, ეს ფავორიტობის თემას უკავშირდებოდეს“.

ასე რომ, მიხეილ სააკაშვილი, როგორც წერენ, არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტსა და საპრეზიდენტო ყურადღებას არ აკლებდა საკუთარ ფავორიტებს, არამედ საქართველოს კონსტიტუციასაც ცვლიდა მათ გამო. მაგალითისთვის მარიამ საჯაია მოჰყავთ. ამბობენ, რომ 21 წლის გოგო სწორედ გარეგნობის წყალობით მოხვდა საარჩევნო სიის ათეულში. ამის საშუალება რომ ჰქონოდათ, პრეზიდენტმა ჯერ პარლამენტს კონსტიტუცია შეაცვლევინა და დეპუტატობის ქვედა ზღვარი 21 წლამდე დააწევინა.

ძნელი სათქმელია, რამდენად გამოდის სააკაშვილისგან სექსმონსტრი, თუმცა პოლიტიკური მონსტრი ის დიდი ხანია გახდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

გოგი თოფაძე

გიორგი ერგემლიძე

მაგდა კლდიაშვილი

ზვიად სიჭინავა ქართული ფეხბურთიდან მიდის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ, ეს განცხადება სუპერთასის დასრულების შემდეგ გააკეთა.

როგორც „პრაიმტაიმს“ თავად სიჭინავამ განუცხადა, ის ფეხბურთიდან მიდის და უეფას სუპერთასი მისი ფინალი იყო.

„დიდი მადლობა ყველაფრისთვის. მადლობა გადავუხადე ჩემს სტაფს, რომელთანაც 6 ნელი ვიმუშავე, გულშემატკივრებს და მათ ბოდიშს ვუხდი, თუ რამე მქონდა ამ პერიოდში შეცდომა და იმედგაცრუებები, რომელიც იყო. განვაცხადე, რომ რამდენიმე დღეში შეიკრიბება აღმასკომი, დაინიშნება არჩევნების თარიღი და ჩატარდება. არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ. მე ფეხბურთიდან მივდივარ. ეს იყო ჩემი ფინალი და ნებისმიერი ფინალიდან უნდა წახვიდე. ამაზე უკეთეს პიკს ვერ მივაღწევდი ჩემს კარიერაში. რატომ მივდივარ? – მოვკარი ყური, მე მომიკლავს ქართული ფეხბურთი. როგორც ბიზნესმენი, იმ ბიზნესიდან, რომელსაც კლავ, უნდა წახვიდე. უეფას ხელმძღვანელობისგან უმაღლესი შეფასება მივიღეთ. აღნიშნეს, რომ სუპერთასი მართლაც სუპერი იყო და ეს იყო სუპერთასის ისტორიაში ყველაზე მაღალი დონის ღონისძიება. მე წავედი, ასე სჯობს“.

საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი ცნობილი პარასკევს გახდა და ის 3 ოქტომბერს გაიმართება.

ალექსი ახვლედიანი არსად გაქცეულა

თბილისის 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი, ალექსი ახვლედიანია და ის არსად გაქცეულა.

როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, ოლიმპიური ფესტივალის დასრულების შემდეგ, ახვლედიანი საქართველოდან ევროპაში გაემგზავრა და ის სამშობლოში დაბრუნებას აღარ აპირებს. აღნიშნული გამოცემების ინფორმაციით, ახვლედიანი შესაძლოა პროკურატურაში დაიბარონ, თანხების არასწორ ხარჯვასა და ტენდერებთან დაკავშირებით.

ამ ინფორმაციას ალექსი ახვლედიანი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

„ჯერ ისევ საგარეჯოში ვარ, ხვალ მივფრინავ პეკინში, მძლეოსნობის საარჩევნო კონგრესზე. ვბრუნდები 23 აგვისტოს და ჩემს უსაყვარლეს „პირველი რადიოს“ ჟურნალისტებს ვეპატიჟები ჩინურ ჩაიზე, რომელსაც მათთვის ჩამოვიტან“, - წერს ახვლედიანი სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე საგარეჯოდან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მერაბ ჟორდანიას ისევ სფფ-ს პრეზიდენტობა სურს

გავრცელებული ინფორმაციით, მერაბ ჟორდანიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი ისევ სურს და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. ეს ინფორმაცია, თავად ჟორდანიას არ დაუდასტურებია, მანამდე კი აქტიურად მიდიოდა საუბრები იმის შესახებ, რომ ბიზნესმენს თბილისის „დინამოს“ დაბრუნება სურდა. საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, ცნობილი კი ისაა, რომ მერაბ ჟორდანია, სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე მეორედ არჩევის შემდეგ, ფინანსური მაქინაციების გამო დაკავებული იყო და 70 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ ის ციხიდან გამოუშვეს. 2005 წელს, ჟორდანიამ სფფ-ს პრეზიდენტის პოსტი დატოვა, 10 წლის შემდეგ კი, როგორც ჩანს, მას ისევ სურს ძველ პოსტზე კენჭისყრა.

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

ლეონელ მესი

ბუბა დაუშვილმა გოლი ახალდაბადებულ ჩვილს მიუძღვნა

ლვოვის „კარპატმა“ უკრაინის პრემიერლიგის მეოთხე ტურში, შინ „ჩერნომორეცი“ 4:0-ით გაანადგურა. მასპინძელთა რიგებში სრულად ითამაშა ქართველმა ნახევარმცველმა, ბუბა დაუშვილმა, რომელმაც ოდესელებს გოლი 11-მეტრიანის ნიშნულიდან 92-ე წუთზე გაუტანა.

დაუშვილი ლვოველების პენალტისტი არ არის, მაგრამ მას თანაგუნდელებმა პენალტის დარტყმის უფლება ერთი საპატიო მიზეზის გამო მისცეს. დაუშვილს ქალიშვილი, მარიამი (მაშო) შეეძინა.

გატანილი გოლის შემდეგ, „კარპატის“ ფეხბურთელებმა, ეს ფაქტი, ცნობილი ჟესტით, ერთად აღნიშნეს.

„ძალიან ბედნიერი ვარ, გოლს ჩემს ახლადდაბადებულ შვილს, მარიამს ვუძღვნი. ისიც ძალიან მიხარია, რომ მოვიგეთ და თამაშის მაღალი ხარისხი ვაჩვენეთ. პენალტის დარტყმა ბიჭებს ვთხოვე და მათაც დამითმეს. დარტყმის მომენტში, მხოლოდ ჩემს შვილზე ვფიქრობდი, რომლის ნახვაც მალე მსურს“, - განაცხადა დაუშვილმა თამაშის შემდეგ.

სუარესი

ბაჩო ცხადაძე ალბანეთში ითამაშებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი, ბაჩო ცხადაძე კარიერას ალბანურ „ფლამურტარში“ გააგრძელებს.

ცხადაძე ალბანელებისთვის მეორე ქართველი თავდამსხმელი იქნება, რომელიც ამ გუნდის მაისურს მოირგებს. ცხადაძემდე, „ფლამურტარში“ ნიკოლოზ გელაშვილი გამოდიოდა, რომელსაც ნაკრებში ტრავმის მიღების შემდეგ დიდი ხანი გაუცდა და მისი და ალბანელების გზები გაიყარა.

ცხადაძემ „ფლამურტართან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მის მხადამხარ ითამაშებს, ნაკრების მარცხენა მცველი, გიორგი ფოფხაძე. ცხადაძეს რამდენიმე შემოთავაზება ჰქონდა, მათ შორის უკრაინიდან და ჩეხეთიდან, მაგრამ ფეხბურთელმა არჩევანი სწორედ ალბანეთზე შეაჩერა.

უნაი ემერი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ ვეძებოთ და ვიპოვოთ სამუშაო

my View
სალომე ჩადუნელი

სახელმწიფოს პოლიტიკა უმუშევრობის მიმართ ან საერთოდ არ არსებობდა, მაგალითად, შევარდნაძის დროს, ან არსებობდა მხოლოდ პიარის დონეზე. აქ პრეზიდენტმა სააკაშვილმა არა მხოლოდ ყველა რეკორდი მოხსნა, ზოგჯერ ვითარება პარადოქსულიც კი იყო ხოლმე. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, ჯერ ერთიანი პოლიტიკა არც აქ ჩანს, ექსპერტების შეფასებით, ამისთვის სოლიდური თანხებია საჭიროა და კიდევ უფრო სერიოზული მუშაობა სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციისთვის.

თუმცა, ჯერ წარსული პარადოქსები გავიხსენოთ.

ახლა ყველას ეცინება, თუმცა მაშინ ყველა აფორიაქდა, როცა ერთ-ერთი პატარა სანარმოს გახსნაზე პრეზიდენტი სააკაშვილი ორი ავტობუსი ხალხით გამოჩნდა, რომლებიც „ბექებში“ დაიყენა კამერების წინ, და მისთვის ჩვეული დამავჯერებლობით თქვა: ეს ხალხი ამ ქარხანაში დასაქმდებაო.

თუმცა, როგორც კი სააკაშვილმა „სფიჩი“ დაასრულა, კამერებიც გამოირთო და ავტობუსებით მოყვანილი ხალხი ისევ ავტობუსებში ჩაჯდა. გახსნის შემდეგ არც ერთი იმ ტერიტორიაზე არ გამოჩენილა. ეს ვაზიანში ბუნებრივ აირზე მომუშავე საავტომობილო ბალონების დამამზადებელი ქარხნის გახსნაზე მოხდა.

მოგვიანებით, უკვე მერის არჩევნების წინ, 2010 წელს, მერიაში სპეციალური გადამზადების კურსები გაიხსნა. უმუშევრებმა მაშინ ინგლისურ ენასა და კომპიუტერში გაიარეს ტრენინგები. ხმაური დიდი მოჰყვა, პიარი განსაკუთრებული ჰქონდა, თუმცა უმუშევრობის დონე არ შემცირებულა.

ახლაც საარჩევნო ციკლში შევდივართ, თუმცა ახალ ხელისუფლებას ამ მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული და იმედისმმცემი ჯერ არ წარმოუდგენია. პარალელურად უმუშევრობის ოფიციალურ მონაცემებს ორჯერ და ოთხჯერ აღემატება სხვა კვლევების მონაცემები. გამოდის, რომ ხალხის განწყობა უფრო დრამატულია, ვიდრე რეალურად დგას ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა. „პრაიმტაიმი“ ამ საკითხითაც დაინტერესდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, გამოკითხულთა 1 991 100 კაციდან 1 745 200 დასაქმებულია, ხოლო 246 000 – დაუსაქმებელი. უმუშევრობის დონის პროცენტული მაჩვენებელი კი 12.4%-ია. საქსტატს თუ დავუჯერებთ, 2013 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე 2.2%-ითაა შემცირებული, თუმცა IRI-სა და NDI-ს კვლევები საზოგადოების განწყობისა და პრობლემების შეფასების სრულიად განსხვავებულ სურათს



ხატავს. IRI-ს 2015 წლის მარტის კვლევით გამოკითხულთა 45%-ისთვის ყველაზე მწვავე პრობლემა უმუშევრობაა, NDI-ს 2015 წლის მაისის კვლევაზე დაყრდნობით კი, გამოკითხულთა 67% თავს დასაქმებულად არ მიიჩნევს.

საქსტატს უმუშევრობის დონის დასადგენად შემუშავებული აქვს მეთოდოლოგია, რომელიც შინამეურნეობების, ანუ ოჯახების კვლევას გულისხმობს. შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ ოჯახებში 15 წლისა და უფროსი ასაკის წევრები გამოიკითხებიან. სულ შვიდი კითხვა არკვევს, დაქირავებით დასაქმებულია ადამიანი, თვითდასაქმებულია თუ უმუშევარი. ყოველ კვარტალში ინტერვიუერები 3 000 ოჯახში შედიან, წელიწადში 12 000 ოჯახი. ერთ ოჯახში წლის განმავლობაში 4 ვიზიტი ხორციელდება, ყოველთვიურად კი შემთხვევით შერჩეული ოჯახები იცვლებიან. უმუშევრობის დონე გამოითვლება გამოკითხულთა შორის ებულების გამოვლენას საქსტატი, მაშინ როდესაც თვითდასაქმებული ადამიანები თავს უმუშევრებად მიიჩნევენ.

სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსის გიორგი კაკალაშვილის თქმით, კითხვარები საშუალებას იძლევა, გამოავლინოს დასაქმების ნებისმიერი ფორმა.

გიორგი კაკალაშვილი:

– პირველ კითხვას ვუსვამთ, მუშაობდი თუ არაო, და თუ გვეტყვის, არაო, შემდეგ გვაქვს 6 ქვეკითხვა პასუხის გადასამოწმებლად. ჯამში, შვიდი კითხვაა, თუ დაგვთანხმდება, რომ ესა და ეს საქმე გაუკეთებია, ჩვენ ვხვდებით, რომ დასაქმებულია. ერთი კითხვით სრულ სურათს ვერ მოვიცავთ.

– 2014 წლის მაჩვენებლის მიხედვით, უმუშევრობის დონე 12.4%-ია, ხოლო IRI-ს კვლევის მიხედვით 45% უმუშევრობას ყველაზე მწვავე პრობლემად მიიჩნევს. NDI-ს კვლევების მიხედვით კი, 67% თავს დასაქმებულად არ თვლის. რატომაა ამხელა სხვაობა საზოგადოების განწყობასა და ოფიციალურ 12.4%-იან მონაცემს შორის?

– თვითდასაქმებული ხშირად თავს არ თვლის დასაქმებულად და ეს შეიძლება იყოს ამის მიზეზი. 12.4% დაბალი მონაცემი არ არის. დაბალი 3-4%-ია. შეიძლება ასეთი განწყობა იყოს, რომ ადამიანი იმას თვლიდეს დასაქმებულად, ვისაც აქვს ხელფასი არა თვითდასაქმებიდან მიღებული მოგება და შემოსავალი. რომ ჰკითხო რეპეტიტორს ან ტაქსის მძღოლს, ხარ თუ არა დასაქმებულიო, იმან შეიძლება თქვას, არ ვარ დასაქმებულიო. შეიძლება ეს იყოს მიზეზი, მაგრამ ჩვენ ერთ კითხვას ხომ არ ვსვამთ, ბევრ კითხვას ვსვამთ, რომ დავადგინოთ მართლა დასაქმებულია თუ არა... თქვენ შეიძლება რაღაც გქონდეთ, მაგრამ მაინც პრობლემად მიიჩნევდეთ. უმუშევრობა არის – ორი აზრი არაა.

საზოგადოების განწყობებისა და სამუშაოსთან დაკავშირებული ტენდენციების გამოსაკვეთად, შემთხვევითი შერჩევით, ქუჩასა და სოციალურ ქსელში 30 ადამიანი გამოვკითხეთ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ უმეტესობა დაუსაქმებელია, ან მუშაობს და დაბალი ანაზღაურების გამო, უკეთეს სამსახურს ეძებს. საინტერესოა, რომ სამუშაოს ძებნის მთავარ გზად რესპონდენტები დასაქმების საიტებს, იქ განთავსებულ ვაკანსიებსა და პირად კონტაქტებს ასახელებდნენ. ყველა თანხმდებოდა, რომ უნდა არსებობდეს ერთიანი ბაზა, სადაც ნებისმიერი – უმუშევარი და სამუშაოს მაძიებელი დაფიქსირდება.



„2014 წლის მაჩვენებლის მიხედვით, უმუშევრობის დონე 12.4%-ია, ხოლო IRI-ს კვლევის მიხედვით 45% უმუშევრობას ყველაზე მწვავე პრობლემად მიიჩნევს“

„საინტერესოა, რომ სამუშაოს ძებნის მთავარ გზად რესპონდენტები დასაქმების საიტებს, იქ განთავსებულ ვაკანსიებსა და პირად კონტაქტებს ასახელებდნენ“

დღესდღეობით საქართველოში შრომის ბირჟა არ არსებობს. მის აუცილებლობაზე პროფესიული კავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი გვესაუბრება.

– უნდა ჩატარდეს შრომის ბაზრის საფუძვლიანი კვლევა, რომ დაიდოს რეალური სურათი – რამდენია დასასაქმებელი. მაგალითად, დედაჩემი უმუშევარია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას უნდა დასაქმება. უნდა გამოიკვლიონ ის, ვისაც უნდა დასაქმება და რა პროფესიას ფლობენ და შრომის ბაზარი რამდენად ითხოვს იმ პროფესიას, რაც მათ აქვთ. მეორე, რაზეც არის ბაზრის მოთხოვნა, იმაზე უნდა ხდებოდეს გადამზადება, სინქრონში უნდა იყოს როგორც შრომის ბირჟა, ისე შრომის ბაზრის კვლევა, პლუს ამას პროფესიული გადამზადება და უნარ-ჩვევების შეძენა.

ჯანდაცვის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის სამომავლო და არა მიმდინარე პროექტები სწორედ ბაზრის მოთხოვნის კვლევასა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებას უკავშირდება. აცხადებენ, რომ პროცესი დაძრულია, თუმცა ცვლილებები 2013 წლიდან დღემდე სამომავლო პერსპექტივად განიხილება.

შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ელზა ჯგერენაიას თქმით, შრომის ბაზრის კვლევა უპრეცედენტო პროექტია და საბოლოო შედეგების პრეზენტაცია შემოდგომისთვის იგეგმება.

– ახლა ვიწყებთ სტატისტიკური მონაცემების მოპოვებას შრომის ბაზრის კვლევის გზით. ეს კვლევა არის მასშტაბური, რომელმაც 6240 კომპანია დაფარა საქართველოს მასშტაბით. გამოვიკვლიეთ შრომის ბაზრის მოთხოვნები ბაზარზე, დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნები, მათ მიერ დასახელებული დეფიციტური პროფესიები. დამსაქმებლისთვის ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი მისი დიპლომი და სერტიფიკატები, არ პასუხობს იმ კვალიფიკაციას, რასაც ასახელებენ. ამ კვლევის მთავარი მიზანი იყო, გამოვლენილიყო, როგორც დეფიციტური პროფესიები, ასევე, ამ პროფესიებთან მოთხოვნილი უნარები, რაც სჭირდება კონკრეტულ პროფესიას. ეს იყო მთავარი ამოცანა, მსგავსი კვლევა საქართველოში დღემდე არ ყოფილა.

ერთადერთი სამთავრობო ბაზა, რომელშიც სამუშაოს მაძიებლები თავისი ნება-სურვილით რეგისტრირდებიან, ვებპორტალი worknet.ge-ია. ჩვენ მიერ გამოკითხული 30 ადამიანიდან worknet.ge-ს თითქმის არავინ იცნობდა. 2014 წელს ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტმა, საიტი სწორედ დასაქმების პრობ-

„ხალხი არ აკმაყოფილებს დამსაქმებლის მოთხოვნას და დამსაქმებლის ვაკანსია არ აკმაყოფილებს ხალხს“

უმუშევარი ადამიანების რაოდენობის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, როგორ ახერხებს თვითდასაქმ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

JOB EXCLUSIVE

„ეს იყო მთავარი ამოცანა, მსგავსი კვლევა საქართველოში დღემდე არ ყოფილა“

ლემის მოგვარების მცდელობის მიზნით შექმნა. პროგრამას, რომელიც არსებობს და რომლის შესახებაც ინფორმაცია საზოგადოების დიდ ნაწილამდე თითქმის არ მიდის, აქვს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს დასაქმებას, ერთ სივრცეში განათავსონ ვაკანსიები, ითანამშრომლონ დამსაქმებელთან და სამუშაოს მაძიებელს კონსულტაციაც გაუწიონ. საიტი, ასევე, ერთადერთი ონლაინ ბაზაა, რომელშიც სამუშაოთა მაძიებლების არასრული, თუმცა კონკრეტული ციფრი აისახება, თუმცა ონლაინ ვაკანსიების საიტი შრომის ბირჟის მოვალეობებს ვერ ასრულებს. 2015 წლის ივლისის მონაცემებით, worknet.ge-ზე 44 781 სამუშაოს მაძიებელია დარეგისტრირებული. დაუსაქმებელი 246 000 კაციდან ეს რიცხვი არც ისე ბევრია. ყოველთვიურად, საშუალოდ, 100-დან 200-მდე ვაკანსია თავსდება. კერძო სექტორზე მუშაობენ, საშუალო ხელფასი 300-დან 500-ლარამდე მერყეობს, ჰქონიათ ვაკანსიები 2000 და 1000-ლარიანი ხელფასებით. 10 თვეში 3400 ვაკანსია მოიძიეს და 2067 ადამიანის დასაქმება შეძლეს. ფაქტია, რომ ვაკანსიების ბაზის შესახებ საზოგადოება ინფორმაციას არ ფლობს. სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების წარმომადგენლები თავს წარსულში ჩატარებული სარეკლამო კამპანიებით, რეგიონში ვიზიტებითა და ათასობით დარიგებული ბუკლეტით იმართლებენ, თუმცა კითხვაზე, რატომ არ ხორციელდება საიტის მუდმივი რეკლამირება, პიარსამსახურში გვამისამართებენ.

თეა სტურუა, სოციალური მომსახურების სააგენტოს, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსი:

– ჩვენი თანამშრომლები დადიან დამსაქმებლებთან. აცნობენ თავს. თუ აქვთ ვაკანსია, ვთანამშრომლობთ. თუ არ აქვთ, ვემშვიდობებით, ინფორმაციას ვუტოვებთ, რომ ვაკანსიის ქონის შემთხვევაში, დაგვიკავშირდნენ. მოგვაქვს მთელი ქვეყნის მასშტაბით შეგროვებული ვაკანსიები და ვიწყებთ შემდეგ პროცესს: ეს არის ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ბაზას ეძლევა დავალება, ყველა ის ადამიანი ამოარჩიოს, რომელიც რეგისტრირებულია სისტემაში და აკმაყოფილებს დამსაქმებლის ზოგად მოთხოვნებს: სქესი, ასაკი და რეგიონი და ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიის შესახებ ავტომატურად უგზავნის ან სმს-ად ან ელფოსტაზე. თუკი ადამიანი ამ ვაკანსიით დაინტერესდება, იქვეა მითითებული საკონტაქტო ტელეფონი. გვიკავშირდება და ვიწყებთ დეტალური მოთხოვნების მიხედვით შერჩევას. ვუყურებთ კვალიფიკაციას, იბარებს ამ ხალხს გასაუბრებაზე, ზოგს ტესტირება შეიძლება ჩაუტაროს, ეს მისი უფლებაა. როდესაც დამსაქმებელი ამ ხალხს შეარჩევს, ჩვენ ვთხოვთ, მოგვაწოდოს წერილობითი ინფორმაცია, რა ბედი ეწია მათ, ვინც მივიდა, ვინ არ მივიდა. ვინ მოეწონა, ვინ – არა და ა.შ. და წერილობით გამოგვიგზავნონ. ვინაიდან არ არსებობს კანონი, რომელიც დამსაქმებელს ამას დაავალდებულებს და მივდივართ დასაქმების კანონთან, ვინაიდან არ არსებობს არანაირი რეგულაცია დამსაქმებელთა 1/3-მა შეიძლება მოგვწეროს, 2/3-თან გვაქვს სატელეფონო კომუნიკაცია. ტელეფონით ვიგებთ ხოლმე, ვინ აიყვანა ან თავად მაძიებლებს ვუკავშირდებით და ვადგენთ სტატისტიკას.

– რომელ სამუშაოებზეა ყველაზე მეტი მოთხოვნა?

– ძირითადად, საშუალო და დაბალი რგოლის სპეციალისტებზეა მოთხოვნა და პროფესიონალებზე – ეს არის პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემას მიკუთვნებული პროფესიები. სამუშაოს მაძიებლების მხრიდან მოთხოვნა არის საოფისე მუშაობაზე, იურისტები, ფინანსისტები, ბიზნესადმინისტრატორები ეძებენ სამუშაოს, რომელზეც, კვლევა რომ ჩავატარეთ, ბაზრის მოთხოვნა არ გამოიკვეთა. ბაზრის მოთხოვნა არის ელექტრიკოსები, პროფესიონალი მკერავები, მზარეულები, შემდუღებლები, გაზისა და წყლის გაყვანილობის სპეციალისტები, კონდიტერები, მცხობელები, ელექტრომექანიკოსები, მეტალოპლასტამასისა და გადახურვის სპეციალისტები, სამშენებლო სპეციალობები, მებათქაშეები... მსურველები პრაქტიკულად არ არიან. ეს არის დისბალანსის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. დამსაქმებლებს ძალიან სჭირდებათ და კადრებს ვერ პოულობენ. ერთია, რომ კვალიფიკაცია არ აქვს ამ ხალხს და მეორე, იმიტომ ვერ პოულობს, რომ სურვილი არ აქვს ამ ხალხს. უნდა ვთქვათ, რომ საშუალო ხელფასი 300-500 ლარია.

– ანუ ადგილები არის ქვეყანაში და ხალხი ვერ მუშაობს, იმიტომ რომ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ?

– ხალხი არ აკმაყოფილებს დამსაქმებლის მოთხოვნას და დამსაქმებლის ვაკანსია არ აკმაყოფილებს ხალხს. ჩვენ გვაქვს პრაქტიკები, რომ პროფესია შესაბამისი აქვს, აქ მოდის, კონსულტაციებს გადის, ვასწავლით, როგორ მოიქცეს დამსაქმებელთან, ვუდგენთ CV-ს, ვაგზავნით CV-ს დამსაქმებელთან, დამსაქმებელი ურეკავს, იბარებს გასაუბრებაზე და არ მიდის. უმუშევრობა კი არა, არმუშაობაა ქვეყანაში.

კვალიფიკაციისა თუ სამუშაო ადგილების ნაკლებობა, პროცენტული მაჩვენებლების შემცირება თუ გაზრდა, სახელმწიფოს პიარული თუ შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა არ ცვლის რეალობას, საქართველოში დასაქმება იყო და რჩება მწვავე პრობლემად, რომლის პირველ დარტყმას სწორედ სამუშაოს მაძიებელი მოსახლეობა იღებს.

„ეს კვლევა არის მასშტაბური, რომელმაც 6240 კომპანია დაფარა საქართველოს მასშტაბით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE MAR

რომელი ჯობს მარველი თუ დისი?

გიორგი გობეჩია

ყურადღება! ყურადღება! ყველა კომიქსური ფილმების მოყვარულთა საყურადღებოდ. საუბარი გვექნება ამ ჟანრის ორ მონსტრ კომპანიაზე, რომლებმაც გაალამაზეს ჩვენი ბავშვობა, გახადეს ის უფრო მრავალფეროვანი და უფრო მეტიც, ის უკვე ყველა ასაკის მაყურებელთა გულებს იგებს. კინოთეატრებში არ წყდება რიგები, ინტერნეტ საიტები, ჟურნალები, გაზეთები, ტელევიზიები და ნებისმიერი არსებული საინფორმაციო საშუალება უზარმაზარ დროს, ენერგიას და, რაც მთავარია, ფინანსებს უთმობს კომიქსურ ფილმებს, მასში მონაწილე მსახიობებს, რეჟისორებს, კოსტუმების მხატვრებს, კომპოზიტორებს და ა.შ.

მარველმა და დისის სამყარომ დაიპყრო ჩვენი რეალური მსოფლიო. ამერიკელ მოზართა დიდ უმრავლესობას სწამს, რომ დედამიწა მესამე მსოფლიო ომისგან ადამიანმა X-ებმა იხსნეს ფოქსის პროდუქციიდან.

ფილმები სუპერგმირებზე დღეს ყველაზე მოდური ტალღაა კინემატოგრაფიაში, ნებისმიერი ხარისხიანი კომიქსი განწირულია რამდენიმე მილიონიანი ბოქს ოფისით და შემოსავალით თუ არა, მაყურებლის სიუხვით მაინც. სერიოზულმა კომიქსურმა ბლოკბასტერებმა პირველი რანგის ვარსკვლავები ჩაითრია. ახლა არ ტეხავს ასეთ ფილმში მოიწვიო მაიკლ დუგლასი ან ენტონი ჰოპკინსი. როდესაც ალ პაჩინომ კინოთეატრში, შვილიშვილებთან ერთად, ფილმი „გალაქტიკის მცველები“ იხილა, სურვილი გამოთქვა მსგავს რამეში ჰქონოდა მონაწილეობა მიღებული.

ამ ჟანრის 80% სწორედ ამ ორი დიდი კომპანიას მარველსა და დისის უჭირავს. რომელია მათგან უკეთესი? უფრო მრავალფეროვანი, უფრო ხარისხიანი და უფრო მიმზიდველი? ეს წმინდა წყლის გემოვნების საკითხია... ისევე როგორც ზოგს მწვანე ვაშლი მოსწონს, ზოგს წითელი... ზოგი ქერებს ანიჭებს უპირატესობას, ზოგი შავგვრემანებს. მოკლედ, მარველსა და დისის შორის დავა რეალი - ბარსელონას პაექრობას ჰგავს.

შევეცდები არ ვიყო სუბიექტური. თუმცა გამოჩნდებიან ისეთები, ვინც იტყვის, რომ მიკერძოებაა და ბეტმენი მოერევა რკინის კაცს, იმიტომ რომ ბეტმენია. რომ მარველის ყველა პერსონაჟი დისისგან არის მოპარული, რადგან ერთი წლის შემდეგ არის გამოსული, მაგალითად, ქალი საოცრება დისიდან - მარველში კაპიტანი მარველი. ჯოკერი დისიდან - მარველში გობლინი და ა.შ

რა თქმა უნდა, მარველი ამ სფეროში მოწინავეა, სადაც პარალელურად არსებობს ადამიანი ობობა, გალაქტიკის მცველები, კაპიტანი ამერიკა, თორი, ჰალკი, რკინის კაცი და ა.შ. მარველის ხელმძღვანელმა კევინ ფეგიმ თავის გუნდთან ერთად სერიოზულად წასწია მთელი ჟანრი წინ.

მოდით თვალი გადავავლოთ ისტორიას. დისი 1934 წელს დაარსდა, ხოლო მარველმა გამოცემა 1939 წელს დაიწყო. მარველი დისნეის ეკუთვნის, ხოლო დისი „ვორნერ ბრაზერსს“. ჩვენ საუბარი არ გვექნება ადამიან X-ზე, რადგან ის დიდი ხანია ფოქსს ეკუთვნის. თუმცა ვახსენებთ ადამიან ობობას, რომელიც მარველმა ახლახან გამოისყიდა „სონისგან“.

რა მდგომარეობაა დღეს? მარველი აშკარად ჯაბნის თავის მეტოქეს მასშტაბურობით და ფილმების სიუხვით. რა თქმა უნდა, დისის აქვს შეუდარებელი ტრილოგია, რომელიც მარველის ყველა ფილმს ერთად უტარებს, საუბარი მაქვს ნოლანის ბეტმენზე, რომელიც მსხვილი კალიბრის ფილმია ამ დავაში. თუმცა მარველმა სხვადასხვა პერსონაჟის ერთად შეყრით „შურისმაძიებლებში“ მილიარდი გამოიმუშავა.

ბეტმენის მესამე ნაწილის შემდეგ, ნოლანმა თქვა, რომ ხელები დამიბანიაო, აწი ჩემ გარეშე გააგრძელეთო, მაგრამ დისიმ მაინც დაიყოლია კრისტოფერი, რომ „ფოლადის კაცის“ პროდიუსერი მაინც ყოფილიყო. თუმცა ამ ფილმის მერე ნოლანი უკვე საბოლოოდ გამოეთხოვა დისის.

მარველის რომელიმე ფილმზე ცალკე აღებულად ვერ ვიტყვით, რომ შედევრია, თუმცა თავისზე დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებს: სასიამოვნო საყურებელია, ძალიან ბევრი სპეცეფექტებია, იუმორი, ზოგჯერ ცოტა სულელურიც კია, მაგრამ, რაც მთავარია, ჰყავს ფანების უზარმაზარი რიცხვი და ფანტასტიკურად დიდი შემოსავალი. მათ ჩავარდნილი ფილმი არ აქვთ, თუ არ ჩავთვლით ჰალკს, არადა, როგორი იმედი მქონდა ედვარდ ნორტონის.

იუმორის მცდელობა დისისაც ჰქონდა „მწვანე ლამპარში“, მაგრამ მოდი შევთანხმდეთ, რომ ეს ფილმი უბრალოდ ნაგავია და დისიმ უარი თქვა იუმორზე. უფრო მეტიც, ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც კი იყო, რომ დისის არც ერთ ფილმში იუმორი არ იქნება, რადგან ეს უკვე მარველის ნიშაა.

მარველმა და დისიმ უკვე დაანონსეს ფილმები 2020 წლამდე და მინდა გითხრათ, რომ ნამდვილად არ მოვიწყენთ. დისის პრობლემები აქვს სამყაროსთან დაკავშირებით, როცა მარველი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

VEL VS DC

ბეტმენი მოერევა თუ რკინის კაცი?

ამ მხრივ უკვე მეორე ფაზაზე გადადის და „შურისმაძიებლებში“ ახალახალი პერსონაჟები შემოყავს.

დისის მობეზრდა მარველის ჰეგემონია და 2016-ში რევანშისთვის ემზადება.

და ახლა გადავიდეთ ყველაზე მთავარზე. რა გველოდება წინ?

უკვე გამოვიდა მარველის „ადამიანი ჭიანჭველა“, ღმერთო ჩემო, რა სისულელეა, განა საკმარისი არ იყო ადამიანი ობობა? ახლა კიდევ ადამიანი ჭიანჭველა, რომელსაც უნარი აქვს ძალიან დაპატარავდეს, იფრინოს ბუზებზე ამხედრებულმა და ჭიანჭველები გააჭენოს. თუმცა ფილმი საკმაოდ ყურებადი გამოვიდა და თავისზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულა. ადამიანი ჭიანჭველა, ჯერ კიდევ „შურისმაძიებლებში“ უნდა გამოჩენილიყო, თუმცა გადაიფიქრეს. მარველი ახერხებს და საოცრად უკავშირებს ერთმანეთს პერსონაჟებს, მაგალითად, ტონი სტარკის მამა და ადამიანი ჭიანჭველას შემქმნელი თურმე კოლეგები არიან.

დღედღეზე კინოთეატრებში გამოვა შესანიშნავი ოთხეულის ახალი ვერსია, იმედია კარგი იქნება, თორემ კიდევ ერთ ჩავარდნას ნამდვილად ვერ გადაიტანს.

და რას შვრება ამ დროს დისი?

დისის ბრძოლის ველზე მძიმე არტილერია გამოჰყავს, რომლებმაც უნდა ანახონ მარველს თუ ვინ არის ბოსი? სუპერმენი ბეტმების წინააღმდეგ. წარმოგიდგენიათ? ამერიკის ორი საკულტო სუპერგმირი სუპერმენი და ბეტმენი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ასევე იქნება ქალი საოცრება და აკვამენი. მოკლედ, ეპიკური ბრძოლა გველოდება, სადაც ბეტმენი უკვე დიდი ხანია არსებობს და ის 40 წლის დაღლილი პერსონაჟია, ხოლო კლარკი კი ახალგაზრდაა. დეტალები უმაღლეს დონეზეა გასაიდუმლებული. თუმცა არის ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი და ცინიზმი ბეტმენის მთავარი როლის შემსრულებელ ბენ აფლეკის მისამართით. აფლეკი კარგი მსახიობია, მაგრამ ქრისტიან ბეილის მერე ყველას გაგვეცინა, როცა ის ბეტმენის ფორმაში დაგვიანონსეს. ეს ფილმი 2016 წლი მარტში გამოვა და ფანატები უკვე ვერ ითმენენ.

და რით უპასუხა ამ ყველაფერს მარველმა? -- სამოქალაქო ომით. დიახ... დიახ... არც მეტი არც ნაკლები, მარველის ახალ ფილმში კაპიტანი ამერიკა და რკინის კაცი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ეს ბეტმენი - სუპერმენი არ არის, მაგრამ მაინც მარველია და უნდა ველოდოთ. ტონი სტარკი იმ კოალიციაში, რომლებიც თვლიან, რომ ყველა სუპერგმირმა ნიღაბი უნდა მოიხსნას და დარეგისტრირდეს, ამის წინააღმდეგ კი სტივ როჯერსი გამოდის. ასე რომ, სუპერგმიერები ორ კოალიციურ ბანაკად იყოფიან და იწყება სამოქალაქო დაპირისპირება. უფრო მეტსაც გეტყვით, ამ ბრძოლაში გამოჩნდება ადამიანი ობობაც. წარმოგიდგენიათ? შურისმაძიებლები მთელი შემადგენლობით, პლუს ადამიანი ობობა და კიდევ ბევრი ახალი (ფილმისთვის) პერსონაჟი.

ამ ორი ფილმის პრემიერა ერთ დღეს იყო დანიშნული. თუმცა დისიმ, ირონიით განაცხადა, რომ მარველის დიდებულებას აღიარებს და თავისი პრემიერა რამდენიმე დღით გადასწია.

ეს ყველაფერი არ არის, მარველს კიდევ ერთი დიდი ფოიერვერკი აქვს მომზადებული 2016 -ისთვის. „თვითმკვლელთა რაზმი“, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ამ ფილმს უნდა ველოდოთ, რადგან, როგორც ანონსებიდან ჩანს, ის სრულიად განსხვავდება ყველა იმ ფილმისგან, რომელიც ამ ჟანრში გადაღებულა, რადგან ცუდი პერსონაჟები დაუპირისპირდებიან კიდევ უფრო ცუდ პერსონაჟებს. ფილმში ვიხილავთ ისეთი დონის ვარსკვლავებს, როგორებიც არიან უილ სმიტი და ჯარედ ლეტო. თუმცა თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ წნეხშია ჯარედი, კრიტიკოსები მის დასაცინად შანსს არ უშვებენ ხელიდან. ლეტო ითამაშებს ჯოკერს. დიახ... დიახ... ჯეკ ნიკოლსონის და ჰიტ ლეჯერის შემდეგ ჯერედ ლეტომ უნდა მოირგოს ჯოკერის როლი. თუმცა გახსოვთ, როგორი დამოკიდებულება იყო ჰიტ ლეჯერის მიმართ, როცა დაანონსდა, რომ ჯოკერი ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფილმმა და მისმა თამაშმა ყველა შოკში ჩააგდო, მან „ოსკარიც“ კი აიღო. ვინ იცის, იქნებ ეს როლი ლეტომაც მოიხდინოს. მას ან ფურორი ელოდება, ან საშინელი კრახი. მოკლედ, ძალიან სარისკო საქმეს მოჰკიდა ხელი. ამ ყველაფერს 2016-ში ვნახავთ.

თუმცა მარველს არ სძინავს და გრანდიოზულ პროექტს ქმნის, რომელიც ახალი სიტყვაა ამ ჟანრში და მაგიის თემას უფრო წინა პლანზე წამოსწევს. მათ გადაწყვიტეს გადაეღოთ ფილმი დოქტორ სტრეინჯზე, რომელიც ზებუნებრივი მოვლენებისგან იცავს პლანეტას, ის ყოფილი ნეიროქირურგია და ამავე დროს უმაღლესი მაგი. მაგრამ ვის უნდა შეესრულებინა ეს როლი? საუბარი იყო ჯონი დეპზე, ტომ ჰარდიზე, ჯარედ ლეტოზეც და სხვა უამრავ ვარსკვლავზე, თუმცა არჩევანი შეჩერდა ბენედიქტ კამბერბიჩზე და, ჩემი აზრით, ეს საუკეთესო არჩევანია. ამ მსახიობმა „იმიტაციის თამაშში“ ყველას დაგვანახა, რომ უმაღლესი კლასის არტისტია. ასევე შეუდარებლად თამაშობს შერლოკ ჰოლმსის როლს სერიალ „შერლოკში“, ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო შერლოკია. ახალ „სტარტრეკსაც“ მის გამო უყურა ბევრმა. ასევე „ჰობიტში“ შეასრულა დრაკონ სმაუგის როლი, რომელიც საკმაოდ რთული იყო.

ბენედიქტი ძალიან კარგად ჩაჯდება დოქტორ სტრეინჯის ხასიათში და ვფიქრობ, რომ მარველს ძალიან ძლიერი ფილმი გამოუვა. ამ ფილმის ლოდინი ნამდვილად ღირს.

მარველსა და დისის შორის დაპირისპირებას დიდი ფესვები აქვს ისტორიაში, მაგრამ 2016 წელი იქნება განსაკუთრებული. დისი ან გარდატეხას შეიტანს დღევანდელ მდგომარეობაში, ან შეეგუება მარველის ჰეგემონიას.

რომელი ჯობს მარველი თუ დისი? ბეტმენი მოერევა თუ რკინის კაცი? სუპერმენი თუ ჰალკი? ეს უკვე დავის საგანია. მაგრამ ერთი ფაქტია, ამ ორმა მონსტრმა 2020 წლამდე ძალიან ბევრი ფილმი დაანონსა, რომელთა პრიკველები და სიკველებიც გველოდება, ამით კი ჩვენ, მაყურებლები, დავრჩებით მოგებულები - დაე, დახოცონ ერთმანეთი!

ასე რომ, მეგობრებო, ქარიშხლიანი 2016 წელი გველოდება. ღმერთო, არ სჭირდება ამერიკას შენი მფარველობა, მას მარველის და დისის პერსონაჟებიც კარგად იცავენ.



MARVEL VS DC

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სექსმომსახურების ფარული ასორტიმენტი



გვჭირდება თუ არა ლეგალიზაცია?!

გიორგი ურუშაძე

თ.ხ. ახლა 46 წლისაა. შრომის წიგნაკი ისევ რომ არსებობდეს, გამოცდილების აღმნიშვნელ გრაფაში 24 სრულ წელინადს მიუთითებდა. პროსტიტუციით 22 წლის ასაკში დაკავდა. როგორც თვითონ ამბობს, ეს შვილის გამო გააკეთა. ახალგაზრდა, სრულიად უმწეო, პატარა გოგონათი ხელში ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა. თავიდან გაუჭირდა, თუმცა შემდეგ ეს პროფესიად იქცა. დღეს საკუთარი ისტორიის გახსენება უძიმს, თუმცა, რეალობას არ გაურბის. ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს. ახლა მისი გოგონა უკვე ქალია. მალე ბებია გახდება და უნდა ცხოვრება ღირსეულად გააგრძელოს.

ლოკაცია

ქუჩა, ინტერნეტი, სასტუმრო, რესტორანი – ალბათ, მათ შორის საერთო ნიშნის პოვნა რთული იქნებოდა, რომ არა მარტივი სიტყვა – პროსტიტუცია. ეს ის ადგილებია, სადაც სექსმუშაკების მომსახურებით გვისარგებლია ან გვსმენია მაინც ამის შესახებ. საინტერესოა, რა ხდება ქართულ რეალობაში? – არის თუ არა ზემოაღნიშნული ადგილები პროსტიტუციის კერა? რეგულირდება თუ არა ქართული კანონმდებლობით მსგავსი ქმედება და რა გამოცდილება არსებობს მსოფლიო საზოგადოებაში? მოდით, ვიპოვოთ პასუხები.

ინტერნეტი

ერთი შეხედვით მენიუს მოგვაგონებს, მაგრამ ჩვეულებრივი კულინარიისგან ბევრად განსხვავდება. ფასი 70-დან 350 ლარამდე მერყეობს, თუმცა ეს ჯერ კიდევ არაფერია. ფართო ასორტიმენტი, რომელიც სექსუალურ მომსახურებებს გვთავაზობს, შთამბეჭდავია, დრო და ადგილიც – გაწერილი.

პროსტიტუციის „სავანის“ აღმოჩენა ინტერნეტსივრცეში არ გამკვირვებია. რუსულ დომენზე რეგისტრირებული და ამავე წარმომავლობის გაცნობის საიტი ჩვენ მიერ წარმოდგენილ მენიუს კიდევ უფრო „მადისაღმძვრელს“ ხდის.

„ერთი საათი 150 ლარი, ბინა მაქვს. სურათები რეალურია, ანალი არა, დანარჩენი მოსულა. დამირეკეთ, ვმუშაობ საღამოს 9 საათამდე“, – ეს ამონარიდია ერთ-ერთი ტექსტიდან, რომელსაც გაცნობის საიტზე ვპოულობთ. 200-მდე რეგისტრირებული სექსმუშაკი ინტერნეტსივრცეში, ნამდვილ ონლაინ „ბორდელს“ ქმნის. ნახევრად დაფარული ფოტოები, ტელეფონის ნომრები და „ჩეთი“ მომხმარებელს მათთან კავშირის საშუალებას აძლევს.

მ.ტ. ერთ-ერთი მათგანია, ვინც ონლაინ სექსმუშაკის მომსახურებით ისარგებლა. საიტზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, სასურველი ქალბატონი შეარჩია და მითითებულ ნომერზეც დარეკა. სახლთან მანქანამ მიაკითხა და ქალაქის გარეუბანში, სასტუმროში ნაიყვანა. როგორც თვითონ ყვება, სასტუმროში სხვა კაცებიც იმყოფებოდნენ. მომსახურებით კმაყოფილი დარჩა, თუმცა მას შემდეგ საიტით აღარ უსარგებლია.

აი, ასეთია ქართული პროსტიტუციის „ონლაინ“ ნაკვალევი. რაც შეეხება კანონმდებლობას, არავის არ აქვს უფლება, აუკრძალოს ინტერნეტში მომხმარებლებს პროფილის შექმნა და პირადი მიმოწერა, ბუნებრივია, თუ საქმე არ გვაქვს ორგანიზებულ პროსტიტუციასთან, რომელიც ქართული სამართლის ნორმებით დასჯადი ქმედებაა.

ქუჩა

გაჩერება – სადგურის მოედანი, ექსკავატორი, მაკლერების შეძახილები – „ბინები ერთი დღით“ და მარად მდგომი ქალბატონები „ვაგზლის მოედნის“ ყოველდღიურობას ქმნიან. ყველამ იცის მათ შესახებ, თუმცა ცოტა თუ საუბრობს ან ერევა მათ საქმიანობაში. საქმიანობა კი ერთგვარია – ეს პროსტიტუციაა.

ქალბატონებთან მიახლოებისას ვინაობა არ დამიმალავს, თავიდანვე გავაფრთხილე, რომ ჟურნალისტი ვიყავი. პირველი მათგანი ზრდილობიანად მომიდგა, თუმცა საუბარი არ ისურვა. განმიცხადა, რომ არც კი ვიცოდი, რა მძიმე დღეში ვაგდებდი ჩემი იქ ყოფნით და რომ არაფრის თქმას არ აპირებს. არადა კითხვა სრულიად უბრალო მქონდა – უნდა იყოს თუ არა საქართველოში პროსტიტუცია ლეგალიზებული? – ამავე კითხვით სხვა სექსმუშაკებსაც მივმართე, თუმცა საპასუხოდ აგრესია დავიმსახურე. „წაეთრიე აქედან, ვინ არის შენი პროსტიტუცია, სასწრაფოდ პოლიციას გამოვიძახებთ და განახვებთ, რაცა ვართ“, – შემომიტია ქალბატონმა და ასე „ზრდილობიანად“ გამომისტუმრა.

კითხვაზე პასუხი ვერ მივიღე, თუმცა გზა მაინც განვაგრძე.

როგორც სექსმუშაკებთან პირადი საუბრებიდან ირკვევა, ხშირად ისინი საკუთარი საქმიანობისთვის სასტუმროებსა და რესტორნებსაც იყენებენ. თუმცა, რამდენად ლეგალურია ეს ყველაფერი, ეს ამბის მეორე მხარეა.

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, უნდა იყოს თუ არა საქართველოში პროსტიტუცია ლეგალიზებული და რა შემთხვევაში ჯდება აღნიშნული ქმედება სამართლის ნორმებში? – ამ კითხვებზე საპასუხოდ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრსა და იურისტს ზაქარია ქუცნაშ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რითულ ნაკვალევზე

„ტურისტული გარემო უფრო მოგებიანს ხდის ამ ბიზნესს. ამით აიხსნება კაზინოებისა და ბორდელების სიმრავლეც“

ვილს მივმართეთ.

ზაქარია ქუცნაშვილი:

– დღევანდელი კანონმდებლობა შერეულ სისტემას ითვალისწინებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მეძავი არ ისჯება, მაგრამ ე.წ. ბუნაგის მოწყობა პროსტიტუციისთვის ისჯება. ინდივიდუალურად თუ ვინმე სხეულს ყიდის, ეს კანონით არ ისჯება. თუ ვინმე ცდილობს, რომ ამას ორგანიზებული სახე მისცეს და კომერციული, მაშინ ეს ისჯება.

– თუმცა, პროსტიტუციის ლეგალიზება ხომ შეამცირებს ვენერიული დაავადებების გავრცელების რისკს?

– იგივე დაავადებების გავრცელება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ისე ორგანიზებული პროსტიტუციით. ასევე, არამარტო პროსტიტუციით. თუ ადამიანი ჯანმრთელობას არ უფრთხილდება და არ იცავს უსაფრთხო სექსის წესებს, ეს ყველგან შეიძლება მოხდეს. ეს არ შეიძლება იყოს მიზანი ამ შემთხვევაში.

– თქვენი, როგორც უმრავლესობის წევრისა და იურისტის პოზიცია როგორია, უნდა იყოს თუ არა პროსტიტუცია ლეგალიზებული?

– მე ვფიქრობ, რომ ორგანიზებული საქმიანობის სახე, რომელიც მომგებიანი იქნება ორგანიზატორისთვის, ლეგალური არ უნდა იყოს. ზოგადად, ორგანიზებული პროსტიტუციის წარმოება ძალიან მომგებიანია და ალბათ, ეს არის მიზეზი ამის გავრცელებისა. ტურისტული გარემო კი უფრო მომგებიანს ხდის ამ ბიზნესს. ამით აიხსნება კაზინოებისა და ბორდელების სიმრავლეც.

– რა შეიძლება იყოს სახელმწიფოს მხრიდან ბერკეტი, რაც თავიდან აგვაცილებს ორგანიზებულ პროსტიტუციას?

– სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს ასეთი ორგანიზებული ადგილები და უნდა დასაჯოს ის ხალხი, ვინც ამის ორგანიზებას ახდენს. ნარკოტიკების მომხმარებელს არ ვსჯით, თუ რამდენჯერმე არ იქნა გამოვლენილი ან დიდი ოდენობით არ იქნა აღმოჩენილი, ისე არ ისჯება თავად პროსტიტუციის მწარმოებელი ჯერადობაზე, მაგრამ ნარკოტიკების გამსაღებელი და ვთქვათ, ორგანიზებული პროსტიტუციიდან შემოსავლების მიმღები ისჯება.

დამატებითი პასუხებისთვის ჩვენ სახალხო დამცველის აპარატს მივმართეთ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პროსტიტუცია, თუ ეს არასრულწლოვნების ჩართვას არ ეხება აღნიშნულ საქმიანობაში, სახალხო დამცველის კომპეტენციაში არ შედის. ანგარიშში, გარდა ტრეფიკინგისა და მასში არასრულწოვნების ჩართულობისა, ვერაფერს ვპოულობთ.

პარლამენტის წევრის, ახალი პოლიტიკური ცენტრის წარმომადგენლის გოგა ხაჩიძის განცხადებით, საზოგადოება და სახელმწიფო ამ საკითხთან მიმართებაში სირაქლემას პოზაშია. ნაადრევია პროსტიტუციის ლეგალიზებაზე საუბარი, ვინაიდან ამას საზოგადო მსჯელობა და პრობლემების მოგვარება სჭირდება.

გოგა ხაჩიძე:

– არ მიფიქრია მართლა ამ თემაზე. ეს არ არის ისეთი საკითხი, რომ წამოიძახო, დიახ ან არა! გააზრება სჭირდება, ფაქტია, რომ დასარეგულირებელია. ფაქტია, რომ სახელმწიფოც და საზოგადოებაც სირაქლემის პოზაშია, აწ და მარად და უკუნითი უკუნისამდე. ფაქტია, რომ რაღაცა უნდა შეიცვალოს. ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებით პროგრესი არ გვქონია. ეს ის საკითხია, რომელზეც, ალბათ, ყველა იტყვის, რომ ვართ სირაქლემას პოზაში. არ არის რეგულირებული არანაირად და თითქოს არ არსებობს.

იურისტი ლევან ალაფიშვილი პროსტიტუციის წარმოშობის მიზეზებსა და მის თანამდევ პრობლემებზე საუბრობს. მისი აზრით, მისი ლეგალიზება ფართო მსჯელობის საგანი უნდა იყოს. ეს არ უნდა მოხდეს ერთი ხელის მოსმით, ამას სჭირდება დაკვირვება, მომზადება და კონსენსუსის მიღწევა საზოგადოებაში.

ლევან ალაფიშვილი:

– ამ ყველაფრის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის მძიმე სოციალური ყოფა, რომელშიც არის ჩვენი საზოგადოება. სხვადასხვა ფაქტორების გამო ადამიანები იძულებულნი არიან, შემოსავლის წყაროდ სწორედ ეს გზა აირჩიონ. თორემ პროსტიტუცია შენობების გარეთაც ხდება, საჯარო თავშეყრის ადგილებში თუ ბარებში. ყოველ შემთხვევაში მიზეზი ქმედებისა და ამ შემთხვევაში პროსტიტუციისა უნდა ვეძებოთ. ეს კომპლექსური საკითხია, არ არის ადვილი საკითხი. უპრიანი იქნება, რომ მსჯელობა დავიწყოთ. ეს თემა, საკითხი არსებობს, ხვალ შეიძლება გახდეს აქტუალური ნეგატიური კუთხით, იმიტომ რომ მასობრივად კრიმინალიზაცია გამოიწვიოს საზოგადოებისა. ამის გამო უნდა დავიწყოთ მსჯელობა, არ უნდა ვიყოთ ყველანი ჩუმად და ამ სიჩუმით მივიღოთ უფრო მძიმე სიტუაცია, ვიდრე დღეს გვაქვს.

უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი, პროსტიტუციის ლეგალიზების მომხრე არაა და ამის არგუმენტად ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება მოაქვს.

ლაშა ჩხარტიშვილი: მე ვფიქრობ, რომ პროსტიტუციის ლეგალიზება ნამდვილად არ არის მისასალმებელი. ეს ასეა მიღებული ძალიან ბევრ ევროპულ, მაღალგანვითარებულ ევროპულ სახელმწიფოში. გამონაკლისია, მხოლოდ რამდენიმე მათგანი. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკა მიანიშნებს, რომ ეს არ არის, დადებითი შედეგების მომტანი.

იგი პროსტიტუციის ლეგალიზებას, ვენერიული დაავადებების აღმოფხვრის ეფექტურ იარაღად არ თვლის. მისი თქმით, უფრო შედეგის მომცემი საგანმანათლებლო პროექტები იქნება.

ლაშა ჩხარტიშვილი:

– რაც შეეხება დაავადებების გავრცელებას, ამ შემთხვევაში, პრევენციის სხვა ზომებიც აქვს კაცობრიობას შექმნილი, რომელიც მუშაობს სხვა სახელმწიფოებში, თუნდაც ეს არის საგანმანათლებლო საქმიანობა, შესაბამისი სახით, მიზანშეწონილ ასაკში და ადეკვატური ფორმით. ეს სრულებით საკმარისია, რომ მნიშვნელოვნად მოხდეს მსგავსი ტიპის დაავადებების გავრცელების შემცირება. და მეორე ფონი, ბუნებრივია, არის სოციალური, რაც ხელს უწყობს პროსტიტუციის გავრცელებას. ეს ზოგად პრობლემას წარმოადგენს. ვიმედოვნებ, თანდათანობით გაუმჯობესდება ამ მიმართულებით მდგომარეობა.

საინტერესოა, რას ფიქრობს ხალხი პროსტიტუციის ლეგალიზებაზე და არის თუ არა მზად საზოგადოება, მსგავსი ღირებულებითი დაწესებულების არსებობაზე?

ქუჩის გამოკითხვის შედეგები გვაჩვენებს, რომ გამოკითხულთა 80 პროცენტი პროსტიტუციის ლეგალიზებას არ ემხრობა და არგუმენტად ქართული მენტალიტეტი, ტრადიციები მოჰყავს. „ქართველ ქალს ეს არ ეკადრება“, – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი და, კითხვის „უცნაურობიდან“ გამომდინარე, გაკვირვებული რჩება. თუმცა, არიან ისეთები, ვინც პროსტიტუციის ლეგალიზებას, განვითარების თანამდევ პროცესად მიიჩნევენ და ამის საჭიროებასაც კი ხედავენ.

„დიახ, რატომაც არა. ეს შეამცირებს დაავადებების გავრცელების რისკს და ადამიანებს აღარ მოუწევთ ბნელ ადგილებში პროსტიტუციით დაკავება. რაც ლეგალურია, ის არაა საზიანო“, – ამბობს 42 წლის დიასახლისი.

როგორც ვხედავთ, საზოგადოება არაერთგვაროვანია. თუმცა, თუ ქუჩის გამოკითხვებსა და ექსპერტების შეფასებებს დავუჯერებთ, ქართველი საზოგადოება ამისთვის მზად ჯერ არ არის.

ამის მიუხედავად, უძველესი პროფესიის წარმომადგენლები, არალეგალურად თუ ლეგალურად, განაგრძობენ არსებობას. ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობიან. ჩვენი რეალობა ასეთია – ქუჩა, ინტერნეტი, რესტორნები და სასტუმროები კვლავ რჩება პროსტიტუციის კერად. პრობლემის მოგვარების გზები ჯერ არ ისახება, რადგან მთავრობა ამ მიმართულებით არანაირ სამუშაოებს არ ანარმოებს. დუმს სახალხო დამცველის აპარატიც, ასობით სექსმუშაკი კი ამ წუთებში კლიენტებს ემსახურება.

P.S. ჰო, თ.ხ. ახლა პროსტიტუციით აღარაა დაკავებული. სერიალის მსგავსად, ისრაელში ნახევარძმა იპოვა და მასთან სამუშაოდ წავიდა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

უეფას ისტო

„ჩვენ დავიმსახურეთ, რომ თამაში პენალტებში გადაგვეყვანა. საბოლოო ჯამში, კმაყოფილები უნდა ვიყოთ და ვიამაყოთ ჩვენი გუნდით, იმ თამაშით, რომელიც ვაჩვენეთ“



მაგდა კლდიაშვილი

ასეთი შეფასება მიიღო თბილისში გამართულმა უეფას სუპერთასმა, სადაც ერთმანეთს ორი ესპანური გრანდი - „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდნენ. შეხვედრამ მოლოდინს გადააჭარბა. სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა დაძაბული ბრძოლა და 9 გატანილი გოლი იხილა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თბილისში ჩატარებულმა სუპერთასმა უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა. გარდა თავად უეფასი, მთელი რიგი მსოფლიო გამოცემები ერთხმად წერენ, რომ ეს იყო უეფას სუპერთასების ისტორიაში მართლაც საუკეთესო სუპერთასი.

მატჩი კი მართლაც ისეთი გამოდგა, რომელიც ნებისმიერ ფინალს დაამშვენებდა. სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრის დიდი ნაწილი, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ბარსელონას“ ქომაგობდა, ამიტომ კატალონიელებს, გარკვეულწილად უპირატესობა ამ კომპონენტშიც ჰქონდათ.

მოვლენები კი ელვის სისწრაფით განვითარდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ „სევილია“ ასე სწრაფად დაწინაურდებოდა და წინ გავიდოდა. მესამე წუთზე, საჯარიმოს სიახლოვეს, მასკერანომ თამაშის წესები დაარღვია, მსაჯმა კი ჯარიმა დანიშნა. სევილიელთა 19-მა ნომერმა ბანეგამ, სტანდარტი უნაკლოდ შეასრულა და ტერ შტრეგენის კარში ბურთი მოათავსა. უნაი ემერის გუნდი წინ გავიდა. სევილიელთა სიხარული რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ლეო მესიმ, ისევ სტანდარტული სიტუაციიდან, ულამაზესი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. „ბარსელონამ“ კი უპირატესობა მოიპოვა. კატალონიელთა გააქტიურებას მოჰყვა ის, რომ მათ საჯარიმოსთან არც თუ ახლოს, თამაშის წესები კვლავ დაირღვა. საჯარიმოს შესრულება ისევ არგენტინელმა ითავა და მიზანმაც არ უმტყუნა. საოცარი დარტყმით, მესიმ გუნდი წინ გაიყვანა.

ლუის ენრიკეს შეგირდებმა 28-ე წუთზეც გაიტანეს. ინიესტამ კარგი გადაცემა გაუკეთა სუარესს, რომელმაც მეკარე ბეტოს ბურთი ააცალა და კარში ისე შეიტანა, თუმცა გვერდითმა არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა და „ბარსელონას“ გოლი არ ჩაეთვალა.

შემდეგ იყო ალვეშის შორეული დარტყმული, რომელიც ბეტომ ხელებში ძლივს შეიმაგრა, რაკიტიჩმა კი დიდი მანძილით ააცილა ბურთი კარს.

„სევილიამ“ ამ მომენტის შემდეგ კონტრშეტევა წამოიწყო, გოლის გატანას ისევ ბანეგა ცდილობდა, თუმცა ესპანეთის ჩემპიონის კარის მცველმა ბურთი მოიგერია. ტაიმის მიწურულს, დანი ალვეშმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი და საკუთარი გუნდი გაშვებულ გოლს გადაარჩინა. საპასუხოდ, კი „სევილიამ“ უსწრაფესი კონტრშეტევა მიიღო. სუარესი ერთი-ერთზე გავიდა მეკარე ბეტოსთან, რომელმაც პირველ მომენტში აჯობა მას, თუმცა ბურთმა მოედანი არ დატოვა, რომელსაც ისევ კატალონიელთა 9 ნომერი დაეუფლა. მან კრონ-დელიც მოატყუა და გადაცემა რაფინიას გაუკეთა. ამ უკანასკნელს კი არ გასჭირვებია მეკარე მოეტყუებინა და გუნდის უპირატესობა სამამდე გაზარდა.

ლუის ენრიკეს გუნდი შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით შევიდა. არც მეორე ტაიმის სტარტი გამოდგა „სევილიასთვის“ იღბლიანი. ლუის სუარესმა თავისი სიტყვა მაინც თქვა და 51-ე წუთზე საკუთარო გოლის გატანაც შეძლო.

უპირატესობა უკვე საკმაოდ სოლიდური იყო. ლუის ენრიკემ თამაშიდან ინიესტა და მოგვიანებით, რაფინია გამოიყვანა და დაცვის გაძლიერებაზე გააკეთა აქცენტი. უნაი ემერი კი ვა-ბანკზე წავიდა.

ხოსე ანტონიო რეიესმა ზუსტად 5 წუთში სხვაობა ერთი ბურთით შეამცირა, სევილიელთა გოლს კი ისევ ბარსელონელთა კონტრიერიში მოჰყვა. რაკიტიჩის ნამოწყებული იერიში, მარცხნივ მესიმ გააგრძელა, რომელიც მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას, მისმა მოწინააღმდეგეებმა კი ბურთი კუთხურზე მოიგერიეს, რასაც ხიფათი აღარ მოჰყოლია.

„სევილიას“ მეორე გოლის შემდეგ, ლუის ენრიკემ ინიესტას ნაცვლად სერხი რობერტო შემოიყვანა მინდორზე, გოლის ავტორი რეიესი კი, უნაი ემერიმ, უკრაინელი კონოპლიანკათი ჩაანაცვლა.

კონოპლიანკამ თამაში გაამწვავა. „ბარსელონას“ კარში ბურთი თავით კოკემ გადაგზავნა, მაგრამ მატჩის მთავარმა არბიტრმა, მატიე ხელით თამაშის გამო ყვითელი ბარათით დასაჯა, კატალონიელთა კარში კი 11-მეტრიანი დაინიშნა. გამეირომ ზუსტად შეასრულა, ანგარიში კი 4:3 გახდა. მატჩის დასრულებამდე 20 წუთიღა იყო დარჩენილი. „ბარსელონა“ გააქტიურდა, რადგან თუ ანგარიში საყაიმო გახდებოდა, დამატებითი დრო დაინიშნებოდა.

უნაი ემერიმ იმობილე და მარიანო გამოიყვანა და სამი თავდამსხმელით შეუტია „ბარსელონას“. ემერის ცვლილებებმა გაამართლა. იმობილეს პასით კონოპლიანკამ ანგარიში გაათანაბრა. 81-ე წუთზე, „სევილიამ“ წონასწორობა აღადგინა.

მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე კიდევ ჰქონდა რამდენიმე შეტევა „ბარსელონას“, მაგრამ სევილიელთა დაცვა დამაჯერებლად ირჯებოდა.

დამატებითი დროის პირველ ტაიმში, ლუის ენრიკემ მოედნიდან მასკერანო გაიყვანა და პედრო შემოიყვანა, რომელმაც, დიდი ალბათობით, ბოლოჯერ მოირგო „ბარსელონას“ მაისური. პედროს პირველივე შეხება ბურთთან, ყვითელი ბარათით დასრულდა. მატჩის არბიტრმა ის ვიტოლოს წაქცევისას გააფრთხილა. ჯარიმა ბანეგამ შეასრულა, კონოპლიანკა კი ბურთს ვერ შეწვდა.

პირველ დამატებულ ტაიმში გუნდებმა რამდენიმე სახიფათო ეპიზოდი გაცვალეს, რეალური საგოლე მომენტი კი არც ერთ მათგანს არ ჰქონია.

მეორე დამატებულ ტაიმში „ბარსელონა“ იერიშზე გადავიდა. თამაშის წესი რამდენჯერმე დაირღვა მესის წინააღმდეგ. 114-ე წუთზე, მესის მიერ დარტყმული საჯარიმო ბეტომ მოიგერია, თუმცა ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა, მახვილი კუთხიდან კი, პედრო ადგილზე დაუხვდა ბურთს და ბეტოს შანსი არ დაუტოვა - 5:4.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის დასრულებამდე მხოლოდ 6 წუთი რჩებოდა, ამ დროში, „სევილიამ“ სამი 100%-იანი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. მცირედ შეხლა-შემოხლასაც მოხდა. ალვეშსა და კრონ-დელის შორის ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, მსაჯმა კი ისინი ყვითელი ბარათებით დააშოშმინა.

ბოლო წუთზე, კრონ-დელიმ იმობილეს კარგი გადაცემა გაუკეთა, იტალიელმა კი იდეალურად ჩაუწოდა რამის, რომელმაც გუნდის გადარჩენის შანსი გაუშვა ხელიდან, მატჩის მთავარმა არბიტრმა კი თამაში დაასრულა და „ბარსელონა“, არსებობის განმავლობაში, მეხუთედ დაეუფლა ამ ტიტულს.

უეფას ტექნიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელების უფლება ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელებს, გიორგი ქინქლაძესა და შოთა არველაძეს მიეცათ, მათ კი არჩევანი არგენტინელ ლეო მესიზე შეაჩერეს.

თბილისში ჩატარებული სუპერთასით, რამდენიმე რეკორდიც დამყარდა, რომელზეც უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა სპეციალური მასალაც გამოაქვეყნა.

. სუპერთასების ისტორიაში არასდროს გასულა ერთ შეხვედრაში 9 გოლი;

. „ბარსელონამ“ უეფას სუპერთასი მეხუთედ მოიგო და ამ მაჩვენებლით „მილანს“ გაუთანაბრდა;

. ლეო მესიმ ევროთასებზე 80 გოლი გაიტანა და ის კრიშტიანო რონალდუს დაეწია;

. ბანეგას მიერ, მესამე წუთზე გატანილი გოლი, ყველაზე სწრაფი გოლია სუპერთასების ისტორიაში;

. ლუის ენრიკე მეოთხე ადამიანია, რომელმაც სუპერთასი მოიგო, როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმაც;

. უეფას სუპერთასების ისტორიაში, ნეიტრალურ მოედანზე, მატჩს არასდროს დასწრებია იმდენი ადამიანი, რამდენიც თბილისში (51 490);

. „ბარსელონა“ უეფას სუპერთასის ისტორიაში პირველი გუნდია, რომელმაც ხუთი გოლის გატანა შეძლო;

. „სევილიამ“ ყველაზე მეტი გოლის გატანა შეძლო იმ გუნდებს შორის, რომლებიც სუპერთასზე დამარცხდნენ;

. დანი ალვეშმა მეოთხედ მოიგო სუპერთასი და ამ მაჩვენებლით პაოლო მალდინის გაუთანაბრდა;

. თავის მხრივ, ანდრეს ინიესტა, „ბარსელონას“ მაისურით მოგებული თასების რაოდენობით ჩავის გაუთანაბრდა;

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რიამში საუკეთესო სუპერთასი

LUSIVE PHO

ლეო მესი: „ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სახლში ვთამაშობდით. მადლობა ყველას გულთბილი დახვედრისთვის. მადლობა გულშემატკივრებს მხურვალე ქომაგობისთვის, ძალიან კმაყოფილი ვარ“

. „ბარსელონამ“ უეფას სუპერთასის მატჩში მეცხრედ მიიღო მონაწილეობა;

. უეფას სუპერთასის ისტორიაში, ორი ესპანური კლუბი ერთმანეთს სულ სამჯერ შეხვდა. აღსანიშნავია ის, რომ ამ სამი გუნდიდან ერთი ყოველთვის „სევილია“ იყო.

. „სევილია“ პირველი გუნდია, რომელმაც სუპერთასზე სამგოლიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა;

. ესპანურმა კლუბმა მეთორმეტედ მოიგო სუპერთასი;

. ლეო მესის სუპერთასზე სამი გოლი აქვს გატანილი. ეს ჰაანის, ფრანკ ვან დერ ელსტის, გერდ მიულერის, ოლეგ ბლოხინის, ტერი მაკდერმორტის, რობ რენსენბრინკის და რადამელ ფალკაოს რეკორდის გამეორებაა;

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე, გუნდების თავკაცებმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

ჟურნალისტების წინაშე ჯერ „სევილიას“ თავკაცი, უნაი ემერი წარსდგა. პირველი შეკითხვა, რომელსაც მან პასუხი გასცა, „პრაიმტაიმს“ ეკუთვნოდა.

- 4:1-ს აგებდით, როდესაც მოედანზე სამი თავდამსხმელი გამოიყვანეთ. ვა-ბანკზე წახვედით, რადგან დასაკარგი არაფერი გქონდათ, თუ ეს ცვლილება იმით იყო განპირობებული, რომ თქვენი მეტოქე დაცვით ფეხბურთზე გადავიდა?

უნაი ემერი, „სევილიას“ მთავარი მწვრთნელი:

- პირდაპირ ვუპასუხებ თქვენს შეკითხვას. როდესან ანგარიში 4:1 იყო, ჩვენ, რა თქმა უნდა, ბევრს არაფერს ველოდით. მხოლოდ ის ვთქვით, რომ რაც შეიძლებოდა მეტი გაგვეკეთებინა დარჩენილ დროში. როდესაც მეორე გოლი გავიტანეთ, ბევრი რამ შეიცვალა. იმედი მოგვეცა. 4:3 გახდა და უფრო ახლოს მივედით მიზანთან, გუნდი უფრო თავდაჯერებულად ათამაშდა. მათ სჯეროდათ საკუთარი შესაძლებლობების. ჩვენ მიზანს მივაღწიეთ. როდესაც ანგარიში გავათანაბრეთ, ამოვისუნთქეთ. დამატებით დროში, უკვე თავდაჯერებულად შევედით მინდორზე და გვჯეროდა იმის, რომ თამაშის მოგება შეგვეძლო. რა თქმა უნდა, რთულია, ამის შემდეგ კიდევ ერთი გოლის გაშვება და თამაშში დაბრუნება. მატჩის მიწურულს, სამი ძალიან კარგი შანსი გვქონდა ანგარიშის გასათანაბრებლად.

„ამ მატჩმა აჩვენა, თუ რა ძნელია ამ დონეზე თამაშების მოგება. თავიდან ვაგებდით, შემდეგ კი თამაში შემოვატრიალეთ. ჩვენმა მეტოქემ კარგი თამაში აჩვენა და დამსახურებულად გაათანაბრა ანგარიში. ძალიან მიხარია, რომ საბოლოოდ, ჩვენ შევძელით გამარჯვება“

უნაი ემერის თქმით, ამ შეხვედრაში გამარჯვებას მისი გუნდი იმსახურებდა, თუმცა საკუთარი გუნდის თამაშით ის კმაყოფილია და გულშემატკივრებს მოუნოდებს, რომ „სევილიასი“ სჯეროდეთ.

„უნდა მივულოცოთ გამარჯვება „ბარსელონას“. იყო თუ არა ეს დამსახურებული, ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ძალიან ბევრი შანსი გვქონდა იმისთვის, რომ გამარჯვება მოგვეპოვებინა. ჩვენ დავიმსახურეთ, რომ თამაში პენალტებში გადაგვეყვანა. საბოლოო ჯამში, კმაყოფილები უნდა ვიყოთ და ვიამაყოთ ჩვენი გუნდით, იმ თამაშით, რომელიც ვაჩვენეთ. „ბარსელონა“ ახლა მსოფლიოს უძლიერესი გუნდია, რომელმაც გასულ სეზონს ყველაფერი მოიგო“.

„ბარსელონას“ თავკაცმა, ლუის ენრიკემ კი განაცხადა, რომ ეს თამაში მისი გუნდისთვის იმაზე რთული არ ყოფილა, ვიდრე ამას მოელოდა.

ლუის ენრიკე, „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელი:

„არ იყო უფრო რთული თამაში, რადგან, თავიდანვე რთულ თამაშს ველოდით. ამ მატჩმა აჩვენა, თუ რა ძნელია ამ დონეზე თამაშების მოგება. თავიდან ვაგებდით, შემდეგ კი თამაში შემოვატრიალეთ. ჩვენმა მეტოქემ კარგი თამაში აჩვენა და დამსახურებულად გაათანაბრა ანგარიში. ძალიან მიხარია, რომ საბოლოოდ, ჩვენ შევძელით გამარჯვება. როდესაც გუნდი 4:1-ს აგებს, მას დასაკარგი არაფერი რჩება. მათ ბევრი გარისკეს, პენალტისა და კარგი თამაშის წყალობით გაათანაბრეს ანგარიში. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მათაც ძლიერი გუნდი ჰყავთ. მგონია, კმაყოფილები უნდა ვიყოთ“.

მწვრთნელების შემდეგ, საპრესკონფერენციო, მატჩის და ზოგადად, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, ლეო მესის დაეთმო.

არგენტინელმა ფორვარდმა აღნიშნა, რომ სტადიონზე არსებული გარემოს ფონზე, მას თავი შინ ეგონა.

ლეო მესი:

„ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სახლში ვთამაშობდით. მადლობა ყველას გულთბილი დახვედრისთვის. მადლობა გულშემატკივრებს მხურვალე ქომაგობისთვის, ძალიან კმაყოფილი ვარ“.

„ბარსელონას“ 10-მა ნომერმა განაცხადა, რომ მისთვის სანაკრებო და საკლუბო მატჩები თანაბრად მნიშვნელოვანია და ის ბედნიერია, რომ ევროპის სუპერთასი მოიგო.

ლეო მესი:

„რთული თამაში იყო. ვაგებდით, ვიგებდით, შემდეგ გაგვითანაბრეს და მიხარია, რომ ბოლოს მაინც მოვიგეთ. „სევილია“ კარგი გუნდია და მათ ეს დღესაც დაამტკიცეს. მიხარია ისიც, რომ გამარჯვების გოლი პედრომ შეაგდო. არ ვიცი, თავად რას ფიქრობს, მართლა უნდა თუ არა გუნდიდან წასვლა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მას ყოველთვის მხარს ვუჭერდი და ნებისმიერ შემთხვევაში, მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ“.

ასე დასრულდა უეფას სუპერთასის თბილისური ამბები. რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაწეული შრომა, რომელიც ამ ღონისძიების საქართველოში ჩამოტანასა და მის მომზადებაში დაიხარჯა, დაუფასებელი არ დარჩენილა. უეფას წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ დონის მატჩი ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც დაამშვენებდა. თბილისი კი დიდ ზეიმს დაემშვიდობა. ვინ იცის, კიდევ როდის ექნება საქართველოს ასეთი მასშტაბური ღონისძიებების მასპინძლობის საშუალება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეს ტრაგედია ჩემ ოჯახს ერთ ადამიანად ვაქცევ“

my View
ნინო მჭედლიშვილი

8 აგვისტოს 20 წლის გახდა. მეგობარს დაურეკა და უთხრა, ასეთი დაბადების დღე ჯერ არ მქონია, დღეს ნატამ კრუასანები, ხაჭაპურები, ყავა მომიტანა და ასე გამაღვიძაო. ნატა მისი შეყვარებულია. ერთად ისვენებდნენ სიონში. არ უთქვამს, რომ ცურვა არ იცოდა, მხოლოდ აფრთხილებდა, შორს არ გახვიდეო... ნატა და ლაშა ერთად მუშაობდნენ კომპანია „დეშელში“, ერთმანეთი სწორედ იქ გაიცნეს. სულ რაღაც ოთხ თვეს ითვლიდა მათი სიყვარული, მაგრამ უამრავი გეგმა ჰქონდათ უკვე დასახული. შვებულების დღეები დაამთხვიეს, რომ ერთად დაესვენათ. 9 აგვისტოს 5 საათისთვის გავიდნენ ტბის სანაპიროზე. წყალში ერთად ჩავიდნენ. ნატა მალე ამოვიდა. ლაშამ ცოტა ხანში წყლიდან ხელი დაუქნია, მერე ორივე ხელი მაღლა ასწია და ჩაყვინთა... სამი საათი ელოდა შეყვარებული გოგონა მაშველებს, ყვიროდა, შველას ითხოვდა. არავინ დაეხმარა. მისვლიდან 10 წუთში იპოვნეს მყვინთავებმა ცხედარი. ფაქტობრივად, ნაპირთან ძალიან ახლოს. ლაშას მიზნები და ოცნებები წყალმა წაიღო...

„ქალთან ურთიერთობა მანამდეა საინტერესო სანამ შეგიყვარდება-მეთქი, სულ ვამბობდი, დაივიწყეთ, ვცდებოდი, „ჩემი გოგო ისეთი მაგარია, ათ ჩვეულებრივ გოგოში არ გავცვლი“, - წერდა ერთი თვის წინ ლაშა სოციალურ ქსელში.

ეს მაგარი გოგო ახლა ძალიან ცუდადაა. ჩვენ ძალიან ვთხოვეთ ნატას, ძალა მოეკრიბა და ლაშაზე მოეყოლა.

ნატა გამხიტაშვილი (შეყვარებული):

- ლაშა სამსახურში გავიცანი. როგორც კი დავინახე, თანამშრომელს გადავულაპარაკე, ნახე, ჩემი ზომის ბიჭი გამოჩნდა-მეთქი და გავიცინეთ. მხოლოდ გავიცინეთ, მაშინ არც არაფერი მიფიქრია, თავიდან არც ვაქცევდი ყურადღებას. „ფეისბუქზე“ გვქონდა მიმოწერები. ისე მოახერხა, რომ შეყვარებულს დამაშორა. როცა ლაშა გამოჩნდა, შეყვარებულთან არეული მქონდა ურთიერთობა. ლაშას რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ ზუსტად ის იყო, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდი. ძალიან საინტერესო იყო, თავდაჯერებული, მიზანდასახული, არასდროს იხსნებოდა ბოლომდე, სულ საინტერესო იყო. თავიდან მომატყუა, შეყვარებული მყავსო, მეტი ინტრიგა რომ ყოფილიყო ურთიერთობაში. მერე მომიყვა, როდის „დაერხა“, ანუ როდის შევუყვარდი. ვიცოდი შეყვარებული რომ გყავდა, მაგრამ ველარ ვთოკავდი თავსო, მითხრა.

- ნატა, შენ როდის შეგიყვარდა ლაშა?

- მალევე. „ფეისბუქზე“ ვწერდით ერთმანეთს, საღამოობით ჩუმად ვხვდებოდით, ისე რომ არავინ იცოდა, ვფიქრობდი, ცუდად ვიქცეოდი. შეყვარებული მყავდა და ლაშას ვხვდებოდი. მაგრამ ვერაფერს ვცვლიდი. ვგრძნობდი, რომ მიყვარდებოდა. საოცარი ვინმე იყო, საკუთარი თავიც კი იმდენად სხვანაირად დამანახა, იმდენად ბევრი დადებითი მხარე დავინახე ჩემში, ლაშასთან ერთად საკუთარი თავიც შემიყვარდა.

- შეყვარებულს როგორ უთხარი, რომ სხვა შეგიყვარდა?

- არ მითქვამს, თვითონ მიხვდა. არ ვიტყვი, რომ არ მიყვარდა, ყოველთვის პატივს ვცემ იმ ურთიერთობებს და იმ ადამიანებს ვინც ჩემს ცხოვრებაში ყოფილა, უბრალოდ, მანამდე გაგვიფუჭდა ურთიერთობა, ლაშას გამოჩენამ მხოლოდ დააჩქარა ურთიერთობის დასასრული. უბრალოდ, ავუხსენი, რომ დავიღალე ამ სამწლიანი ურთიერთობით და ეს ვერაფრამდე ვერ მივიდოდა. მას, დღესაც, ძალიან დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. სინანულის მომენტი მქონდა, დედაჩემს სულ ვეუბნებოდი, როგორ შეიძლება ასეთი რამ დამმართნოდა, ერთი მიყვარს და მეორე მიყვარდება-მეთქი... მაგრამ ლაშამ ისე დამახვია თავბრუ, დაფიქრების დროც არ მქონდა. ამ ოთხი თვის განმავლობაში ერთი დღე არ ყოფილა ერთმანეთი რომ არ გვენახა. ერთად რომ დავდიოდით ყველა გვეკითხებოდა, ცოლ-ქმარი ხართო. სულ კომპლიმენტებს გვეუბნებოდნენ, როგორ უხდებით ერთმანეთსო. ერთხელ თანამშრომელმა ჩუმად ფოტოც კი გადაგვიღო, რომ ნახოთ როგორ უხდებით ერთმანეთსო. ხელჩაკიდებულები ავდიოდით კიბეზე, ზურგიდან არის სურათი გადაღებული... იმდენად სავსე იყო და ისე მავსებდა მეც, არაფერს ვნანობ, რაც გულში მქონდა ყველაფერი ნათქვამი მაქვს მისთვის. თვითონაც იმხელა სიყვარული მაჩუქა, მეტი უბრალოდ არ არსებობს. ვფიქრობ, რომ სავსე გავუშვი ამ ქვეყნიდან და სავსე დამტოვა მეც.

- ვიცი, რომ ძალიან უნდოდა ოჯახი შეგექმნათ და ამის საშუალება არ ჰქონდა...

- უამრავი გეგმა ჰქონდა. იმდენ ფულს ვხარჯავდით ტაქსებში, ამბობდა, მანქანა ვიყიდოთო, ანაბარი უნდა გაგვეხსნა, რომ ბინა დაგვეგირავებინა. სექტემბრიდან კარგად ვიმუშაოთ და წლის ბოლოს მანქანაც გვეყოლება და სახლსაც ვიგირავებთო, მეუბნებოდა. სიონში მითხრა წინა დღით, აქედან რომ ჩავალთ შენს გარეშე როგორღა უნდა გავძლო, ძალიან მალე მოგიყვან ცოლადო... სანამ ძველ შეყვარებულს დავშორდებოდი, ჩუმად ნავედით ერთხელ კაფეში მე და ლაშა. თითებზე მიყურებდა და მითხრა, იცი, როგორ მიკვირს მაგ თითზე „კალიცო“ რომ არ გიკეთიაო. ამ სიტყვებმა სულ სხვანაირად დამანახა ლაშა.

- ვისი იდეა იყო, რომ შვებულება ერთად გაგეტარებინათ, მის დაბადების დღეს დაგემთხვიათ და თან სიონში დაგესვენათ?

- ლაშასი. ძალიან გამიხარდება ერთად რომ ვიქნებით მარტონიო. სიონი ჩემს გამო შეარჩია. ახალი ნაოპერაციევი ვარ და ჩემთვის მზე და ზღვა არ შეიძლება. მაინც კი მზეზე მომიწია ყოფნა, რადგან ლაშას ძალიან უნდოდა რუჯი. წინა დღეს დაიწვა და ისე უხაროდა, ეს ხომ ფერში გადამივაო, მეკითხებოდა. ძალიან პრანჭია იყო, სულ სარკეში იყურებოდა, სულ თმას ისწორებდა. მეჯუჯღუნებოდა რატომ არ წამოვიღე კრემები, რომელსაც კარგი სუნი აქვს, აქ ყველა რაღაცას ისვამს ტანზე და მე რატომ არაფერს მისვამო. მაგრამ არასდროს მიტყდებოდა, რომ მოსწონდა საკუთარი თავი. ეჭვიანიც იყო. სულ ბრაზობდა, მე აქ ვდგავარ და გიყურებენ და აქ რომ არ ვიყო წარმოგიდგენია რა მოხდებოდაო.

- შენ არ ეჭვიანობდი?

- ძალიან. თავიდან სულ სხვანაირად გავაცანით ერთმანეთს თავი, არც შოკოლადი გვიყვარდა და არც ეჭვიანები ვიყავით, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ორივე ვგიჟდებით შოკოლადზე და ორივე ძალიან ეჭვიანები ვართ.

- ოცნება ჰქონდა?

- ესპანეთში წასვლა გვინდოდა ორივეს. ლაშას „ბარსელონას“ თამაშის ნახვა უნდოდა იქ. კიდევ ოცნებობდა ქოხზე, რომლის გვერდზეც მოხუცი, წვერიანი კაცი იჯდებოდა, რომელიც გიტარაზე დაუკრავდა ნაზ, მშვიდ სიმღერას. სხვა ოცნებები ლაშას არ ჰქონდა, სხვანაირი იყო, რასაც მოინდომებდა და მიზნად დაისახავდა, ყველაფერი ექნებოდა. სწორედ ეს მიყვარდა მასში, ჩემი ჯინი ხარ-მეთქი, ვეუბნებოდი. არ შეიძლებოდა რამე მენატრა და ლაშას არ გაეჩინა. გავნახევრდი. არა, კი არ გავნახევრდი, მეოთხედი დავრჩი.

- სიკვდილზე გილაპარაკიათ?

- კი. ორი კვირით ადრე ვუთხარი, სიკვდილის შიში მაქვს, ოღონდ ვერ ვხვდები, ვის რა უნდა დაემართოს-მეთქი. იმ საშინელი დღის წინა ღამეს მითხრა, მე არ დამმარხავენ, კრემაციის მომხრე ვარო. იმ ღამესვე მკითხა, წყლის გეშინიაო. ეტყობა მართლა გრძნობდა, ანუ როდის შეგიყვარდა.

ნატა (შეყვარებული): „ვფიქრობ, რომ სავსე გავუშვი ამ ქვეყნიდან და სავსე დამტოვა მეც“

„იმ ღამესვე მკითხა, წყლის გეშინიაო. ეტყობა მართლა გრძნობდა რაღაცას. ჩვენი თანამშრომლისთვის დაურეკავს და უთქვამს, წყალში ძალიან ვიღლებიო“

„ერთი ადამიანი რომ დამხმარებოდა, ვინმეს რომ გაებედა, გადავარჩენდით“

„ჩემმა მეგობრებმა და ლაშას ძმამ ჩამოასწრეს მაშველებს სიონში“

„იმდენად სავსე იყო და ისე მავსებდა მეც, არაფერს ვნანობ, რაც გულში მქონდა ყველაფერი ნათქვამი მაქვს მისთვის. თვითონაც იმხელა სიყვარული მაჩუქა, მეტი უბრალოდ არ არსებობს“

„ყველა გვეკითხებოდა, ცოლ-ქმარი ხართო“

„სიონში მითხრა, წინა დღით, აქედან რომ ჩავალთ, შენს გარეშე როგორღა უნდა გავძლო, ძალიან მალე მოგიყვან ცოლადო...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ლაშა: „ჩემი გოგო ისეთი მაგარია, 10 ჩვეულებრივ გოგოში არ გავცვლი“

რას ყვებიან 20 წლის ლაშა დევიძის მეგობრები და შეყვარებული

ძნობდა რაღაცას. ჩვენი თანამშრომლისთვის დაურეკავს და უთქვამს, წყალში ძალიან ვიღლებიო.

- იცოდი, რომ ცურვა არ იცოდა?

- არა. ისეთი ამაყი იყო, მაგას როგორ მეტყოდა. თან ის ორი დღე ვუყურებდი და ცურავდა. მთელი ბავშვობა ცურვაზე დავდივარ და ისე უსვამდა მკლავებს, მე მრცხვენოდა მის გვერდზე ცურვა.

- შეგიძლია გაიხსენო იმ ტრაგედიის წუთები, საათები?

- ერთად ვიყავით წყალში, მე ავდივარ და მალე ამოდი-მეთქი, ვუთხარი. ნაპირიდან დავინახე ხელებს მიქნევდა, მეც დავუქნიე ხელი, ამოდი-მეთქი. ცუდი აზრი მომივიდა თავში, მაგრამ იქვე, მის გვერდით ბიჭი ცურავდა, ცუდად რომ იყოს, ხომ ეტყოდა-მეთქი, ვიფიქრე. ამ დროს ორივე ხელი ასწია და ჩაყვინთა. მაშინვე შევვარდი წყალში, ჩავყვინთე, ვერაფერი დავინახე. ვყვიროდი, მიშველეთ, მაშველებს დაუძახეთ-მეთქი. არავინ მომეხმარა, მარტო მამშვიდებდნენ, აქვე იქნება, გეხუმრება, ალბათ, და ამოვაო. 5 წუთითაც არ მტოვებდა, ასეთ ხუმრობას მისგან ვერ დავიჯერებდი. დავრეკე 112-ში სამი საათი ველოდე მაშველებს თბილისიდან. ჩემმა მეგობრებმა და ლაშას ძმამ ჩამოასწრეს მაშველებს სიონში. მოსვლიდან 10 წუთში ამოიყვანეს მყვინთავებმა. იქვე იყო, ფაქტობრივად, ნაპირთან, ერთი ადამიანი რომ დამხმარებოდა, ვინმეს რომ გაებედა, გადავარჩენდით.

- საუბრობენ იმაზე, რომ ლაშას გული აწუხებდა, ასთმა ჰქონდა...

- ეს მისი დიაგნოზი იყო, ზოგჯერ სუნთქვა უჭირდა, მაგრამ ექიმთან არ ყოფილა, თვითონ დასვა დიაგნოზი. გულზე არაფერი უთქვამს.

მარიამ კუბლაშვილი („დეშელის“ გენერალური დირექტორი):

- ლაშა ჩემს კომპანიაში მოსვლის დღიდან შევამჩნიე, თავისი ლამაზი, მოციმციმე თვალებით. მაშინვე შემიყვარდა და აღვნიშნე, რა კარგი ადამიანი მოსულა-მეთქი. მას მერე სულ ვკითხულობდი და მას დღითიდღე მეტი და მეტი წარმატება ჰქონდა. ამ თვეში მე-4 ადგილზე გავიდა და ეს დიდი შედეგია 50 კაციდან, სასიამოვნო საუბარი და მეტყველება ჰქონდა. ასე თქვა, აუცილებლად შემდეგ თვეში პირველი ვიქნებიო... გლოვაა ჩვენთან, აღარ ვმუშაობთ, საოცარი სიყვარული და პატივისცემა დატოვა. გვაკლია, სულ დადიოდა და ისე საუბრობდა ტელეფონზე, სულ ფეხებში მებლანდებოდა. ძალიან გაგვიჭირდება, მტკივა და განვიცდი, არ ვიცი რა ვქნა, ან თანამშრომლებს როგორ ვაიძულო მხნეობა და საქმის გაგრძელება. ფაქტობრივად დავიღუპეთ.

თეკა ნოდია (თანამშრომელი):

- ლაშა იყო ადამიანი პოზიტივი, ღიმილი, სულ ქათინაურებს არიგებდა სამსახურში. გიყდებოდა იმაზე, რომ ამდენ ქალებში მუშაობდა. უყვარდა საკუთარი თავი, მოსწონდა, ოღონდ ცდილობდა ეს არ შეემჩნია. ლაშას აბსოლუტურად ყველა იცნობდა. ყველას გვამწარებდა, სულ რაღაცებს გვიჩალიჩებდა და მერე ხალისობდა.

ანი მგელიაშვილი (ბავშვობის მეგობარი):

- გაცნობის პირველ დღეებში მითხრა, შენ ბევრ ბიჭს მოსწონხარ, უყვარხარ, მე ორიგინალური ვიქნები, სასწაულს მოვახდენ და შენთან ვიმეგობრებო. შეასრულა სიტყვა. მალე დავახლოვდით. ისე დავმეგობრით, ჩემი საუკეთესო ძმაკაცი ხარო, მეუბნებოდა. თბილი სიტყვები არასდროს გვითქვამს ერთმანეთისთვის. არასდროს ჩერდებოდა ერთ ადგილას. დამირეკავდა გამოდიო და სანამ გავიდოდი, მინიმუმ სამ მეგობარს ნახულობდა ჩემამდე. არ უყვარდა ჩხუბი, ვერ იტანდა კონფლიქტებს. არ მახსოვს ჩემთვის რამე უხეშად ეთქვა. მე არ მაქვს მაინცდამაინც კარგი ხასიათი, რამეზე რომ ვეჩხუბებოდი, ის მიმღეროდა, მიცინოდა ან თემას ცვლიდა. ვერ ვხვდებოდი, როგორ შეეძლო ასეთი ყოფილიყო. მასთან ერთად გატარებული ყოველი დღე დასამახსოვრებელი იყო ჩემთვის, ყოველდღე სხვანაირი იყო. ერთნაირი არასდროს ყოფილა. ამდენი წელი ვიცნობდი და მაინც ყოველდღე შეეძლო რაღაცით გავეკვირვებინე, ვფიქრობდი, რომ ბოლომდე ვერასდროს გავიცნობდი. ბოლო დროს სულ დამცინოდა, რამდენს ჭამო. ერთად როცა ვჭამდით, თეფშს მალავდა, მისი ულუფაც რომ არ შემეჭამა. რომ გავემწარებინე, ერთხელ ისიც მითხრა, შენ ჩემს პანაშვიდზეც ჭამით შემოხვალო. საოცარ მეტსახელებს მარქმევდა, ახლაც კი მეცინება რომ მახსენდება: „ტანაჯორი“, „დედა ღორი“, ძროხა. და ამ ყველაფერზე არ ვბრაზდებოდი. გიჟდებოდა ლაპარაკზე, ლაშა იყო კაცი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს. რჩევას რომ მეკითხებოდა, რომელიმე გოგოზე, პასუხსაც არ ელოდებოდა, ისევ თვითონ პასუხობდა. ოცნებად მქონდა მენახა სადმე დიდი აუდიტორიის წინაშე, რომ ელაპარაკა, რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება ბევრი ადამიანისთვის. ლაშა იყო ადამიანი, რომელსაც ყველგან წაიყვანდი და არ შეგრცხვებოდა. პირიქით, იამაყებდი რომ ასეთი მეგობარი გყავს. ყველა სიტუაციას მოერგებოდა და ყველას გამხიარულებას შეძლებდა. ჩემი კომპიუტერი სავსეა მისი ვიდეოებით, ფოტოებით. ძალიან უყვარდა სურათების გადაღება. სამი წლის წინ ვიდეო გადავიღეთ, იქ ამბობს, ოჯახში ისე გვიჭირს, ბებიაჩემი კრახმალს გვიხარშავს ხოლმე, ახლაც ერთი კვერცხი გვაქვს სახლში და იმდენი ხანია გვიდევს და ვუფრთხილდებით, მეშინია ჭუჭული არ გამოვჩეკოთო. ასეთი იუმორი იშვიათი იყო. ერთხელ მკითხა, გინდა ჩემი ახალი ფოტო გაჩვენოო. კი-მეთქი, მივწერე. გამომიგზავნა ზღვის ფოტო. არსად არ ჩანდა ლაშა. ვკითხე, ეს რა არის-მეთქი და მანდ ჩაყვინთული ვარო, მომწერა.

- სიკვდილზე შენთანაც ლაპარაკობდა?

- კი, მითხრა ერთხელ, მგონია, რომ მალე უნდა მოვკვდეო. მეც იგივეს ვგრძნობ, მაგრამ ასაკობრივია, გაგივლის-მეთქი, დავამშვიდე. ახლაც „ფეისბუქზე“ პროფილის ფოტოდ ჩვენი ფოტო უდევს, სადაც მისი კომენტარია, - „ორივე საფლავის ქვაზე ამ ფოტოს ვადიდებთო“... დაბადების დღისთვის საჩუქარი გავუკეთე, მისი საყვარელი სიმღერა ფონად დავადე ჩვენს ფოტოებს, რაც კი გვქონია ერთად გადაღებული, მივწერე სიონში, მიყვარხარ და დანარჩენი „ფეისბუქზე“ ნახე-მეთქი. მეც მიყვარხარ, დედა ღოროო, მომწერა. მეორე დღეს, იმ დღეს, როცა ლაშა დაიხრჩო, დილით, როგორც კი გავიღვიძე, ბალიშთან მედო ტელეფონი, ავიღე და მივწერე, დღეს შენი დაბადების დღე არ არის, მაგრამ მე მაინც მიყვარხარ-მეთქი. ასეთი რამ არასდროს მიქნია, არ ვიცი რა მოხდა. მომწერა, რაღაც ძალიან გათბი, რა მოხდაო. გაუკვირდა ჩემი თბილი სიტყვები. ახლა ვნანობ, ხშირად რომ არ ვანებივრებდი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ იცოდა რას ნიშნავდა ჩემთვის. სიტყვები ზედმეტი იყო.

P.S. „სიკვდილთან სიახლოვე ყველაზე დიდი უპირატესობაა იმისთვის, რომ არ შეგეშინდეს მისი“. ეს სიტყვები ლაშამ „ფეისბუქზე“ 24 თებერვალს დაწერა.

ანი: „ახლაც, „ფეისბუქზე“, პროფილის ფოტოდ ჩვენი ფოტო უდევს, სადაც მისი კომენტარია, - „ორივე საფლავის ქვაზე ამ ფოტოს ვადიდებთო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოყენება იკრძალება

EXCLUSIVE

ზურა ყიფშიძი

„რომ ყველა გრძელი ცხვირი და დაღუნული ფეხები დავინახეო, რა მოგეწონა ჩემშიო. შენ არ გესმის, ქალებში ვერ ერკვევი-მეთქი, ვპასუხობ ხოლმე“

„როგორც ყველა კაცს, მეც ძალიან მიყვარს ქალი, ამ მხრივ შეცდომები მეც მქონდა დაშვებული, უშეცდომო არავინაა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთგული ქმარი გამოვდექი“

„ბიჭის ჩამოყალიბების პროცესში კაცი აუცილებელია ოჯახში“

my View
ნინო მჭედლიშვილი

მსახიობის ოჯახში გაიზარდა, ქალების გარემოცვაში. დედა, დეიდები, ბებია. მამა გვიან გაიცნო. მანამდე ეროსი მანჯგალაძის შვილი ეგონა ყველას. ეს იმიტომ, რომ 27 წლის ლენა ყიფშიძემ შვილი უმამოდ გააჩინა. ბიჭს ზურა დაარქვეს, უდროოდ დაღუპული ბიძის სახელი. პატარა ზურას გვარი და მამის სახელი ბაბუამ მისცა. ამ თამამი (იმ დროისთვის მით უმეტეს) ნაბიჯის გადადგმა ლენას ოჯახში არ გაუპროტესტებიათ. ზედმეტი მზრუნველობა და ყურადღება გამაღიზიანებელიც კი იყო ზურასთვის. ჯარისთვის რომ „დაებრაკათ“ დედამ და დეიდებმა ავლიპ ზურაბიშვილთანაც კი მიიყვანეს გამოკვლევაზე. 2 თვე მოსკოვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც იწვა. მერე იყო „როცა აყვავდა ნუში“ და ზურაზე უზომოდ შეყვარებული ქალები თბილისში. თავად ერთი ქალის ერთგული აღმოჩნდა. მისი შვილების დედა გათხოვილი იყო პირველად რომ ნახა მსახიობმა. თუმცა უმჯობესია ამ ყველაფერს თავად ჩემი რესპონდენტი გიამბობთ. დღეს ზურა ყიფშიძეს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრეთ.

ზედმეტად მზრუნველი ქალები ოჯახში

- ყველა ადამიანი იღებს გამოცდილებას ცხოვრებისგან. მთავარია, როგორ იყენებს ამას შემგდომში. სულ სხვანაირად მზრდიდნენ და სულ სხვა გამოვედი. ის არ გამოვედი რაც უნდოდათ. თვითნება ვიყავი. უბრალოდ, გადავრჩი, ეგ არის და ეგ.

- სხვანაირად მზრდიდნენო, რას გულისხმობდით, ვინ უნდოდათ გამოსულიყო თქვენგან?

- უნდოდათ გამოვსულიყავი ფიზიკოსი, როგორც ძალიან ბევრი ჩემი წინაპარი, ან ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის სფეროთი დავინტერესებულიყავი. მაინცდამაინც ვერ გავუმართლე იმედები, თუმცა, მერე შეეგუვნენ ამ ყველაფერს, ამაყობდნენ კიდეც ჩემით.

- ქალების გარემოცვა, ეს იყო თქვენი ძირითადი ასპარეზი ოჯახში. რა გავლენა იქონია ამან თქვენზე?

- ბიჭის ჩამოყალიბების პროცესში კაცი აუცილებელია ოჯახში. ამდენი ქალი ოჯახში, ზედმეტი ყურადღება, ზედმეტი გათამამებაა. ეს დიდად არ მომწონდა. თავისუფლება მერჩივნა.

ორი თვე მოსკოვის საგიჟეთში

- ბავშვობაში ავლიპ ზურაბაშვილთანაც კი წაგიყვანეს დედამ და დეიდამ...

- (იღიმება), ჰო, იყო ასეთი შემთხვევა, ნერვიული ბიჭიაო და წამიყვანეს. ზურაბაშვილს ბაბუაჩემი ასწავლიდა ფიზიკას. ამდენად კმაყოფილი იყო ზურაბაშვილი, რომ დამინახა. მე კინაღამ გული გამისკდა, იმიტომ რომ, ისე იქცეოდა, როგორც აბსოლუტური გიჟი. ძალიან საინტერესო კაცი კი იყო.

- რა უთხრა თქვენებს, რით დაამშვიდა?

- ნერვიულია, გაუვლისო, უთხრა. მასთან ვიზიტი მოსკოვში გამომადგა, როცა ქართველებმა გამომიგზავნეს ქაღალდი ინსტიტუტიდან, სადაც ეწერა, რომ მე გაგდებული ვიყავი ინსტიტუტიდან, რატომ ვსწავლობდი მოსკოვში, რადგან უკვე ჯარი მიწევდა. ჩვენ ხომ საოცრად „კეთილი“ ერი ვართ.

- როგორც ვხვდები ზურაბაშვილთან ვიზიტის მიზანი, ჯარისთვის „დაბრაკვაც“ იყო.

- კი, რა თქმა უნდა. ზურაბაშვილს ძალიან დიდი წონა ჰქონდა. შეეძლო პრეზიდენტიც დაეჭირა. ვისზეც არ უნდა ეთქვა, გიჟიაო, აბსოლუტურად ყველა ენდობოდა, გადამონმებას აღარ საჭიროებდა. გაბრაზდნენ, გაუკვირდათ და დამაწვინეს მოსკოვის საგიჟეთში. ორი თვე ვიწექი. მე მეგონა უნდა მეთამაშა გიჟი. თურმე პირიქით, უნდა ითამაშო, რომ ნორმალური ხარ. გეუბნებიან, თუ ნერვიული ხარ, რატომ სწავლობ, ხომ შეიძლება უცებ რაღაც გადაგიტრიალდეს თავში და სცენიდან ყვირილი დაიწყოო.

- ჯარში წასვლა არ გინდოდათ, როგორც ვხვდები...

- არ მინდოდა. ჯერ ერთი ვსწავლობდი, მეორე კურსზე ვიყავი. მთელ კურსს ვკარგავდი. თან კარგად ვსწავლობდი, რასაც ვერ ვიტყვი საქართველოში, თეატრალურზე. ჩამოყალიბებულიც არ ვიყავი, რა მინდოდა, არც მესმოდა რას ვაკეთებდი, მაღიზიანებდა ყველაფერი და საერთოდ, რატომ ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში, ისიც ვერ გავიგე. მეორედ რომ ჩავაბარე თეატრალურში, მიხაილ ივიანიჩისგან ცოტა რაღაცებს მივხვდი. მაგ დროს კინოგადაღებებმა და ჩემმა ქცევამ გამოიწვია ის, რომ მეორედ გამომაგდეს ინსტიტუტიდან. ზოგადად ჯარის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. უბრალოდ, მაშინ ჰიპები ვიყავით, საბჭოთა ჯარი მაინცდამაინც არ გვხიბლავდა. ახლა ახალგაზრდა რომ ვიყო, სიამოვნებით წავიდოდი ჯარში. მაშინ სხვა გაგება გვქონდა, ჯარი არანორმალური მდგომარეობა იყო.

- ზურა, განსაკუთრებული დარიგება გახსენდებათ დედისგან?

- სტანდარტულად მარიგებდა. არავის აწყენინო და არავის მოექცე ისე, როგორც შენ არ გინდა მოგექცნენ, არავის მიაყენო შეურაცხყოფა, არც სიტყვიერი, არც ფიზიკურიო, მეუბნებოდა. რამდენად გავითვალისწინე, არ ვიცი.

ორი მამა

- დედას პირველი მეუღლე იყო ეროსი მანჯგალაძე, სტუდენტობისას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაქორწინდნენ, მაგრამ ვერ აეწყო მათი ურთიერთობა, დაშორდნენ, ეროსის ცოლი აღარც მოუყვანია. ის კი არა, მახსოვს, ეროსის დამ დაწერა გაზეთში, სიცოცხლის ბოლომდე ლენა უყვარდა ეროსისო... მახსოვს, სოფელში ვიყავი, ასე წარმადგინეს, გაიცანით, ესაო, ეროსის ბიჭიაო. გავგიჟდი, ვინ ეროსის ბიჭი ვარ, დავიწყე ყვირილი, ბოლო-ბოლო გამაგებინეთ ვინ ვარ, რა ვარ, ვისი შვილი ვარ... სასწაული პრესი იყო, ფაქტობრივად ნაბიჭვრად მთვლიდნენ და ასე შემდეგ... განვიცდიდი ამას ჩემებურად, მაგრამ რატომღაც შინაგანად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ს ცხოვრებისეული გამოცდილება

„ორი თვე ვინექი მოსკოვის საგიჟეთში“

„ნერვებს აყოლილი კაცი ვარ, ზოგჯერ ვერ ვთოკავ ჩემს თავს და ძალიან განვიცდი ამ ამბავს“

„13-14 წლის ვიყავი, როცა გავიგე ვინ იყო ბოლო-ბოლო მამაჩემი, - მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ავთო ვერულეიშვილი“

„გისოსებზე ავძვერი და იქიდან ვუყურებდი, როგორ ურტყამდნენ ჩაქუჩს დედაჩემს ცხვირში. ნერვიულობისგან ერთი კოლოფი „პრიმა“ მოვწიე“

EXCLUSIVE

ვიცოდი და მჯეროდა, ინტიუციით ვგრძნობდი, რომ დედაჩემი მართალი იყო თავის ცხოვრებაში, სწორად ცხოვრობდა. მე მაღიზიანებდა და კონფლიქტი მქონდა საზოგადოებასთან და არა დედაჩემთან... რამდენიმე წელი მის მეუღლესთან, ბონდო მაჭავარიანთან ერთად ვცხოვრობდი, რახან დედას ეს უნდოდა. 13-14 წლის ვიყავი, როცა გავიგე ვინ იყო ბოლო-ბოლო მამაჩემი, - მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ავთო ვერულეიშვილი. აღმოჩნდა, რომ ძმაც მყავს თურმე უფროსი, ისიც ზურიკო. ძალიან კარგი ხალხი აღმოჩნდა, მიმიღეს და მეც მივიღე. მამა თავს დამნაშავედ გრძნობდა, დედაჩემს არაფერი მოუთხოვია მისგან, არც თავიდან, არც შემდეგ. არ უთხრა, გინდა თუ არა, ოჯახი დაანგრიე და მე მომიყვანეო... ყველაფერი შედარებით „ლაითად“ მოხდა, სხვაგან რაღაც საშინელება მოჰყვებოდა... დედაჩემი და მამაჩემი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ, ჩემი გულისთვისაც და საერთოდაც.

ქუჩის აკადემია

- ე.წ. ქუჩის აკადემია თუ იყო თქვენს ცხოვრებაში და ამან რა მოგცათ გამოცდილების თვალსაზრისით?

- მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მომცა, ბევრი დამაკარგვინა. ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ მომცა მთავარი, დამოუკიდებლობა. თვეობით ვიკარგებოდი ყირიმში, იქ ვუკრავდი დასარტყამ ინსტუმენტებზე. რამდენად დამოუკიდებელი გავხდი, არ ვიცი, მაგრამ გასახსენებლად კარგია ის პერიოდი.

- ყირიმში თვეობით თქვენს გასტროლებს როგორ ეგუებოდნენ ოჯახის ქალბატონები?

- ფაქტობრივად ვერ ეგუებოდნენ, მაგრამ ამ ადამიანების პატივისცემა გვიან ვისწავლე. ახალგაზრდობაში პროტესტი მქონდა. აკრძალული ხილი გემრიელიაო და მინდოდა ზუსტად ის, რასაც მიკრძალავდნენ.

- მაგალითად?

- პლანი, რომელიც არ უნდა მომეწია, გართობა, რომელიც არ შეიძლებოდა, უქმად არ უნდა დამეკარგა დრო და გოგონები, რომლებთანაც არ უნდა მევლო, თურმე.

სასიყვარულო გამოცდილება

- რადგან გოგონებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე გკითხავთ. უამრავი თაყვანისმცემელი გყავდათ. როგორ მოახერხეთ, რომ ბოლომდე ერთი ქალის ერთგული დარჩით?

- ადრეულ ასაკში არავითარი მოთხოვნა ჩემზე არ ყოფილა. მანამ სანამ ვითამაშებდი ფილმში „როცა აყვავდა ნუში“, ორ ფილმში ვიყავი გადაღებული. მაშინ, როცა ეს უკანასკნელი გამოვიდა ეკრანზე საქართველოში არ ვცხოვრობდი. ასე რომ, ამ აჟიოტაჟმა უჩემოდ ჩაიარა... როგორ გითხრათ, როგორც ყველა კაცს, მეც ძალიან მიყვარს ქალი, ამ მხრივ შეცდომები მეც მქონდა დაშვებული, უშეცდომო არავინაა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთგული ქმარი გამოვდექი.

- გვიამბეთ როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე...

- დიდი ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრს. მარჯანიშვილის თეატრში ფაქტობრივად ვცხოვრობდი. ვასო გოძიაშვილი რომ გარდაიცვალა, მის დასაფლავებაზე ჩამოვედი. სწორედ იქ ვნახე ვილვეტის პლაშში და ჯინსებში გამოწყობილი გოგონა. მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. რატომღაც ჩავთვალე, რომ დიდუბეში ცხოვრობს და სულ იმ ტერიტორიაზე ვტრიალებდი. ვერსად მივაკვლიე და დავბრუნდი მოსკოვში. დავამთავრე თეატრალური უნივერსიტეტი და ჩამოვედი თბილისში. გავარკვიე, რომ თეატრალურში სწავლობს. მერე გავარკვიე, რომ ქმარი ჰყავს. გავარკვიე, რომ ჩემი მეგობრის კურსელია. მეგობრის, რომელიც ყოველდღე მისი ტელეფონის თითო-თითო ციფრს მაძლევდა. ახალ წელს დილით ადრე მოვკარი თვალი, ქუჩაში მანქანას აჩერებდა. მერე დავურეკე და რატომღაც მიცნო ხმაზე. მერე იყო ომი მამამისთან და საერთოდ ყველასთან.

- მეუღლესთან?

- მეუღლე ჩემი ახლობელია დღესაც. რა უფლება მქონდა მათ პირადში ჩავრეულიყავი, ღმერთმა დამიფაროს. მათ ჩემამდე გაუფუჭდათ ურთიერთობა.

- რა იყო მთავარი, რამაც მასში მოგხიბლათ?

- თვითონ ხუმრობს ხოლმე ამ თემაზე. რომ ყვები გრძელი ცხვირი და დაღუნული ფეხები დავინახეო, რა მოგეწონა ჩემშიო. შენ არ გესმის, ქალებში ვერ ერკვევი-მეთქი, ვპასუხობ ხოლმე. არ ვიცი, ასახსნელად მართლა რთულია, რთული კი არა, შეუძლებელია. არაჩვეულებრივი სიდედრი შემხვდა, რომელთან ერთადაც ვიცხოვრე და დღეს ძალიან მაკლია. სულ მგონია, რომ სადღაც შევხვდები. ალბათ, მართლაც შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს, მოგვიანებით.

- ზურა, არსებობს იმის რეცეპტი, თუ როგორ არ უნდა განელდეს სიყვარული?

- არსებობს, ოღონდ არ ვიცი ამას რეცეპტი ჰქვია თუ არა. უნდა შეგეძლოს პატიება, მოთმენა, შენც და მასაც. ოღონდ ეს უნდა გინდოდეს. არ მესმის მხოლოდ ბავშვების გამო რომ ცხოვრობენ ერთად წყვილები. თუ დედა და მამა ცუდად არიან, ბავშვებიც ვერ იქნებიან კარგად იმ ოჯახში. ჩემი შვილები კი მეუბნებიან ხოლმე, დავიღალეთ თქვენი ჩხუბებითო, მაგრამ ჩვენი ჩხუბები ხშირად ზედაპირულია ხოლმე.

შვილები

- ზურა, თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილებს?

- მათ რომ ჰკითხოთ, ბავშვობაში სულ სამჯერ მყავს ნანახი ორივე. იმ დროს სულ გადაღებებზე დადიოდიო, მსაყვედურობენ ხოლმე.

- თავად გქონდათ მსგავსი პრეტენზიები დედასთან?

- თქვენ წარმოიდინეთ, კი. და ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ არ არის ეს სწორი. არ შეიძლება შენი წარუმატებლობა თუ წარმატებულობა მშობელს დააბრალო. მადლობა უნდა გადაუხადო, რომ გაგაჩინა, ეგ არის და ეგ. მე ზოგჯერ ვსაყვედურობდი, ძალიან ცუდ რამეებს ვეუბნებოდი, ტკივილს ვაყენებდი და ამის გამო ძალიან მწყდება გული.

- ვიცი, რომ ძალიან განიცდიდით დედის ცხვირის ოპერაციას...

- (იცინის) ჰო, ზოგადად არ ვარ პლასტიკური ქირურგიის მომხრე. დედას ძალიან უნდოდა კინოროლები, ფიქრობდა, რომ ცხვირის გამო იწუნებდნენ. ამიტომაც გაიკეთა ოპერაცია. ძალიან გავბრაზდი. მერე ავარიაში მოყვა და მეორე ოპერაცია დასჭირდა. ოპერაციაზე დავადექი. გისოსებზე ავძვერი და იქიდან ვუყურებდი, როგორ ურტყამდნენ ჩაქუჩს დედაჩემს ცხვირში. ნერვიულობისგან ერთი კოლოფი „პრიმა“ მოვწიე.

- შვილებს დავუბრუნდეთ...

- 24 წლის ვიყავი, გიორგი რომ გამიჩნდა, მაშინ ბევრი რამ არ მესმოდა. ახლა შვილიშვილებთან უფრო ვცდილობ გამოცდილების გაზიარებას. ძლიერი უნდა იყო, არ უნდა დაგინახონ სუსტი, მყვირალა, მდგომარეობიდან გამოსული. ნერვებს აყოლილი კაცი ვარ, ზოგჯერ ვერ ვთოკავ ჩემს თავს და ძალიან განვიცდი ამ ამბავს. შვილი რას ნიშნავს, შვილიშვილების მაგალითზე მივხვდი, დიდები რაღა შვილები არიან, გავირდნენ უკვე. შვილიშვილებში ძალიან გამიმართლა. არა, შვილებსაც არაუშავთ (იცინის). ერთი რამ მაწუხებს ახალ თაობასთან დაკავშირებით. მესმის ტელევიზია, კომპიუტერი, ისიც მესმის, რომ ინტერნეტიდან ბევრი რამ შეგიძლია გაიგო, ისწავლო, მაგრამ წიგნს სხვა ხიბლი აქვს, სხვა სუნი, ფასი, გრძნობა, დამოკიდებულება. ახალგაზრდობაში ჩემს თავს მივიჩნევდი უწიგნურად და თურმე ამათთან შედარებით წიგნიერი ვყოფილივარ.

- დასასრულ, შეცდომებზეც გკითხავთ, რას ნანობთ, რას შეცვლიდით ამის საშუალება რომ მოგცემოდათ?

- ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი. ძალიან ბევრ დროს ვკარგავთ უქმად. ამას მერე, სიბერეში ვხვდებით. არ ვაწყენინებდი არავის, მეტს წავიკითხავდი, ენებს ვისწავლიდი, მეტს ვიმოგზაურებდი.

- დროსთან ერთად დედას ემგავსებით?

- კი, სენტიმენტებში, გულუბრყვილობაში, უკვე ძალიან ადვილია ჩემი მოტყუება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თემურ ქეცბაია - გაუნათლებელი კაცი

მაგდა
კლდიაშვილი



„ბევრი ახლობელი ადამიანი შემხვდა ვიპ-ლოჟაში, უცხოელები, უეფას წარმომადგენლები, პრეზიდენტები. ყველანი ისეთი თვალებით იყურებოდნენ, რომ თქვენ ასეთ დონეზე ჩაატარეთ ეს თამაშიო“

თემურ ქეცბაიამ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი პოლონეთთან განცდილი მარცხის შემდეგ დატოვა. ქეცბაია ქართველ ჟურნალისტებთან კომუნიკაბელურობით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ სუპერთასის მატჩის საყურებლად ჩამოსულმა, მცირე დრო გამონახა და „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუზე დასთანხმდა. რას ფიქრობს, ქეცბაია სიჭინავაზე, ყაველაშვილზე, კობიაშვილზე, სახელმწიფოს ჩარევაზე არჩევნებში და ეროვნულ ნაკრებზე - ექსკლუზიური და ძალიან გულახდილი ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან.

- სუპერთასზე მინდა გკითხოთ, ელოდებოდით, რომ ასეთ მაღალ დონეზე ჩატარდებოდა ყველაფერი?

- ამაყი ვარ. ჩემმა ქვეყანამ ასეთ დონეზე ჩაატარა ასეთი რანგის თამაში. ბოლო მომენტში გადავწყვიტე საქართველოში ჩამოსვლა. რაც აქედან წავედი, აღარ მინდოდა კიდევ იმ ხალხთან ტრიალი, ვინც ყველანაირად ფეხს გიდებდა. ისევ შეხვედრა მათთან. კიდევ კარგი, რომ ეს გადაწყვეტილება ბოლო მომენტში მივიღე და წამოვედი. ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ ასეთი მაგარი თუ იქნებოდა, ვერ წარმომედგინა. ყველას დამსახურებაა ეს, მთავრობისაც და ვინც მუშაობდა, მაგრამ, პირველ რიგში, მათი დამსახურებაა, ვინც ეს ფინალი საქართველოში ჩამოიტანა. ევროპაში მხოლოდ ჩვენ არ ვართ, 54 ქვეყანაა და ყველას სურს ასეთი ღონისძიება ჩაიტანოს თავის ქვეყანაში. არ მიყვარს, როდესაც ადამიანებს არ აფასებენ. შენ თუ არ დააფასებ, სხვა არ დაგაფასებს შენ. ბევრი ახლობელი ადამიანი შემხვდა ვიპ-ლოჟაში, უცხოელები, უეფას წარმომადგენლები, პრეზიდენტები. ყველანი ისეთი თვალებით იყურებოდნენ, რომ თქვენ ასეთ დონეზე ჩაატარეთ ეს თამაშიო. ეს იცით რას ნიშნავს? - იმას, რომ უეფა უკვე სერიოზულად დაიწყებს იმაზე ლაპარაკს, რომ სხვა ღონისძიება ჩატარდეს აქ. მოგვცეს ევროპის ლიგის ფინალი, თუნდაც. ჩემპიონთა ლიგას ვერ მოგვცემენ, რადგან სასტუმროების საკმარისი რაოდენობა არაა, არც 80 ათასიანი სტადიონი არ გვაქვს, მაგრამ ევროპის ლიგის ფინალს თავისუფლად ვუმასპინძლებთ და ეჭვი არ მეპარება, დადგება ეს დროც, რომ უკეთეს მატჩებსაც ჩავატარებთ. საბერძნეთიდან დამირეკეს ჟურნალისტებმა, ნახევარი საათი ველაპარაკებოდი. ამაყი ვარ, რომ ასეთი დონის მატჩი ჩავატარეთ. ყველა ამაყობს და უხარიათ, რომ ყველაფერმა ასე ჩაიარა. უკეთესს ვერ ინატრებდი.

- ზვიად სიჭინავამ განაცხადა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში აღარ მიიღებს მონაწილეობას. როგორი იყო მის ხელში განვლილი 6 საფეხბურთო წელი?

- იმას თუ შევადარებთ, რა სიტუაციაში ჩაიბარა ამ ადამიანმა ფეხბურთი, გაპარტახებული იყო, ნორმალური მინდორი არ არსებობდა. პირველად რომ ჩამოვედი, სავარჯიშო მინდორი არ ჰქონდა ნაკრებს და დავდიოდით გლდანში. იქ ისეთი ქარი იყო, სტაფი იკავებდა კარს, რომ ქარს არ წაეღო. ასეთ პირობებში გვიწევდა მომზადება ნაკრებს თამაშებისთვის. ვითამაშეთ „დინამოზე“, სადაც მინდორი არ იყო. არც ერთ გუნდს ნორმალური სავარჯიშო მინდორი არ ჰქონია. ამ ხნის განმავლობაში ისეთი საქმე გაკეთდა, ამასთან, ფედერაციას 20 მილიონი ვალი ჰქონდა, როცა ეს ხელმძღვანელობა მოვიდა და დღეს კაპიტალი აქვს 200 მილიონამდე. ეს ფაქტები ლაპარაკობს ყველაფერზე, ჩემი ლაპარაკი საჭირო არაა, მაგრამ აქ ხალხს სპორტული საზოგადოება ატყუებს, რომ რაც ქართულ ფეხბურთში ხდება, ყველაფერი ფედერაციის ბრალია. ფედერაციის ბრალი არაა ის, რომ „ზესტაფონი“ დაიშალა, იქ, საჩხერეში და სხვაგან ფული არ აქვთ. ის, რომ „დინამო“ ერთხელაც ვერ გავიდა ჩემპიონთა ლიგაზე, ის, რომ „ზესტაფონში“ და სხვაგან ფეხბურთელებს ხელფასს ვერ უხდიან. ეს არ არის ფეხბურთის ფედერაციის ვალდებულება. ეს ხომ ხალხმა არ იცის. გამოდიან ვიღაცები, ფედერაციას აბრალებენ. ფედერაცია ვალდებულია ჩაატაროს ჩემპიონატი. დიდი ომი გვქონდა, 16 გუნდიანი ყოფილიყო ეროვნული ჩემპიონატი თუ 10 გუნდიანი. თუ ასეთი კატასტროფაა ქართულ ფეხბურთში, იყოს მაშინ 16 გუნდიანი, რა მნიშვნელობა აქვს. ზუსტად იმ 16 გუნდში ვერ ხვდებოდნენ „ცხინვალი“ და ბათუმის „დინამო“, რომლებიც ევროპულ თამაშებზე გავიდნენ. რამხელა მნიშვნელობა აქვს ცხინვალის გასვლას ევროპაზე, თუნდაც პოლიტიკური. ამხელა ომი გადაიტანა და იქიდან, გუნდი, საქართველოს ეროვნული პირველობის მეშვეობით, გადის ევროსარბიელზე. იმის მაგივრად, რომ მთელი მთავრობა იქ ყოფილიყო, 50 მეტრში გადასულიყო სამინისტროდან ხალხი, წავიდნენ, ამხანაგური მატჩი გაუკეთებიათ და საკუთარ გუნდს უგულშემატკივრეს. აქ კიდევ, „ცხინვალი“ თამაშობდა ევროშესარჩევს. ალბათ, არ იციან მათ, პოლიტიკურად და სპორტულად, რამხელა მნიშვნელობის თამაში იყო. ჩვენ კიდევ გვინდა, რომ ეს ყველაფერი ფედერაციას დავაბრალოთ? კარგით, ზვიად სიჭინავამ არ იცის ფეხბურთი, მაგრამ კი არ იცის, დაამტკიცა, რომ ყველაზე მაგრად იცის ორგანიზაცია, მენეჯმენტი, ასეთი ხალხი სჭირდება საქართველოს, რომელიც თავის საქმეში რაღაცას გააკეთებს. ზოგიერთი იძახის, ქვეყანას მოგვცეს სუპერთასიო, ქვეყანას კი არ მოგვცეს, ზვიად სიჭინავამ ჩამოიტანა ეგ სუპერთასი თბილისში და ნუ დაიკვეხნის ნურავინ, რომ მისი დამსახურებაა. მიწევდა უეფაში ხშირად კონტაქტი, ვხვდებოდი უეფას წარმომადგენლებს, სიჭინავას რა ურთიერთობაც ჰქონდა იმ ადამიანებთან, პლატინისთან, ამას ხალხი ნატრულობს. ჩვენ ამის დანახვა არ გვინდა და გვინდა, რომ ჩვენი ხალხი მოვიყვანოთ პრეზიდენტად და ჩვენი საქმეები ვაკეთოთ. ვინ გააკეთებს ქვეყნის საქმეს, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მე რომ ვიყო მთავრობა, შევეხვეწებოდი სიჭინავას, დარჩენილიყო და საქმე გაეგრძელებინა. ზვიად სიჭინავს ჩემთვის არაფერი გაუკეთებია. საქართველოში სახელმწიფომ ჩამომიყვანა სამუშაოდ. ზვიად სიჭინავა არ მიხდიდა ფულს. სახელმწიფომ უარი თქვა ჩემს ხელფასზე, როდესაც ამ ქვეყანაში ამდენი უცხოელი სპეციალისტი მუშაობდა, მხოლოდ ქართველზე თქვეს უარი. დამირეკა სიჭინავამ, შევხვდეთ, სალაპარაკო მაქვსო. ვუთხარი, რომ არ იყო პრობლემა. სტამბულში შევხვდით ერთმანეთს. ამიხსნა სიტუაცია, მითხრა, რომ ფული არ ჰქონდათ, მთავრობამ კი უარი თქვა ჩემს ხელფასზე. ვკითხე, რას მთავაზობდა, 25%-ზეც არ იყო პრობლემა. მითხრა, ექვს თვეში გადაგიხდითო. მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ამ თემაში კონფლიქტში შევა. ვუთხარი, ზვიად, ჩვენ ახლა დავიწყებთ და დავინახავთ, თუ არ არის არც ამის საშუალება, ავდგები და წავალ. ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსი არ აქვს და არ მინდა, ხელფასი ავიღო, მით უმეტეს, როდესაც 16 გუნდიდან 14 უფულოდ არის. მეც შემეძლო დარჩენა ბოლომდე, ავიღებდი ჩემს ფულს და წავიდოდი. ზოგიერთებს არ ესმით, რამდენი რაღაც დავკარგე აქ ჩამოსვლით. ჩემი ქვეყანა მიყვარს და იმიტომ ჩამოვედი, იმიტომ არა, რომ საქართველოს ნაკრები მომცემდა იმხელა ბიძგს, რომ „რეალ მადრიდის“ მწვრთნელი გავხდებოდი. ვიცოდი, რა კატასტროფულ სიტუაციაშიც მოვდიოდი და შეიძლებოდა, ამას ჩემთვის უფრო მეტი პრობლემა შეექმნა, ვიდრე კარგი გაეკეთებინა. ამაზე არ მიფიქრია. მე მინდა, ფეხბურთის ფედერაციას კარგი ურთიერთობა ჰქონდეს სახელმწიფოსთან, რადგან ეს ქვეყნის საქმეა. როდესაც ჩვენი ნაკრები გადის მინდორზე, ქვეყნის სახელით გადის. ამაში შედის ფედერაციაც, სახელმწიფოც. შეიძლება ფედერაცია დამოუკიდებელია და სახელმწიფოს არ შეუძლია ჩარევა, მაგრამ მინდორზე როდესაც გავდივართ, მთელ ქვეყანას წარმოვადგენთ. არ შეიძლება, ჩვენი ძმაკაცები მოვიყვანოთ და დავსვათ ყველგან, საქმე ასე არ გაკეთდება. ახლა დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, რომ 250 მილიონი ჩაიდება ფეხბურთშიო. სად იყვნენ სამი წელიწადი, სანამ თავიანთ კაცს არ მოიყვანენ, მანამდე არ ჩადებენ ფულს?

- სახელმწიფოს ჩარევა ახსენეთ. ცოტა ხნის წინ, კახა კალაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში. რამდენად მისაღებია ეს?

- ეგენი არ იძახდნენ, ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ერეოდა წინა მთავრობაო? თუ თვითონ ეს თქვა, მე რა კომენტარი გავაკეთო. ეს არის არასწორი. გეუბნებით, მე იმ ხალხთან ვიყავი ორი წელიწადი, „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. ერთი ადამიანი არ მოსულა ჩემთან. კონტრაქტი სახელმწიფომ დამიდო. არავის უთქვამს რა, როგორ უნდა გამეკეთებინა. ჩამომიყვანეს იმიტომ, რომ ჩემი საქმე მეკეთებინა. თუ ფედერაცია დამოუკიდებელ-

„ზვიად სიჭინავამ არ იცის ფეხბურთი, მაგრამ კი არ იცის, დაამტკიცა, რომ ყველაზე მაგრად იცის ორგანიზაცია, მენეჯმენტი, ასეთი ხალხი სჭირდება საქართველოს, რომელიც თავის საქმეში რაღაცას გააკეთებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რად გვინდა ფეხბურთის ფედერაციაში



„მე რომ ვიყო მთავრობა, შევეხვეწებოდი სიჭინავას, დარჩენილიყო და საქმე გაეგრძელებინა“

„ახლა დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, რომ 250 მილიონი ჩაიდება ფეხბურთში. სად იყვნენ სამი წელიწადი, სანამ თავიანთ კაცს არ მოიყვანენ, მანამდე არ ჩადებენ ფულს“

თემურ ქეცბაია: „იმის მაგივრად, რომ მთელი მთავრობა იქ ყოფილიყო, 50 მეტრში გადასულიყო სამინისტროდან ხალხი, ნავიდნენ, ამხანაგური მატჩი გაუკეთებიათ და საკუთარ გუნდს უგულშემატკივრეს“



„ყიფიანი არ იყო ყაველაშვილს რომ ლობირებდა? მოვა და ფეხბურთი უმაღლეს დონეზე იქნებაო? მინისტრი არ იყო? რატომ არ მიიყვანა იქ. განათლება არ ჰქონია, აბა, გაუნათლებელი კაცი რად გვინდა ფეხბურთის ფედერაციაში“

„შენ გინდა, რომ ამხელა ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდე და ამ დროს, სკოლის განათლებით მოდიხარ“

exclusive

- რას ფიქრობთ კობიაშვილის კანდიდატურაზე?

- მე თუ მკითხავთ, ნაადრევია.

ია, თავისი საქმე უნდა აკეთოს. სიჭინავას სწორი განუცხადებია, პიკს მიაღწია. რაც სუპერთასზე ვნახეთ, ეს არნახულია. ღმერთმა ქნას, კიდევ ბევრი მოხდეს, მაგრამ ბოლო 25 წელიწადში არ მომხდარა საქართველოში ასეთი რამ და ეს არის ფეხბურთის ფედერაციის და პირადად, ზვიად სიჭინავს დამსახურება. ვისაც როგორ უნდა ისე გაიგოს ეს.

- სპორტის მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ სახელწმიფო 5 წლიან პროგრამაში 250 მილიონს დახარჯავს, 5 წელიწადზე ეს თანხა საკმარისია ფეხბრუთის განვითარებისთვის?

- თუ ისევ ის ფული დაიხარჯება, რაც აქამდე დაიხარჯა და არაფერი გაკეთებულა, მომავალშიც არაფერი გაკეთდება, აქ რამეს რომ მივაღწიოთ, წელიწადში 250 მილიონი უნდა დაიხარჯოს.

- გაქვთ იმედი, რომ ერთ წელიწადში 250 მილიონი დაიხარჯება?

- არაფრის იმედი არ მაქვს, სამწუხაროდ. ვუყურებ სამი წლის განმავლობაში, არაფერი გაკეთებულა სახელმწიფოს მხრიდან, რომ ფეხბურთი წინ წავიდეს. ვიღაცამ შეიძლება მითხრას, მუნიციპალიტეტები ხომ ურიცხავენ გუნდებს ფულს. ეს არაფერი არ არის, აბა, სულ გავანადგუროთ ფეხბურთი? ერთ წელიწადში ისევ არჩევნებია, რა გარანტიაა, რომ ისევ ეს მთავრობა იქნება, და ერთი წლის შემდეგ, სხვა არ იტყვის, რომ არაფერს აღარ ვიხდითო, შემდეგ რა მოხდება. ამის იმედი გვქონდა, როდესაც სამი წლის წინ მოვიდნენ, ეთქვათ, 250 მილიონს დავხარჯავთო, მაგრამ არ დაუხარჯავთ არაფერი.

- ხომ არ გგონიათ, რომ ლევან ყიფიანმა, თავის დროზე, პირად ინტერესებს შესწირა ფეხბურთის ინტერესები?

- ეს არის სწორედ ჩვენი ქვეყნის უბედურება. იმას რომ იტყვიან, მინისტრი იმიტომ ხდება, რომ ყიფიანის შვილია, რა პროგრესზეა ლაპარაკი. თუ მკითხავთ, ჩვენ ბედნიერი ქვეყანა ვართ, ამდენი ოლიმპიური ჩემპიონი რომ გვყავს. ნუთუ იქ ვერ მოიძებნა ვერავინ და მაინცდამაინც ვიღაცის შვილი უნდა დამისვან მინისტრად, მაშინ რა პროგრესსა და რის მიღწევაზე ვლაპარაკობთ. ორი ხელით კი არა, ყველანაირად მათთან ვარ, თუ 250 მილიონი დაიხარჯება ქართული ფეხბურთის განვითარებაში. მითხრან და ყველანაირ შავ საქმეს გავაკეთებ, მაგრამ ამაშიც ეჭვი მეპარება. არაფერი დამინახავს წინა წლებში გაკეთებული. სექტემბერში ბიუჯეტი გაკეთდება და თუ მართლა ჩაინერება იქ, რომ 250 მილიონი ჩაიდება მომავალ წელს ქართულ ფეხბურთში, მათთან ვარ. ისიც ხომ უნდა გაირკვეს, რაში იდება, რა უნდა გაკეთდეს. აქ, ზოგიერთები იკრიბებიან და ლაპარაკობენ, მესის და რონალდოსნაირ ფეხბურთელებს გავზრდით 4 წელიწადშიო, ყაველაშვილის არ იყოს. ოთხს გავზრდი მათ ნაირს და ორმოცს ჰოლანდიის დონისასო და ხალხი ტაშს უკრავს. სად ვართ, ასე როგორ დაჩლუნგდა ეს ხალხი, როგორ უნდა გაზარდო რონალდოს და მესის დონის ფეხბურთელები 5 წელიწადში. ლაპარაკობენ, ოღონდ იქ მივიდნენ. ყიფიანი არ იყო ყაველაშვილს რომ ლობირებდა? მოვა და ფეხბურთი უმაღლეს დონეზე იქნებაო? მინისტრი არ იყო? რატომ არ მიიყვანა იქ. განათლება არ ჰქონია, აბა, გაუნათლებელი კაცი რად გვინდა ფეხბურთის ფედერაციაში. ახლა გვყავს დოცენტი კი არა, მეცენატი, სიჭინავა, რომელმაც ამხელა დონეზე გააკეთა რაღაცები. ის დატოვე, რაღას მოგყავს უვიცი და გაუნათლებელი. მიეყვანა იმ სამინისტროში, ფულიც მაგათ ჰქონდათ და ძალაუფლებაც, დაესვა და აეღოძინებინა ფეხბურთი. შენ გინდა, რომ ამხელა ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდე და ამ დროს, სკოლის განათლებით მოდიხარ. მაშინ, სწორია, მაგის ჭკუაში ასეთ უაზრო რაღაცებს რომ იძახდა, მესის გავზრდი და ჰოლანდიის დონის ფეხბურთელებსო. კიდევ კარგი, მიიღო წესი აღმასკომმა, თორემ ასეთი გაუნათლებელი ხალხი იქ რომ მოხვდეს, ასე სად არის. იმის ღირსი თუ არ იყო, რომ სამინისტროში რაღაც პოსტზე ემუშავა, როგორ შეიძლება ფედერაციაში მოვიდეს პრეზიდენტად. კობიაშვილს, იაშვილს, უდიდეს პატივს ვცემ, კალაძესაც, რომელიც პოლიტიკაში იყო ჩართული, ბევრი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ მე მისი მჯეროდა, როგორც ფეხბურთელის, როგორც ადამიანის, კაპიტნის. დღე და ღამე აგინებდა იმ მთავრობას, მაგრამ, ჩემს თავზე ვღებულობდი იმას, რასაც ვაკეთებდი. კახა იყო კაპიტანი, გამოდიოდა, თამაშობდა. ხანდახან წინა მთავრობაზე ისეთ რაღაცებს ვისმენ, ვფიქრობ, ვისთან ვყოფილვარ, გადავრჩენილვარ-მეთქი. იყო მომენტი, როდესაც მას „ძილანში“ პრობლემები ჰქონდა, ტრიბუნაზე იჯდა, სანამ „ჯენუაში“ გადავიდოდა. დავეხმარეთ, ვათამაშებდით, რომ სხვაგან წასულიყო.

- რას ფიქრობთ კობიაშვილის კანდიდატურაზე?

- მე თუ მკითხავთ, ნაადრევია. იცით რატომ? გუშინ ფეხბურთს თამაშობდი, დღეს პრეზიდენტობა გინდა, ასე არ არის. ადვილი საქმე არ არის. შეიძლება ფეხბურთი გითამაშია, მაგრამ ფედერაციაში დიდი საქმეა გასაკეთებელი, მე რაც ვნახე, ეჭვი მეპარება, რომ ეს გაგრძელდება. არანაირი პრობლემა არ მაქვს, არც კობიაშვილთან, არც არველაძეებთან და არც სხვებთან, ვინც კენჭს იყრის. ხალხი არ უნდა მოვატყუოთ, დაპირებებით არ უნდა გავუჭქედოთ თავი. არანაირი ჩარევა, ეგენი იძლეოდნენ დევიზს, მთავრობა ერეოდა და არანაირი ჩარევაო. საფეხბურთო საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, ვინ არის უკეთესი, რომ ფედერაციაში მოვიდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N32 (333) ორშაბათი, 17 აგვისტო, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

ინფორმაციული და პროფესიული დეფიციტი - რა ჭირი სჭირს ზრომის ბაზარს?

ტრაგედია სიონის ტბაზე

რას ყვებიან 20 წლის ლაშა დევიძის მეგობრები და შეყვარებული

exclusive

ზვიად სიჭინავას უეფამ 10-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა

exclusive

Marvel vs DC

exclusive

პროსტიტუციის ქართულ ნაკვალევზე

პირველად „პრაიმტაიმში“

„ორი თვე ვიწექი მოსკოვის საგიჟეთში“

ზურა ყიფშიძის ცხოვრებისეული გამოცდილება

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

თემურ ქეცბაია - გაუნათლებელი კაცი რად გვინდა ფეხბურთის ფედერაციაში

„იმის მაგივრად, რომ მთელი მთავრობა იქ ყოფილიყო, 50 მეტრში გადასულიყო სამინისტროდან ხალხი, წავიდნენ, ამხანაგური მატჩი გაუკეთებიათ და საკუთარ გუნდს უგულშემატკივრეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება